განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სსიპ კოლეჯ „აისის“ ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ირაკლი სალუქვაძე

**წევრები:**

მარიამ აბელიანი

გიული გურგენიძე

ირმა ღარიბაშვილი

თეა ნარეკლიშვილი

ნათია იორდანიშვილი

ქეთევან გელაშვილი

ბაბილინა ხარხელაური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

**დაწესებულების  სახელწოდება:** სსიპ კოლეჯი „აისი“

**ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა:** საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**საიდენტიფიკაციო კოდი:** 227770800

**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. საერთო მიმოხილვა

სსიპ კოლეჯის „აისი“ მიერ, ავტორიზაციის განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ 2022 წლის 29 აპრილის გამოცემული MES 9 22 0000434586, ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

წარმოების ეფექტიანად წარმართვის მიზნებისთვის, ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების განაცხადით მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა.

ექსპერტების ჯგუფმა, ვიზიტის წარმართვისთვის, შეიმუშავა ინსტიტუციური ნაწილის შეფასებისა და პროგრამული ნაწილის შეფასების დღის წესრიგები, რომლებიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებული იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 24, 25 მაისს. ავტორიზაციის ინსტიტუციური ნაწილის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება განხორციელდა გურჯაანის მუნიციპალიტეტ სოფელ კაჭრეთში, ხოლო პროგრამული ნაწილის - შესაბამის ლოკაციაზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტ სოფელ შრომაში.

დაწესებულების წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს შენობ/ებ/ის დათვალიერება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეული ფართის, ასევე ბიბლიოთეკის ჩვენება. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენელებს - დირექტორს, დირექტორის მოადგილეებს, იურისტს, რეესტრის წარმოებაზე, ხარისხის უზრუნველყოფასა და სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს, საქმისმწარმოებელს, ბუღალტერს, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს. ინტერვიუ შედგა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის შემადგენელი მოდულების განმახორციელებელ ზოგიერთ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. დაწესებულებამ ორგანიზება გაუწია ასევე პროფესიულ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ნაწილთან გასაუბრებას, ზოგიერთ მათგანთან ინტერვიუ წარიმართა კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით დაწესებულების მისამართიდან.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო მოთხოვნილი დოკუმენტების დროული წარმოდგენა. ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაციები, დაწესებულებამ წარმოადგინა გარკვეული მტკიცებულებები და განმარტა ზოგიერთი საკითხი. ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებების უმეტესი ნაწილი გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში „აისი“ საგნობრივ პროგრამებთან დაკავშირებულ შემთხვევასთან დაკავშირებით, ექსპერტებს გადაეცათ დოკუმენტაცია, რომლის შესწავლის შედეგად იკვეთება შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

8 სხვადასხვა საგნობრივ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამაზე (დურგალი, ელექტრიკოსი, ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი, მეღვინე, მზარეული, სავალი ნაწილის ტექნიკოსი, ძრავის შემკეთებელი) ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების, ნაწილი (41) არ გამოცხადდა საკვალიფიკაციო გამოცდაზე, რაც დასტურდება ხსენებულ პროგრამებზე ჩატარებული საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ოქმებით (N5 - 16.07.2019; N47 - 21.09.2018; N37 - 25.09.2017; N21 – 25.12.2019; N19 - 05.06.2017; N16 - 22.03.2018; N46 – 21.09.2018; N19 – 20.12.2019; N20 – 24.12.2019; N29 – 19.06.2018; N54 – 20.11.2018; N48 – 21.09.2018; N15 – 19.03.2018 და N32 – 21.07.2017).

დაწესებულებაში იმ დროისათვის მოქმედი „შინაგანაწესის“ მე-15 მუხლის თანახმად, პროფესიულ სტუდენტებს, რომლებიც არ გამოცხადდებოდნენ ან ვერ მიიღებდნენ დამაკმაყოფილებელ შეფასებას საკვალიფიკაციო გამოცდაზე, უფლება ჰქონდათ თეორიული კურსის დასრულებიდან 2 წლის განმავლობაში, 10 დღით ადრე განცხადებით მიემართათ კოლეჯისთვის, განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე დაშვების მიზნით, ხოლო ამ ვადაში გამოუცხადებლობის ან არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში ამოირიცხებოდნენ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა შემადგენლობიდან.

***პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, ხსენებულ 41 პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შეუწყდა დირექტორის 2022 წლის 14 მარტის Nკ-01-14 ბრძანებით, რითაც დაწესებულებას დარღვეული აქვს მის მიერ შემუშავებული რეგულაცია და ასევე, საქართველოს კანონის პროფესიული განათლების შესახებ“ თავი XII-ის გარდამავალი და დასკვნითი დებულებების 39-ე მუხლის 12 პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, „კოლეჯი/საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მხოლოდ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრისა.“***

ვიზიტის პერიოდში ექსპერტმა ჩაატარეს დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება, რომელთაც განმარტეს, რომ აღნიშნული გარემოება გამოწვეული იყო მოდულური პროგრამების დანერგვით გამოწვეული პერსონალის გადატვირთული რეჟიმით, რის გამოც მოხდა პროცესების გადავადება. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა 2018-2022 წლებში კოლეჯში წარმოებული შიდა კორესპონდენცია, რომელიც მოიცავს:

- *2018 წლის 2 ოქტომბრის პროფესიული განათლების მასწავლებლების სხდომის ოქმი N5, რომელიც ჩატარდა სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის ინიციატივით საგნობრივი პროგრამების 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებასთან დაკავშირებით;*
- *დირექტორის მოადგილის სასწავლო-საწარმოო დარგში 2022 წლის 7 აპრილის სამსახურებრივი ბარათი სტუდენტების ინფორმირების სასწავლო პროცესების მენეჯერის ვალდებულების შესახებ, სადაც აღნიშნავს რომ გადატვირთული რეჟიმის გამო ყურადღების მიღმა დარჩა აღნიშული საკითხის მოწესრიგება;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *სასწავლო პროცესის მენეჯერის 2022 წლის 7 აპრილის სამსახურებრივი ბარათი, მის მიერ აღნიშნული საკითხის მოწესრიგების ყურადღების მიღმა დარჩენის შესახებ, გადატვირთული რეჟიმის გამო;*
- *სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის 2021 წლის 10 დეკემბრის ანგარიში, საგნობრივ პროგრამებზე აქტიური სტატუსი მქონე პროფესიულ სტუდენტებთან, მათი სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინფორმირების მიზნით დაკავშირების შესახებ;*
- *2021 წლის 7 დეკემბერის პროფესიული განათლების მასწავლებლების სხდომის ოქმი N1, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესის მენეჯერი შეეხო საგნობრივ პროგრამებზე იმ აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების საკითხს, რომლებიც არ გამოცხადდნენ საკვალიფიკაციო გამოცდაზე და სასწავლოო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის ასისტენტს შეახსენა მათი პროგრამის გაუქმების თაობაზე ინფორმირების შესახებ - „2021 წლის 31 დეკემბრიდან მათ შეუწყდებათ სტუდენტის სტატუსი";*
- *იურისტის 2022 წლის 8 აპრილის სამსახურებრივი ბარათი მის მიერ „სასწავლო პროცესისთვის" საგნობრივი პროგრამების დასრულებასთან დაკავშირებით ინფორმირების და აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების ინფორმირებისკენ მოწოდების შესახებ;*
- *2022 წლის 8 აპრილის დირექტორის მიერ ჩატარებული მოკვლევის ოქმი N1 - ზემოთხსენებული დოკუმენტების შინაარსის აღწერით.*

ექსპერტების მიერ, აღნიშნული სტუდენტების ნაწილთან, შერჩევითი პრინციპით, მოხდა სატელეფონო დაკავშირება, რომელთაც განაცხადეს, რომ ინფორმირებულები იყვნენ კოლეჯის მიერ გამოუცხადებლობის გამო პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

2022 წლის 2 აგვისტოს, ექსპერტებს წარედგინათ დაწესებულების მიერ მომზადებული არგუმენტირებული პოზიციის წერილი. ექსპერტებმა განიხილეს აღნიშნული წერილი, რომლის მიხედვითაც დაწესებულება არ უარყოფს ექსპერტების მიერ გამოვლენილ ხარვეზებს, არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილი განმარტებები არ ცვლის გამოვლენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შესაბამისად ექსპერტთა შეფასებას. რაც შეეხება განმავითარებელ რეკომენდაციებს, დაწესებულება არ ეთანხმება მხოლოდ 1.2.1-3 ინდიკატორის შესახებ გაწერილ რეკომენდაციას, რომელსაც არ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.1) პსდ-ს მისია | სრული 3 | | | |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | სრული 3 | | | |
| **3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | სრული 3 | | | |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | სრული 3 | | | |
| **4) ადამიანური რესურსები** | ☐ | ☐ | ☐ | ☒ |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | | | | არ შეესაბამება |
| 4.2) პერსონალის განვითარება | სრული 3 | | | |
| **5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | | მეტწილი 2 | | |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | | სრული 3 | | |
| 5.3) ფინანსური რესურსები | | სრული 3 | | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულების პრაქტიკა პროფესიული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის მიმართულებით, ექსპერტების მიერ, შეფასებული იქნა როგორც საუკეთესო გამოცდილება. - კოლეჯში მოქმედებს კვების საფასურის დაფინანსების მოქნილი სისტემა, რაც გულისხმობს სოციალურად დაუცველი პროფესიული სტუდენტების კვების ბლოკით უზრუნველყოფას, უფასო სერვისს, კოლეჯში არსებულ კვების ბლოკში, რომელიც ფინანსდება კოლეჯის ეკონომიური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან.

დამატებით, პერსონალის შესაბამისი სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე, დირექტორის გადაწყვეტილებით, კოლეჯი დახმარებას უწევს რამდენიმე პროფესიულ სტუდენტს, რომელთა ოჯახების ეკონომიური მდგომარეობა არ იძლევა სტუდენტისთვის შესაბამისი პირობების შექმნის შესაძლებლობას. მტკიცებულებების სახით, ექსპერტებს წარედგინათ სამსახურებრივი ბარათი, შესაბამისი რეზოლუციით.

## V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

ინდიკატორი 2.2.1

დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობის უფრო ნათლად წარმოჩენის მიზნით, განმახორციელებლის დანართის შევსების დროს, თითოეულ მოდულს მიეთითოს ყველა შესაძლო განმახორციელებელი, რომელსაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება.

***ექსპერტების შეფასებით აღნიშნული რეკომენდაცია უმეტესად გათვალისწინებულია, თუმცა ზოგიერთ პროგრამაში დაწესებულებას განმეორებით მიეცა რეკომენდაცია აღნიშნული გარემოების გასაუმჯობესებლად (იხ. რეკომენდაცია 2.2.1-2)***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

**4.1.1-2** - სასწავლო პროცესის მართვისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვის ნაწილში გამოვლინდა გადაცდომები. კერძოდ, დაირღვა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის 2014 წლის 21 თებერვლის წლის N7 ოქმით დამტკიცებული „შინაგანაწესის“ მე-15 მუხლის და საქართველოს კანონის პროფესიული განათლების შესახებ“ თავი XII-ის გარდამავალი და დასკვნითი დებულებების 39-ე მუხლის 12 პუნქტის მოთხოვნები, რაც მიუთითებს, რომ დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს ვერ უწყობს კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

**4.1.1-3** - დოკუმენტაციის (ბრძანება და ოქმები) შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი მონაწილეობდა პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფესიული სტუდენტების შერჩევის პროცესში, რაც წინააღმდეგობაში მოდის მის სამუშაო აღწერილობასთან.

## VII. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

**მე-4 სტანდარტი**

**4.1.1-2** - დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, უზრუნველყოს კოლეჯის მიერ დამტკიცებული რეგულაციების/ფუნქცია მოვალეობების პრაქტიკაში დანერგვა/გამოყენება, დელეგირებისა და მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის ამოქმედება, რათა გამორიცხოს კანონმდებლობასთან და მის მიერ შემუშავებულ რეგულაციებთან შეუსაბამობა და უზრუნველყოს მისი ძირითადი საქმიანობის შეუფერხებელი და სრულყოფილი განხორციელება.

**4.1.1-3** - ვინაიდან ხარისხის მართვის მენეჯერი ჩართული იყო იმ პროცესებში, რომელთა შეფასება შედის მის ფუნქცია მოვალეობებში, იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, იხელმძღვანელოს განსაზღვრული სამუშაო აღწერილობებით და შემუშავებული რეგულაციებით, რითაც გამოირიცხება ინტერესთა კონფლიქტის დადგომის რისკი.

**5.1.2-1** - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, კოლეჯს მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია დადგენილ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება. (იხ. ინდიკატორის აღწერა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## VIII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

**1-ლი სტანდარტი**

ინდიკატორი 1.1.1-2 - დაწესებულების მისიის ფორმულირება საკმაოდ ვრცელია და შინაარსით ერთგვარად მოიცავს იმ მსხვილ კომპონენტებს რაც ეკისრება მთლინად განათლების სისტემას. ასევე, მისიაში არ არის განსაზღვრული რეგიონის ჭრილი. ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ მისია ჩამოაყალიბონ ლაკონურად, ასახონ რეგიონის ჭრილი და გაასწორონ ტექნიკური უზუსტობები.

ინდიკატორი 1.1.1-3 - დაწესებულების მიერ შემუშავებული ღირებულებების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნულია ჩამონათვალი შემცირდეს და აქცენტი გაკეთდეს საკვანძო საკითხებზე.

ინდიკატორი 1.1.1-4 - ვინაიდან გასაუბრების დროს, სტუდენტებმა ვერ შეძლეს მისიის, ხედვის ან/და ღირებულებების მთავარი არსის გახსენება, ექსპერტების მხრიდან, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაგეგმოს სხვადასხვა ტიპის აქტივობა ან/და ღონისძიება, სადაც პროფესიულ სტუდენტებს დამატებით გააცნობს - უზრუნველყოფს გაზიარებას, კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს.

ინდიკატორი 1.2.1-3 - სტრატეგიული განვითარების გეგმის ამსახველ დოკუმენტში, 5 სტრატეგიული მიზნის ნაცვლად მითითებულია 7 მიზანი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ცვლილების დროს მოახდინეს სტრატეგიული მიზნების გამსხვილება, რამაც გამოიწვია მიზნების რაოდენობრივი და არა შინაარსობრივი კლება/ცვლილება, ხოლო გეგმაში ზედმეტი ჩანაწერი წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს. დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყონ ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორება სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტში, ხოლო მისი დაშვების პრევენციის მიზნით, პრაქტიკაში დანერგონ დამატებითი შემოწმების მექანიზმები.

დაწესებულებას 2022 წლის 2 მარტს, დამტკიცებული აქვს 2022 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს იანვარი-დეკემბრის პერიოდს. დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, ყოველი მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის განსაზღვროს შესაბამისი სამუშაოების შესრულების, მოქმედი სამოქმედო გეგმის მოქმედების ამოწურვამდე, გონივრული ვადა, რათა უზრუნველყოს წლიურ სამოქმედო გეგმებს შორის წყვეტის პრევენცია.

ინდიკატორი 1.2.2-1 - „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში გაწერილია, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ, ხოლო 2022 წლის სამოქმედო გეგმის " დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგი და შეფასების“ ნაწილი ითვალისწინებს ყოველწლიურ, შუალედურ და ყოველთვიურ მონიტორინგს და ანგარიშგებას. ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული პერიოდულობა ასევე ასახოს „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტშიც.

**მე-3 სტანდარტი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინდიკატორი 3.1.1-1 - „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, მე-12 მუხლის, 12.2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტში მითითებულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების ერთ მესამედზე მეტის გაცდენა (საპატიო, არასაპატიო)“ დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ეხება არასაპატიო გაცდენების ოდენობას, შესაბამისად ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, აღნიშნული ფორმულირების დაკორექტირების შესახებ.

ინდიკატორი 3.1.1-3 - ვინაიდან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ რეგულაციით დადგენილი შეფასების მტკიცებულებების შემოწმების, შედეგების უწყისში ასახვისა და პროფესიული სტუდენტების ინფორმირების ვადები შემჭიდროვებულია, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, გადახედოს განმახორციელებლის მიერ ნაშრომების გასწორებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის შედეგების გაცნობის ვადებს და მოცულობითი სამუშაოს შეფასების ან/და მეტი დროითი რესურსის საჭიროების შემთხვევებისთვის განსაზღვროს გონივრული ვადა.

ინდიკატორი 3.2.1-1 - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რეგულაციაში ასახოს განმავითარებელი შეფასების ჩატარების და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდების ფორმა.

ინდიკატორი 3.2.1-3 - პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ადმინისტრაცია ზრუნავს პროფესიული სტუდენტების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე და უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, თუმცა ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით არ იძებნება პროფესიული სტუდენტის განცხადება, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაწეული ადმინისტრაციული მხარდაჭერა გაფორმებული იქნას დოკუმენტურად.

ინდიკატორი 3.2.2-2 - ინფორმაციის გავრცელების მოქნილობის მიზნებისთვის, ექსპერტების მხრიდან, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ უზრუნველყოს ბლოგის მეტად პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება.

ინდიკატორი 4.1.1-1 - ექსპერტების მიერ სამუშაო აღწერილობების შემოწმების შედეგად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში გათვალისწინებული იქნას ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობის მსგავსად.

ვინაიდან დაწესებულების სტრუქტურაში არ რის გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულები დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რეგულაციებში გამოყენებული აღნიშნული ტერმინი ჩაანაცვლოს შესაბამისად - პოზიციების დასახელებები.

ინდიკატორი 4.1.2-2 - პერსონალის მართვის წესი და შინაგანაწესი გარკვეულწილად მოიცავს მსგავს ან/და იდენტურ საკითხებს, ამგვარად დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი. მაგ: დასაქმებულის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა და პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და სამსახურში აყვანასთან დაკავშირებული საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4.2.1-5 - დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ადმინისტრაცია ხელს უწყობს დასაქმებულების ინიციატივას სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მათ შორის პროფესიული განვითარების მიზნებისთვის, აღნიშნულთან მიმართებაში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, გავრცელებული პრაქტიკა ასახოს რეგულაციებში და შეიმუშაოს შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვების მიდგომები.

**მე-5 სტანდარტი**

ინდიკატორი 5.2.1-1 - ვინაიდან ვიზიტის პერიოდში უკაბელო ქსელს (WiFi) ჰქონდა მაღალი დაყოვნება, რაც გამოწვეული იყო ერთ-ერთი უკაბელო წვდომის წერტილის(AP) გაუმართაობით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, რომ უზრუნველყონ უკაბელო წვდომის წერტილების(AP) გამართულად მუშაობა.

ინდიკატორი 5.2.1-2 - ვინაიდან კომპიუტერები არ არის გაწევრიანებული დომეინში, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სისტემების ცენტრალური ადმინისტრირება, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ შეიმუშაოს და განავითაროს ცენტრალიზებული ადმინისტრირების სისტემა (Active Directory).

ინდიკატორი 5.2.1-6 - ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს კორპორატიული ელექტრონული ფოსტა, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ უზრუნველყოფილი იქნას კორპორატიული ელ. ფოსტის დანერგვა სერვერის საშუალებით, ან საერთაშორისო ღია პლატფორმების მეშვეობით (G-suite, office 365 და ა.შ).

ინდიკატორი 5.2.2-1 - საქმისწარმოების ეფექტიანობისთვის, რეკომენდირებულია კოლეგიალურ სხდომის ოქმების წარმოებისას გათვალისწინებულ იქნას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106-ე მუხლის შესაბამისი პირობები, ასევე დაწესებულებაში განცხადებების რეგისტრაციისას და ბრძანებების გამოცემისას (მათ შორის სტუდენტების) ვინაობასთან ერთად, მითითებული იყოს პირადი ნომერი.

ინდიკატორი 5.2.3-1 - ვებ-გვერდზე, რუბრიკაში „ჩვენ შესახებ“ განთავსებულია დაწესებულების ფილიალები (ლაგოდეხის, ალვანის, დედოფლისწყაროს), თუმცა აღნიშნული ჩანაწერი არ ითვალისწინებს ფილიალების საკონტაქტო ინფორმაციას, შესაბამისად, რეკომენდირებულია, ვებ-გვერდზე აისახოს ფილიალების საკონტაქტო ინფორმაცია. ასევე, უმჯობესია ვებ-გვერდს დაემატოს სიტყვით ძებნის ფუნქცია.

ინდიკატორი 5.2.3-4 - გამომდინარე იქიდან, რომ კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების სარეკლამო დოკუმენტს, რეკომენდირებულია, რომ დაინტერესებულ პირს იგი აწვდიდეს მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ თუ რას წარმოადგენს დაწესებულება, რა მიზნები აქვს, ღირებულებები, მისია, რა სერვისებს სთავაზობს სტუდენტებს, დასაქმების ხელშეწყობა როგორ არის უზრუნველყოფილი, ვინ არიან დაწესებულების პარტნიორები და ა.შ.

**მე-2 სტანდარტი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



**მე-2 სტანდარტის ფარგლებში გაცემული საერთო რეკომენდაციები:**

ინდიკატორი 2.1.1 – 1 - დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში, მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების საჭიროება და აისახოს ჩატარებული კვლევის შესახებ ინფორმაცია - დატანილი იქნას კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, განხორციელების პერიოდი, გამოყენებული მეთოდები/ინსტრუმენტი, კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა და ჩატარებული კვლევების კონკრეტული შედეგები - სტატისტიკური მონაცემები/ინფორმაცია.

ინდიკატორი 2.1.1 – 8 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-5 პუნქტში „სტრუქტურა და მოდულები", ქართული ენის მოდულთან დაკავშირებულ ჩანაწერში მითითებულია ძალადაკარგული დოკუმენტი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება N 152/ნ), რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩანაწერები მოიყვანოს თანხვედრაში არსებულ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი 2.4.2-1 - ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, შეფასების ინსტრუმენტში პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს გასაჩივრების შესაძლებლობასთან დაკავშირებით ჩანაწერის დამატების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 23-ე მუხლში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტების შესწავლის შედეგად, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია შემუშავებული იქნას იმგვარი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შეფასების ინსტრუმენტების სრულყოფას და მასში გათვალისწინებული იქნება შესაფასებელი პირისთვის შესასრულებელი დავალების მკაფიო აღწერა/განმარტება და დავალების შესრულების პირობა/მახასიათებლები. ამასთან, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ დავალების შესრულებისთვის ადეკვატური დროის შერჩევაზე, შედგენილი დავალებით მისაღწევი სწავლის შედეგის დაფარვის საკითხზე და გამოკითხვის შემთხვევაში დახურული კითხვებთან ერთად ღია შეკითხვების გამოყენების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში შიდა ვერიფიკაციის პროცესი მიმდინარე წელს დაწყებულია (აღწერილია მომდევნო ინდიკატორის ფარგლებში). ექსპერტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ვერიფიკაციის ჯგუფმა გაითვალისწინოს წინამდებარე რეკომენდაციები.

ვინაიდან ბუნდოვანია კოლეჯის განმარტება, სწავლების ეფექტური სისტემის გამო განმეორებითი შეფასების საჭიროების არ არსებობის შესახებ, კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია გადახედოს შეფასების სისტემას/ვერიფიკაციის მექანიზმებს, შეფასების ინსტრუმენტის პროგრამის/მოდულების მოთხოვნებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, შემუშავებულ რეგულაციებში ასახოს ვალიდაციის პროცესის განხორციელებაში დარგის წარმომადგენლის ჩართულობა.

ინდიკატორი 2.4.2-3 - დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, არსებობის შემთხვევაში, განმეორებითი შეფასების შედეგები ასახულ იქნას განცალკევებით, ან შესაბამისი ველი დატანილ იქნას შეფასების უწყისის ფორმაში, განმეორებითი შეფასების თარიღის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**მე-2 სტანდარტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:**

ინდიკატორი 2.2.1 – 1 - ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია - პროგრამის მატერიალური რესურსის დანართის დოკუმენტი მოიცავდეს მხოლოდ იმ აღჭურვილობას, რომელიც დაწესებულებას გააჩნია. (პროგრამა: იატაკისა და ფილის სამუშაოები).

ინდიკატორი 2.2.1 – 1 - დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართში განმახორციელებელი პირების შესახებ მოდულის ,,Ms Excel" განმახორციელებელ პირად დაამატოს დარგობრივი მოდულების მასწავლებელი, ან მოახდინოს სასწავლო გეგმაში ცვლილება და მოდულის „Ms Excel " საკონტაქტო საათები გადაანაწილოს სასწავლო კვირებზე. (პროგრამა: ბუღალტრული აღრიცხვა).

ინდიკატორი 2.2.1 – 5 - დაწესებულებას ექსპერტთა მიერ მიეცა რეკომენდაცია საგანმანათლებლო რესურსში გაითვალისწინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით განახლებული დარგობრივი სახელმძღვანელოები (მაგ. „შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სეგმენტში"). (პროგრამა:თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი).

ინდიკატორი 2.1.1 – 3 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მაღალი ხარისხით წარმართვისა და დარგში არსებული სიახლეების, თანამედროვე მოთხოვნებისა და ტენდენციების სწავლების პროცესში სრულყოფილად გათვალისწინების მიზნით, რეკომენდირებულია პროფესიულ მასწავლებლებს ჩაუტარდეთ განმავითარებელი სწავლებები, განსაკუთრებით პროფესიულ მოდულებთან დაკავშირებული, თანამედროვე ტექნოლოგიების, აღჭურვილობისა თუ, მეთოდოლოგიების მიმართულებით. (პროგრამა: სატყეო საქმე).

ინდიკატორი 2.2.1 - 4 - საგანმანათლებლო რესურსის გამრავალფეროვნებისა და თანამედროვე სწავლების მეთოდების განვითარების მიზნით, რეკომენდირებულია, დაწესებულებამ, მოიძიოს „სატყეო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების თემატიკაზე მომზადებული ვიდეო რგოლები და გამოიყენოს სწავლების პროცესში, ასევე, მოამზადოს თემატური პოსტერები და სხვა სახის სადემონსტრაციო მასალები. (პროგრამა: სატყეო საქმე).

ინდიკატორი 2.1.1 – 3 - დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაზუსტდეს სტუდენტების ის ოდენობა, რომელთა პრაქტიკული კომპონენტის გავლასაც უზრუნველყოფს ობიექტი შეუფერხებლად ერთდროულად. (პროგრამა: საოფისე საქმე).

ინდიკატორი 2.2.1 – 4 - ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია - გადამზადდეს პროგრამის ხელმძღვანელი შეფასებასთან, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებასთან, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებში. (პროგრამა: საოფისე საქმე).

**რეკომენდაციის გაცემის საფუძვლები იხილეთ შესაბამისი ინდიკატორის აღწერით ნაწილში.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IX. სტანდარტების შეფასება

### 1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

### 1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

**1.1.1** პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში.

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სსიპ კოლეჯის ,,აისი“ მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს და პასუხობს ისეთ საკვანძო კითხვებს როგორიცაა: რისთვის არსებობს ორგანიზაცია, ვინ არის მომხმარებელი და რომელი კონკრეტული საჭიროების დაკმაყოფილებას ცდილობს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების მისიაში დეკლარირებულია ის მიმართულებები, რომლებსაც ახორციელებს დაწესებულება, განსაზღვრულია მისი როლი და მახასიათებლები განათლების სისტემაში. მისიის ფორმულირება საკმაოდ ვრცელია და შინაარსით ერთგვარად მოიცავს იმ მსხვილ კომპონენტებს რაც ეკისრება მთლიანად განათლების სისტემას. მისიაში მოცემულია ისეთი მიმართულება (ჯანდაცვა), რომელსაც დაწესებულება არ ახორციელებს, რაზეც გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს არის ტექნიკური ხარვეზი. კოლეჯის “სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ რეგულაციაში მითითებულია, რომ პსდ-ს მისია უნდა იყოს ლაკონიური და მარტივად გასაგები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კახეთის რეგიონში კოლეჯი ,,აისი“ წარმოადგენს პროფესიული განათლების ყველაზე მსხვილ პროვაიდერს, სასურველია აქცენტი იყოს გაკეთებული რეგიონის ჭრილზე და გამოჩნდეს მისი როლი რეგიონის განვითარების საქმეში.

*შესაბამისად, ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ მისია ჩამოაყალიბონ ლაკონურად, ასახონ რეგიონის ჭრილი და გაასწორონ ტექნიკური უზუსტობები.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების ხედვა არის გაზომვადი და იკითხება განვითარების მიმართულება. ის აკონკრეტებს მიღწევის პერიოდს და აკეთებს ამბიციურ განაცხადს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში იქნება ლიდერი კოლეჯი როგორც კახეთის რეგიონში, ასევე მთელს საქართველოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება ღირებულებებში ხაზს უსვამს განვითარებისკენ სწრაფვას, გუნდურობას და პროფესიული განათების უწყვეტობის ხელშეწყობას. აქედან გამომდინარე დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან.

პსდ-ს ღირებულებებში იკითხება, ის ძირითადი პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც დაწესებულება გეგმავს მისიაში და ხედვაში გაცხადებული მიზნების მიღწევას. კოლეჯის მიერ შემუშავებული ღირებულებები ხაზს უსვამს დაწესებულების ორგანიზაციულ კულტურას და დაინტერსებული პირებისათვის ქმნის წარმოდგენასა და მოლოდინებს. *თუმცა აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული ღირებულებების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნულია ჩამონათვალი შემცირდეს და აქცენტი გაკეთდეს საკვანძო საკითხებზე.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებას მიერ შემუშავებულ *„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“* მე-10 პუნქტში მოცემულია დაგეგმვის ჯგუფის მიერ შემუშავებული მისიის ხედვისა და ღირებულებების პროექტების გაზიარების მექანიზმები. რომელის მიხედვითაც, დაგეგმვის ჯგუფი მსჯელობს კოლეჯის გრძელვადიანი ხედვის შესახებ და შეიმუშავებს ხედვის პირველად ვარიანტს. ასევე განიხილავს მისიის განაცხადს და საჭიროების მიხედვით მსჯელობს მის გადახედვაზე. ხედვისა და მისიის შემუშავებული განახლებული განაცხადი ქვეყნდება საჯარო სივრცეში, კომენტარებისა და მოსაზრებების გაზიარების მიზნით, სულ მცირე ერთი კვირის ვადით. ვადის გასვლის შემდეგ ჯგუფი კვლავ იკრიბება და შეიმუშავებს დოკუმენტების შემდგომ ვერსიებს.

გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი ფოტომასალა, ასევე პროექტის გაზიარების შემდეგ დაინტერესებული პირების მხრიდან ელექტრონულ ფოსტაზე მიღებული უკუკავშირი.

პსდ-ს მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია კოლეჯის ყველა ლოკაციის საინფორმაციო დაფაზე. ასევე, განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე, სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების გარე პერიმეტრზე, ხის დაფებზე, ამოტვიფრულია დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები და დამაგრებულია თვალსაჩინო ადგილას. თუმცა, მიუხედავად ამისა, გასაუბრების დროს, სტუდენტებმა ვერ შეძლეს მისიის, ხედვის ან/და ღირებულებების მთავარი არსის გახსენება. *ექსპერტების მხრიდან, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაგეგმოს სხვადასხვა ტიპის აქტივობა ან/და ღონისძიება, სადაც პროფესიულ სტუდენტებს დამატებით გააცნობს - უზრუნველყოფს გაზიარებას, კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

## დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის ვებ. გვერდზე გამოქვეყნებული მისია, ხედვა და ღირებულებები;
2. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ (ბრძანება N02-01-52 - 20.03.2020, უკანასკნელი ცვლილება - N02-01-148 – 29.04.2022);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია;
4. კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
5. სამუშაო ჯგუფის ოქმი;
6. ფოტომასალა;
7. დაწესებულების ფიზიკურ სივრცეში განთავსებული მისია, ხედვა და ღირებულებები;
8. ინტერვიუირება;
9. ვიზუალური დათვალიერება

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

**1.2.1** პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა.

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს *„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“, მიხედვითაც* განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები და დაგეგმვის პროცესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენასთან და დამტკიცებასთან დაკავშირებული პროცედურები, გეგმების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი, ანგარიშების წარდგენა და ცვლილებების მომზადების ეტაპები.

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმა უნდა მოიცავდეს 7 წლიან ციკლს, რომელსაც თან ერთვის ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული დაგეგმვის და მოქმედი გეგმის გადახედვის ინიცირება ხდება კოლეჯის დირექტორის მიერ,

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ინიცირების ფაზაში ხდება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ფორმირება. დაგეგმვის ჯგუფის შემადგენლობა და რაოდენობა მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. დაგეგმვის ჯგუფის მიერ საბოლოოდ მოწონებულ სტრატეგიული გეგმის პროექტს ამტკიცებს დირექტორი. დამტკიცების შემდეგ გეგმა საჯაროდ გამოქვეყნდება კოლეჯის ვებ. გვერდზე. დოკუმენტში ბოლო ცვლილება შესულია 2022 წლის 29 აპრილს, რომლის საფუძველზეც კორექტირებულია *„სტრატეგიული გეგმის მომზადებისა და განხილვის“* და *„სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების“* პუნქტები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული ცვლილება განაპირობა კოლეჯის შიდა პროცესებისა და მარეგულირებელი დოკუმენტების გაუმჯობესების ციკლის დასაწყისმა, რომელიც ეფუძნებოდა მონიტორინგის შედეგებსა და გარე ექსპერტების რეკომენდაციებს.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის (დირექტორის) მიერ და შემუშავებულია „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მოიცავს ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას, პროცედურას, პროცესის აღწერასა და განსაზღვრავს ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის მეთოდს (აღნიშნული მოვალეობები გაწერილია შესაბამისი პერსონალის სამუშაო აღწერილობებში).

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. “სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის” დოკუმენტის მიხედვით, კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ემყარება 6 მიდგომას, მათ შორის ერთ-ერთია თანამონაწილეობა, კერძოდ: *„სტრატეგიული დაგეგმვა განიხილება როგორც თანამონაწილეობითი პროცესი, კოლეჯის პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით“*.

დაგეგმვის ჯგუფის მიერ დამტკიცებული გეგმის და ჯგუფის წევრთა პასუხისმგებლობების შესაბამისად, ხდება დაინტერესებულ პირთა (სამიზნე ჯგუფები, ფოკუს ჯგუფები) გამოკითხვები, რომლის ანალიზის შედეგად ზუსტდება მათი მოლოდინები კოლეჯის მიმართ. ხედვის, მისიის და სტრატეგიული მიზნების განაცხადი ქვეყნდება საჯარო სივრცეში. სულ მცირე ერთი კვირის განმავლობაში კოლეჯის სხვა წევრებს და დაინტერესებულ პირებს ექნებათ საშუალება გამოთქვან მოსაზრებები და გააზიარონ საკუთარი უკუკავშირი. გარდა ამისა, სტრატეგიული გეგმის განხილვისას - *„დაგეგმვის ჯგუფი ატარებს ღია პრეზენტაციას, რომლის შესახებ ინფორმაცია სულ მცირე ერთი კვირით ადრე საჯაროდ ვრცელდება. განხილვას უნდა დაესწროს კოლეჯის საქმიანობით დაინტერესებული შესაძლო ყველა პირი კოლეჯის თანამშრომლების ან/და მოწვეული ექსპერტები ან/და პარტნიორები“*, რაც ასევე ასახულია სტრატეგიული გეგმის პუნქტი 2.2-ით განსაზღვრული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებით 1-7 წლის განმავლობაში. ამასთან, „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ მე-9 პუნქტი განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის და მოქმედი გეგმის გადახედვის ინიცირებას, რომელიც ხდება კოლეჯის დირექტორის მიერ, მოქმედი სტრატეგიის გეგმით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე

პროცედურების აღწერითი მხარე ადასტურებს, რომ დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია, კოლეჯმა წარმოადგინა სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესის ამსახველი და მასში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026), რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 25 მაისის დირექტორის N02-01-101 ბრძანებით, ხოლო მასში ბოლო ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 2022 წლის 25 თებერვლის N02-01-56 ბრძანებით. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხუთი სტრატეგიული მიზანი, რომელიც თავსებადია მისიასთან. სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, შესაბამისი ამოცანები, აქტივობები, განხორციელების პერიოდი, ფინანსები, რესურსები, შესრულების ინდიკატორი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები. აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის 3.5 პუნქტში 5 სტრატეგიული მიზნის ნაცვლად მითითებულია 7 მიზანი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ცვლილების დროს მოახდინეს სტრატეგიული მიზნების გამსხვილება, რამაც გამოიწვია მიზნების რაოდენობრივი და არა შინაარსობრივი კლება/ცვლილება, ხოლო 3.5 პუნქტის ჩანაწერი წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს.

*<u>აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყონ ტექნიკური ხასიათის შეცდომების გასწორება სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტში, ხოლო მისი დაშვების პრევენციის მიზნით, პრაქტიკაში დანერგონ დამატებითი შემოწმების მექანიზმები.</u>*

კოლეჯს შემუშავებული აქვს 2022 წლის (იანვარი-დეკემბერი) სამოქმედო გეგმა, რომელიც ორიენტირებულია სტრატეგიული განვითარების გეგმის ხუთივე მიზანზე და მასში გაწერილია: მიზნები, ამოცანები, აქტივობები, განხორციელების პერიოდი, შესრულების ინდიკატორი, ფინანსური და მატერიალური რესურსი, განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 2 მარტის N02-01-63 ბრძანებით, რომელიც მოიცავს 2022 წლის იანვარი-დეკემბრის პერიოდს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ რეავტორიზაციისთვის მზადების პროცესი დაიწყეს 2022 წლის თებერვლის თვეში, რის ფარგლებშიც დაგეგმილი იყო დოკუმენტების გადახედვა, მათ შორის სამოქმედო გეგმის. სწორედ აღნიშნული პროცესის დაწყების შემდეგ მოხდა სამოქმედო გეგმის შემუშავება, წლის პირველი კვარტლის განმავლობაში კოლეჯი მოქმედებდა სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, რომელშიც აღნიშნულია შესაბამისი წლის განსახორციელებელი ამოცანები. ექსპერტებმა დამატებით გამოითხოვეს საფინანსო დარგში კოლეჯის დირექტორის მოადგილის, კოლეჯის ფინანსური მენეჯერის, სტუდენტური სერვისების სპეციალისტის და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის 2022 წლის პირველი კვარტლის ანგარიში, რაც ადასტურებს, რომ კოლეჯი წლის დასაწყისში აქტიურად მიყვებოდა დასახულ მიზნებს, მიუხედავად სამოქმედო გეგმის დოკუმენტის არქონისა. შესაბამისად 2022 წლის სამოქმედო გეგმის პირველი კვარტლის ამოცანები მოიცავს დაწესებულების მიერ განხორციელებულ აქტივობებს. ამასთან 2022 წლის სამოქმედო გეგმაში კოლეჯმა, შექმნილი ვითარების განმეორების თავიდან აცილების მიზნით, გაითვალისწინა 2023 წლის სამოქმედო გეგმის შედგენის საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, ყოველი მომდევნო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის განსაზღვროს შესაბამისი სამუშაოების შესრულების, მოქმედი სამოქმედო გეგმის მოქმედების ამოწურვამდე, გონივრული ვადა, რათა უზრუნველყოს წლიურ სამოქმედო გეგმებს შორის წყვეტის პრევენცია.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ (ბრძანება N02-01-52 - 20.03.2020, უკანასკნელი ცვლილება - N02-01-148 – 29.04.2022);
2. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების შეხვედრის ოქმი და ფოტომასალა;
3. სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026) (ბრძანება N02-01-101 - 25.05.2022, უკანასკნელი ცვლილება - N02-01-56 - 25.02.2022);
4. 2022 წლის სამოქმედო გეგმა (ბრძანება N02-01-63 - 02.03.2022);
5. 2022 წლის კვარტალური ანგარიშები;
6. ინტერვიუს შედეგები.

### **1.2.2** პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

### კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში გაწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურები და ვადები, რომლის მიხედვითაც სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ, რომელსაც ახორციელებს დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ - სამოქმედო გეგმის წლიური შესრულების ანგარიშის საფუძველზე. დოკუმენტში ასევე მოკლედ არის განსაზღვრული შეფასების მეთოდოლოგია. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას 2022 წლის სამოქმედო გეგმის ბოლოო ნაწილში წარმოდგენილი აქვს *„სამოქმედო გეგმის დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგი და შეფასება“*, რომელიც ითვალისწინებს ყოველწლიურ, შუალედურ და ყოველთვიურ მონიტორინგს და ანგარიშგებას. *ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული პერიოდულობა ასევე ასახოს „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტშიც.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამოქმედო გეგმის დოკუმენტის მიხედვით, გეგმის შეფასებაში ჩართული არიან შემდეგი დაინტერესებული პირები: კოლეჯის დირექცია, სამეთვალყურეო საბჭო, დამსაქმებლები, საწარმოების წარმომადგენლები, სამოქალაქო საზოგადოება, პარტნიორები. მონიტორინგისათვის გამოყენებული იქნება კოლეჯის მიერ შესაბამისი ინდიკატორების საფუძველზე შეგროვილი მონაცემები.

ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი 2021 წლის სამოქმედო გეგმის 6 თვის ანგარიში, 2021 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში და დირექტორის 2021 წლის ანგარიში. ასევე, სხვადასხვა სამსახურის 2022 წლის პირველი კვარტლის ანგარიშები. ანგარიშები ორიენტირებულია გეგმის ამოცანების შესრულების მონიტორინგზე და ფასდება შემდეგი მიმართულებით: შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, პროცესშია, ვერ შესრულდა. ნაწილობრივი ან ვერ შესრულების შემთხვევაში მოკლედ არის აღწერილი გარემოება და მიზეზები.

დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუირების შედეგად დგინდება, რომ კოლეჯი ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, დაწესებულებამ წარმოადგინა 2020 და 2021 წლების სამოქმედო გეგმების ანგარიშები, ასევე 2021 წლის სამოქმედო გეგმის 6 თვიანი ანგარიში, რომლებიც ასევე განთავსებულია კოლეჯის ვებ. გვერდზე. ანგარიშებში აღწერილია კონკრეტული ინდიკატორის შესრულებასთან დაკავშირებული შეფასება - შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, პროცესშია, ვერ შესრულდა. შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში განმარტებულია შეუსრულებლობის მიზეზი. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა შეუსრულებელი ამოცანების სამი ძირითადი მიზეზი: პანდემია, ფინანსური უზრუნველყოფის არქონა, რეგიონში არსებული გარემო ფაქტორები (მაგ. კადრის დეფიციტი). მაგალითად, 2021 წლის სამოქმედო გეგმით გაწერილი იყო ახალი საშტატო ერთეულების დამატება კოლეჯის მატერიალურ ტექნიკური ბაზის ზრდის პარალელურად, თუმცა ვერ მოხერხდა საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის და ადამიანური რესურსების მენეჯერის პოზიციების დამატება, რამაც გამოიწვია მისი ნაწილობრივ შესრულება. დაწესებულების წარმომადგენლებმა ისაუბრეს რეაგირების ნაბიჯებზე (სამინისტროსთან მოლაპარაკება, ვაკანსიის გამოცხადება, ხელშეკრულებით თანამშრომლის აყვანა), რამაც შედეგი გამოიღო და აღნიშნულ პოზიციებზე 2022 წელს აიყვანეს კადრები. აღსანიშნავია, რომ შეუსრულებელი ან/და ნაწილობრივ შესრულებული საკითხები დაწესებულებას გადატანილია აქვს შემდეგი წლის სამოქმედო გეგმაში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების ვებ. გვერდზე განთავსებულია 2020-2026 წლების 7 წლიანი სტრატეგიული და 2020, 2021 და 2022 წლების სამოქმედო გეგმები. საიტზე ასევე განთავსებულია და საჯაროდ ხელმისაწვდომია სამოქმედო გეგმების წლიური და 6 თვის ანგარიშები, ასევე 2021 წლის დირექტორის წლიური ანგარიშები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“ (ბრძანება N02-01-52 - 20.03.2020, უკანასკნელი ცვლილება - N02-01-148 – 29.04.2022);
2. 2022 წლის სამოქმედო გეგმა (ბრძანება N02-01-63 - 02.03.2022);
3. სსიპ კოლეჯის „აისი“ 2021 წლის სამოქმედო გეგმის 6 თვიანი და წლიური ანგარიშები;
4. დირექტორის ანგარიში 2021 წელს განხორციელებული საქმიანობის, გამოწვევების და სამომავლო მიზნების შესახებ;
5. 2022 წლის კვარტალური ანგარიშები;
6. კოლეჯის ვებ გვერდი;
7. ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

### 3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

**3.1.1** პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია.

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (ცვლილება - 29.04.2022 N02-01-149) დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", რომელიც მოიცავს პროფესიული სტუდენტის სტატუსთან (მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა) დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული წესი არეგულირებს, ასევე, სსსმ და არასრულწლოვანი პირების ჩარიცხვის თავისებურებებს, მობილობისა და ფორმალური განათლების აღიარების, კვალიფიკაციის მინიჭებისა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის საკითხებს. დაწესებულების შიდა მარეგულირებელში - „სსიპ კოლეჯის ,,აისი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები" (დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,აისი" დირექტორის 2021 წლის 9 ივლისის N 02-01-187 ბრძანებით, ცვლილება - დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-77 ბრძანებით), მოცემულია სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების წესები, დაინტერესებულ პირთა კონსულტირების საკითხები, აპლიკანტთა რეგისტაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ტესტირების ორგანიზების საკითხები, კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, განსაზღვრულია არასრულწლოვანი პირის ჩარიცხვის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის არსებობისა და დადასტურების წესები (შესაბამისი დოკუმენტები). მარეგულირებლით განსაზღვრულია, ასევე, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა. ნუსხაში შეტანილია „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა მიერ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის #147 ბრძანებით განსაზღვრული, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აღიარებული დოკუმენტი პირის მიერ ზოგადი ან საშუალო ან იმ განათლების მიღების შესახებ"

შიდა რეგულაციებით განსაზღვრული დებულებები არ ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ („პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები") და 2019 წლის 20 სექტემბრის №198/ნ („პროფესიული სტუდენტის მობილობის წესი"), 2020 წლის 28 დეკემბრის №121/ნ („ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი) ბრძანებების მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნული დებულებების პრაქტიკაში შესრულების შესამოწმებლად, ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით რამდენიმე პროგრამაზე გადაამოწმეს სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურები. 2021 წლის 2 ივლისს გამოიცა კოლეჯის დირექტორის N02-01-183 ბრძანება „2021 წლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა მიღების გამოცხადების მიზნით, სსიპ კოლეჯის „აისი" მიერ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალურ პროგრამაში ინფორმაციის ასახვის ვადების განსაზღვრის თაობაზე". კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 აგვისტოს გამოიცა N02-01-238 (ცვლილება 02-01-254 07.09. 2021) ბრძანება - „სსიპ კოლეჯში „აისი" 2021 წელს სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით შერჩევის კომისიების შექმნა, შერჩევის ადგილისა და დროის განსაზღვრის და აპლიკანტთა შეფასების ფორმების და პირობების დამტკიცების შესახებ". ბრძანებით განსაზღვრულია: მოტივაციური გასაუბრების კომისიის შემადგენლობა, პროგრამების დასახელებები, გასაუბრების თარიღები და საათი. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე, შეისწავლა კომისიის მუშაობის ამსახველი დოკუმენტები - გასაუბრების კითხვარები და შეფასებები. სსიპ კოლეჯში „აის"ი გამოიცა

დირექტორის 2021 წლის 1-ლი ოქტომბრის N02-01-288 ბრძანება 2021 წლის მიღებისთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე რეიტინგული სიების დამტკიცების შესახებ. 2021 წლის 10 ოქტომბრის მიმღები კომისიის N3 სხდომის ოქმის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორის მიერ 2021 წლის 10 ოქტომბერს გამოცემულია N01/64 ბრძანება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ. აღნიშნული პროცესები განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში, რაც გადამოწმდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, შეჩერება, აღდგენა, მობილობასთან დაკავშირებული პრაქტიკის შემოწმების მიზნით, ექსპერტებმა გამოითხოვეს აღნიშნული პროცესების ამსახველი დამადასტურებელი დოკუმენტები.

2021 წლის 19 მაისს გამოცემულია კოლეჯის დირექტორის Nკ-01-19 ბრძანება პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული ბრძანებით პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეუწყდა ერთ სტუდენტს, რომლის საფუძვლად მითითებულია მშობლის განცხადება, ოჯახური მდგომარეობის გამო, მისი არასრულწლოვანი შვილისთვის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე. ასევე, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 17 თებერვლის Nკ-01-11 ბრძანებით პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეწყვეტილი აქვს ერთ პროფესიულ სტუდენტს. ამ შემთხვევაში, საფუძვლად მითითებულია არასაპატიო გაცდენების დიდი რაოდენობა. კოლეჯის დირექტორის ბრძანებას ახლავს სსიპ კოლეჯის „აისი" დისციპლინური კომიტეტის სხდომის N1 ოქმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულების შინაგანაწესის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის ე ქვეპუნქტის თანახმად, სტუდენტის მიერ გაკვეთილის არასაპატიო მიზეზით გაცდენა ითვლება დისციპლინურ გადაცდომად (აღნიშნული ინფორმაცია მიმდინარე რეგულაციების თანახმად, მოცემულია დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-75 ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული სტუდენტის/მსმენლის განაწესში). კომისიამ შეისწავლა სტუდენტის დასწრებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი და დაადგინდა, რომ სტუდენტს აქვს არასაპატიო გაცდენების დიდი ოდენობა (საკონტაქტო საათების ერთ მესამედზე მეტი). აღნიშნული პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეწყვეტის შესახებ საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

*აღსანიშნავია, რომ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", მე-12 მუხლის, 12.2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტში მითითებულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების ერთ მესამედზე მეტის გაცდენა (საპატიო, არასაპატიო)" დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ეხება არასაპატიო გაცდენების ოდენობას, შესაბამისად ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, აღნიშნული ფორმულირების დაკორექტირების შესახებ.*

ექსპერტებმა შეისწავლეს ასევე სტუდენტის სტატუსის შეჩერება-აღდგენის შემთხვევები. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 ივნისის Nკ-01-23 ბრძანებით ერთ-ერთ პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ბრძანებას თან ახლავს აღნიშნული სტუდენტის პირადი განცხადება სტატუსის შეჩერების შესახებ. აღნიშნულმა პირმა 2021 წლის 16 ივნისს კოლეჯის დირექტორს მიმართა სტატუსის აღდგენის განცხადებით, რომლის 2021 წლის 25 ივნისის კ-01-30 ბრძანებით აღნიშნულ სტუდენტს აღუდგა პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ბრძანებას

თან ახლავს, ასევე, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი (N629640 25.06.2021), რომელშიც აღნიშნულია, რომ სტუდენტის მიერ გავლილი მოდულების სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებული ინფორმაციის და უწყისების გადამოწმების შედეგად, შესაძლებელია პირს აღუდგეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი იმავე პროგრამაზე და სწავლა განაგრძოს, სხვა ჯგუფში. აღნიშნული ინფორმაცია ასახულია, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (evet.emis.ge).

ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა, მობილობის პრაქტიკაც. დაწესებულებამ წარმოადგინა გარე მობილობის დამადასტურებელი დოკუმენტები. კოლეჯის დირექტორის მიერ 2021 წლის 15 ნოემბერს გამოიცა Nკ-01-73 ბრძანება სსიპ კოლეჯში „აისი“ პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ. ბრძანების თანახმად, ერთ-ერთი სტუდენტი გარე მობილობით ჩაირიცხა „მეფუტკრეობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ბრძანებას თან ახლავს სტუდენტის განცხადება; კოლეჯის „აისი“ წერილი იმ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი, რომლიდანაც გადმოვიდა პროფესიული სტუდენტი, სადაც ითხოვს აღნიშნული პროფესიული სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტაციას და ინფორმაციას პროგრამის ფარგლებში გავლილი მოდულებისა და დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ. ასევე, წერილზე მიღებულ კორესპონდენციას, რომლის თანახმადაც პროფესიულ სტუდენტს მხოლოდ ერთი კვირის დაწყებული ჰქონდა სწავლა, შესაბამისად, მოდულის დასრულება ან/და შედეგების დადასტურება არ ფიქსირდებოდა მიმდინარე პერიოდისთვის. აღნიშნული პროფესიული სტუდენტის შესახებ ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. (evet.emis.ge). ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯი იცავს კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულ დებულებებს.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მუხლი 27) არეგულირებს კვალიფიკაციის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის პროცედურას. დებულება არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეისწავლეს კვალიფიკაციის მინიჭების დოკუმენტები. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 18 აგვისტოს Nკ-01-49 ბრძანებით კვალიფიკაცია მიენიჭა 22 სტუდენტს. ბრძანებას თან ახლავს: სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის სამსახურებრივი ბარათი, პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამის დასრულების შესახებ; დირექტორის 2021 წლის 10 აგვისტოს N02-01-220 ბრძანება საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ და საკვალიფიკაციო კომისიის 2021 წლის 17 აგვისტოს ოქმი N21, ოქმი N22. კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა განხორციელებულია კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტის შესაბამისად.

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (თავი V, მუხლი 19), უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე, ხოლო მობილობისათვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის შემთხვევაში კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს სთავაზობს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ასევე, დაწესებულებას რეგულაციაში ასახული აქვს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონით (მუხლი 8.5) გათვალისწინებული უფლება „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია“.

ზემოაღნიშნული წესი არეგულირებს, ასევე, ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების საკითხებს, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს (თავი 5), თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯს არ აქვს მოპოვებული არაფორმალური განათლების აღიარების უფლება,

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (თავი 7) მოიცავს ინფორმაციას, სტუდენტების შეფასების სისტემაზე, შეფასების პროცესის დაგეგმვისა და შეფასების შედეგების პროფესიული სტუდენტისათვის გაცნობის ვადებისა და პროცედურების შესახებ, ასევე შეფასების შედეგების აპელაციის წესებს. დოკუმენტში განსაზღვრული დებულებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ სტუდენტთა პორტფოლიოები, სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის შედეგები და სხვა (ვრცლად იხილეთ მე-2 სტანდარტის აღწერა).

დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-75 ბრძანებით შემუშავებულია, „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა განაწესი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროფესიულ სტუდენტთა/კანონიერ წარმომადგენელთან უფლებების, მოვალეობების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, წახალისების, პირადი საქმის შესახებ ინფორმაციას. ასევე, ინფორმაციას სტუდენტური პანსიონატით სარგებლობის შესახებაც. დაწესებულებას აქვს სტუდენტების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გატარების პრაქტიკა. სტუდენტთა და მსმენელთა განაწესის შესაბამისად, დაწესებულებამ, 9 პროფესიული სტუდენტის მიმართ, გამოიყენა მარეგულირებლის მე-10 მუხლის „დ“ და „ბ“ ქვეპუნქტები: „სტუდენტთა პანსიონიდან გასახლება და საყვედური“. შემთხვევის საფუძველს წარმოადგენს ალკოჰოლური სასმელების გამოყენება, ბილწსიტყვაობა და შეუფერებელი ქმედება პანსიონის ტერიტორიაზე, რომელიც აღწერილია სტუდენტთა პანსიონისა და სასტუმროს მენეჯერის სამსახურებრივ ბარათში (N1355031 13.12.2021). აღნიშნულის საფუძველზე, განაწესის შესაბამისად, კოლეჯის დირექტორის 20.11.2021 წლის 02-01-351 და 13.12.2021 წლის N02-01-379 ბრძანებებით, 9 პროფესიულ სტუდენტს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა. სტუდენტებს აღნიშნული გადაწყვეტილება არ გაუსაჩივრებიათ.

პროფესიული სტუდენტებისთვის მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა დასტურდება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხელმოწერების ჟურნალით, სადაც პროფესიული სტუდენტები ხელმოწერით ადასტურებენ დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-13 მუხლის 13.1.2. პუნქტის თანახმად, კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად კოლეჯი სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან და სწავლების საწყის ეტაპზევე აცნობს საკუთარ უფლებებს.

სტუდენტების მიერ მათ უფლებების გაცნობის ფაქტი დასტურდება სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებითაც. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით სტუდენტი ადასტურებს, კოლეჯის „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა განაწესისა“ და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ გაცნობის ფაქტს (მუხლი 6.7).

აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, მათ შორის შეხვედრების ანგარიშები, ფოტოები და სტუდენტების ხელმოწერები, ინფორმაციის გაცნობასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული გადაამოწმა პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას. მათ დაადასტურეს საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და ინფორმაციის მიღების ფაქტი. ასევე აღნიშნეს, რომ იციან საკუთარი უფლებები, რომლებსაც საჭიროებისამებრ იყენებენ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემის აღმწერი პროცედურა გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (თავი 7, მუხლი 23.3), რომლის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტებს შეფასების სისტემის, მათ შორის აპელაციის პროცედურების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ საორიენტაციო შეხვედრისას. ხოლო კონკრეტული მოდულის ფარგლებში დაგეგმილ შეფასების სქემას სტუდენტს აცნობს მოდულის განმახორციელებელი პირი მოდულის განხორციელების პირველივე დღეს. შეფასების თარიღს და დროს სტუდენტს აცნობს მოდულის განმახორციელებელი პირი შეფასების ჩატარებამდე 5 დღით ადრე. პროცედურა არეგულირებს ასევე შეფასების შედეგების გაცნობის/უკუკავშირის წესებს. სწავლის შედეგის დადასტურება/ვერ დადასტურების შესახებ გადაწყვეტილებას მოდულის განმახორციელებელი პირი იმავე დღეს ასახავს შეფასების უწყისის ფორმაში და ერთი დღის ვადაში აცნობს სტუდენტს.

ვიზიტის პერიოდში, ექსპერტებმა შეისწავლეს შეფასების მტკიცებულებები. გამომდინარე იქიდან, რომ ზოგიერთი მათგანი საკმაოდ მოცულობითი იყო და მისი შეფასება მოითხოვდა დროის რესურსს, ეჭქვეშ დადგა განმახორციელებლის მიერ იმავე დღეს ნაშრომების (განსაკუთრებით წერილობითი გამოკითხვის შემთხვევაში) შეფასების შესაძლებლობა, შეფასების უწყისის ფორმაში ასახვა და ერთი დღის ვადაში პროფესიული სტუდენტებისთვის შედეგების შეტყობინება. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურირებისას აღინიშნა, რომ ხსენებული ვადები შემჭიდროვებულია და ზოგიერთ შემთხვევაში რთულდება მათი დაცვა.

*დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, გადახედოს განმახორციელებლის მიერ ნაშრომების გასწორებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის შედეგების გაცნობის ვადებს და მოცულობითი სამუშაოს შეფასების ან/და მეტი დროითი რესურსის საჭიროების შემთხვევებისთვის განსაზღვროს გონივრული ვადა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემისა და აპელაციის პროცედურების შესახებ. ექსპერტებმა სტუდენტებს სთხოვეს პროცესის აღწერა თუ როგორ ხდებოდა მათი შეფასებამდე ინფორმირება, როგორ იგებდნენ შეფასების შედეგებს, რა ღონისძიებები ტარდებოდა განმეორებითი შეფასების ან აპელაციის შემთხვევებში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ შეფასებამდე 5 დღით ადრე აწვდის მასწავლებელი ინფორმაციას სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ. ასევე, აღნიშნეს, რომ აქვთ ინფორმაცია გასაჩივრების უფლების შესახებ, თუმცა საჭიროება არ დამდგარა. შეფასების შედეგების გაცნობასთან დაკავშირებით სტუდენტებმა განაცხადეს, რომ შედეგებს განმახორციელებელი ინდივიდუალურად, პირადად აცნობს და ელექტრონულ ფოსტაზეც იღებენ შეტყობინებებს.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 23-ე მუხლში განსაზღვრულია „სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების/აპელაციის წესი“. აღნიშნული წესის თანახმადა, სტუდენტს შეფასების შედეგის გასაჩივრების უფლება წარმოეშობა შედეგების გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს. სტუდენტი, შედეგების გასაჩივრების მიზნით, განცხადებით მიმართავს დირექტორს, რომელიც იმავე დღეს ქმნის სპეციალურ კომისიას, ხოლო კომისია იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილების წარმოშობიდან არაუგვიანეს 2 კალენდარულ დღეში, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით. დაწესებულების წარმომადგენლებმა, ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ გასაჩივრების პრაქტიკა არ ჰქონიათ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიულ სტუდენტებთან, მათ შორის არასრულწლოვან პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, გადამოწმდა ზოგიერთი პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე. კოლეჯში ჩარიცხული არიან არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტები, რომელთა პირად საქმეში განთავსებული იყო მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები. არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილ წარმომადგენლთან. აღნიშნულის გათვალისწინებით ხელშეკრულებების შინაარსი არ არის წინააღმდეგობაში კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებთან. გარდა ამისა, კოლეჯში მოქმედებს შემდეგი პრაქტიკა: პროფესიული სტუდენტის არასრულწლოვანების შემთხვევაში, ხელშეკრულება ფორმდება მის კანონიერ წარმომადგენელთან, ხოლო მისი სრულწლოვნად გახდომის შემდეგ დაწესებულება განმეორებით აფორმებს ხელშეკრულებას სრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან. აღნიშნული პრაქტიკის განმარტებად დაწესებულებამ სტუდენტებთან ურთიერთობის მოქნილობა დაასახელა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მუხლი 18) მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს. აღნიშნული შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შემთხვევები, რომელიც ამავდროულად ითვალისწინებს შშმ პირთა სწავლების სპეციფიკას, პროცედურებს, გეგმის შემუშავებაში ჩართული პირების შემადგენლობას, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში პროფესიული სტუდენტების ჩართულობის შესახებ საკითხებს. აღნიშნული რეგულაცია განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შემდეგ შემთხვევებს: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის (სსსმ პირებისთვის), ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ), გ) სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ), დ) მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას.

კოლეჯს საანგარიშო პერიოდში არ ჰყოლია ინდივიდუალური გეგმით მოსარგებლე პროფესიული სტუდენტები, რაც გადამოწმდა კოლეჯის პერსონალთან და მასწავლებლებთან ინტერვიურებით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (ცვლილება - 29.04.2022 N02-01-149) დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 9 ივლისის N 02-01-187 ბრძანებით (ცვლილება - 14.03.2022 N02-01-77)დამტკიცცებული სსიპ კოლეჯის ,,აისი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები;
3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 2 ივლისის N02-01-183 ბრძანება 2021 წლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა მიღების გამოცხადების მიზნით;
4. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 24 აგვისტოს N02-01-238 (ცვლილება 02-01-254 07.09. 2021) ბრძანება - სსიპ კოლეჯში „აისი" 2021 წელს სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით შერჩევის კომისიების შექმნა, შერჩევის ადგილისა და დროის განსაზღვრის და აპლიკანტთა შეფასების ფორმების და პირობების დამტკიცების შესახებ;
5. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 1-ლი ოქტომბრის N02-01-288 ბრძანება სსიპ კოლეჯ აისის ლაგოდეხის ფილიალში 2021 წლის მიღებისთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე რეიტინგული სიების დამტკიცების შესახებ;
6. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 10 ოქტომბრის N01/64 ბრძანება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ;
7. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 მაისის Nკ-01-19 ბრძანება პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
8. კოლეჯის დირექტორი 2020 წლის 17 თებერვლის Nკ-01-11 ბრძანება პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
9. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 ივნისის Nკ-01-23 ბრძანება პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების შესახებ;
10. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 25 ივნისის კ-01-30 ბრძანება პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენის შესახებ;
11. კოლეჯის დირექტორის მიერ 2021 წლის 15 ნოემბრის Nკ-01-73 ბრძანება სსიპ კოლეჯ აისში მობილობით გადმოსული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ;
12. დირექტორის 2021 წლის 10 აგვისტოს ბN02-01-220 ბრძანება საკვალიფიკაციო კომისიის შექმნის შესახებ და საკვალიფიკაციო კომისიის 2021 წლის 17 აგვისტოს ოქმები N21, N22;
13. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 18 აგვისტოს Nკ-01-49 ბრძანებთ პროფესიული სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მიენიჭების შესახებ;
14. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-75 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა განაწესი;
15. პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურიების შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.2.1** პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება.

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებს უწევს სათანადო კონსულტაციებს და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, რაც გათვალისწინებულია სტუდენტური სერვისების სპეციალისტის სამუშაო აღწერილობაში. ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლის ვალდებულებად განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტებისთვის მიღწეული შედეგების განხილვა პერსონალური მონაცემების დაცვით. ინტერვიუირებით დასტურდება, რომ აკადემიური მიღწევების შესახებ უკუკავშირის მიღებასთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტები განმახორციელებლებისგან რეგულარულად იღებენ მითითებებს და რჩევებს როგორც შეფასებამდე, ასევე შეფასების შემდგომ.

აღსანიშნავია, რომ რეგულაციებში განმავითარებელი შეფასებასთან დაკავშირებით კონკრეტული ჩანაწერები არ იკვეთება, თუმცა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ყოველდღიურ სალექციო რეჟიმში მასწავლებლები აძლევენ მითითებებს და რჩევებს განმავითარებელი შეფასების ფარგლებში.

*დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რეგულაციაში ასახოს განმავითარებელი შეფასების ჩატარების და მის ფარგლებში სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდების ფორმა.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-13 მუხლით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები, რომელიც ხორციელდება როგორც სწავლის დაწყებამდე, ასევე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს, გაცნობით სახის შეხვედრების ჩატარების გზით - პრეზენტაციები კოლეჯის სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, მათი

ვალდებულებების, შინაგანაწესის მოთხოვნების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, შეფასების სისტემის, ეთიკის ნორმების, უსაფრთხოების და სხვა წესების შესახებ.

ექსპერტებმა შეისწავლეს ადმინისტრაციის სამუშაო აღწერილობები, რის შედეგადაც ირკვევა, რომ სტუდენტური სერვისების სპეციალისტის, სასწავლო პროცესის მენეჯერისა და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები მოიცავს სწავლის დაწყების მომენტიდან, პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის საკითხებს. ამასთან, ზემოთ ხსენებული რეგულაციით, დაწესებულების ყველა თანამშრომელს კომპეტენციის ფარგლებში ევალება პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა.

ვიზიტის პერიოდში, მტკიცებულებების სახით დაწესებულებამ წარმოადგინა 2020-2021 წლებში ჩატარებული შეხვედრების ოქმები, ფოტოები და დასწრების ფურცლები. მაგალითად, 2021 წლის სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა მიღებასთან დაკავშირებით, 24 ნოემბერს ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრა, სადაც კოლეჯის დირექტორმა და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერმა გააცნეს პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სტუდენტური სერვისები, კარიერის დაგეგმვა და დასაქმების შესაძლებლობები.

დაწესებულება ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, რისთვისაც ახორციელებს სხვადასხვა გაცნობითი სახის აქტივობებს, როგორც მარეგულირებელი დოკუმენტების, ასევე სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი სივრცეებისა და მოქმედი სერვისების შესახებ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-13 მუხლით, "პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უფლებები და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ", დადგენილია პროფესიულ სტუდენტთათვის ადმინისტრაციული დახმარების გაწევა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში. კერძოდ, ცნობის, სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება და სხვა. ამავე რეგულაციის მე-13 მუხლის 13.1 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით და "სტუდენტთა განაწესის" მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით პროფესიულ სტუდენტს მინიჭებული აქვს ადმინისტრაციული დახმარების მიღების უფლება. ამასთან, სტუდენტური სერვისების სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა მოიცავს პროფესიული სტუდენტისთვის, გონივრულ ვადაში ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაწევას.

ვიზიტის პერიოდში, ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული სტუდენტების ადმინისტრაციისადმი განცხადებით მიმართვის სხვადასხვა შემთხვევები - სტუდენტის განცხადება და მასზე გაცემული ცნობა სწავლის ფაქტის შესახებ, განცხადება ჯგუფის ცვლილების შესახებ და შესაბამისი ბრძანება, განცხადება სტატუსის შეწყვეტის შესახებ და შესაბამისი ბრძანება, სტატუსის შეჩერების და აღდგენის მტკიცებულებები შესაბამისი განცხადებებით და ბრძანებებით, მობილობის დოკუმენტაცია პროფესიული სტუდენტის სხვა კოლეჯიდან გადმოსვლასთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაწევის ვადები დაცულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ადმინისტრაცია ზრუნავს პროფესიული სტუდენტების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე და უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, თუმცა ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით არ იძებნება პროფესიული სტუდენტის განცხადება, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაწეული ადმინისტრაციული მხარდაჭერა გაფორმებული იქნას დოკუმენტურად.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" 13.5 პუნქტი აღწერს *„დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმებს",* რომლის მიხედვითაც "კოლეჯი ყოველმხრივ ახალისებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო, საექსკურსიო-შემეცნებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას, რომელნიც შეესაბამება კოლეჯის მიზნებსა და საქმიანობის სფეროს". ინიციატივების განხორციელებისათვის საინიციატივო ჯგუფი ან ინიციატორი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს და დირექტორის თანხმობის შემთხვევაში განისაზღვრება ფინანსური და/ან მატერიალურ -ტექნიკური მხარდაჭერის ფორმა, სახე და ზომა, კოლეჯის რესურსების შესაბამისად. კოლეჯი წლის განმავლობაში 3 პრიორიტეტულ ინიციატივას უჭერს მხარს, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების ფარგლებში.

კოლეჯი ასევე უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის შეჯიბრებების და აქტივობების წახალისებას, რაც იკვეთება სპორტული საქმიანობის ხელმძღვანელისა და ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო აქტივობების ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობებში: პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, სხვადასხვა სახის სპორტული შეჯიბრებების, შემეცნებითი და ინტელექტუალური საღამოების მოწყობის უზრუნველყოფა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მტკიცებულებების სახით, დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს წარუდგინეს ზემოთხსენებული პოზიციებზე დასაქმებული პირების ანგარიშები და აქტივობების მოწყობის დამდასტურებელი დოკუმენტაციას. კერძოდ, 2019 – 2022 წლებში ჩატარებული ინტელექტუალურ-შემეცნებითი კონკურსები, პროექტები, სპორტული შეჯიბრებები და სხვადასხვა აქტივობები („მათემატიკური ამანათმრბენი", კონკურსი "ავიმაღლოთ ინტელექტი", „კოლეჯის მოაზროვნე", "რა სად როდის", "აბა გამოიცანი", ფრენბურთის და ფეხბურთის შეჯიბრებები და ა.შ.)

აღსანიშნავია, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს პროფესიულ სტუდენტთა "სურვილების ყუთი", სადაც მათ აქვთ შესაძლებლობა თავიანთი სურვილების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით)განათავსონ თავიანთი სურვილები, რომელთაც თვეში ერთხელ განიხილავენ და შესაბამისი სამსახურებრივი ბარათით მიმართავენ დირექტორს სტუდენტური სერვისების სპეციალისტი და ხარისხის მართვის მენეჯერი. ზემოთხსენებული ყუთის ფუნქციონირება დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურირებისას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 13.2 პუნქტი აღწერს სტუდენტებთან ეფექტურ თანამშრომლობასა და უკუკავშირს, რომლის მიხედვითაც კოლეჯი იკვლევს პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. აღნიშნულთან დაკავშირებით „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის საჭიროების და კმაყოფილების კვლევას, რომლის მიზანია სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება. პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა ტარდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეისწავლეს 2020 და 2021 წლებში ჩატარებული პროფესიული სტუდენტების საჭიროების და კმაყოფილების კვლევები, სადაც აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია, გაანალიზებულია შედეგები და გაცემულია რეკომენდაციები. აღნიშნული კვლევის შედეგად დაფიქსირდა პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ინტერესები არაფორმალური აქტივობების და მასტერკლასების ინტენსიურად ჩატარების მიმართ. ამასთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს რომ აღნიშული გამოწვეული იყო პანდემიის პერიოდში დაწესებული შეზღუდვებით და გამოვლენილი შედეგების გაუმჯობესებისთვის 2022 წლის სამოქმედო გეგმაში შეტანილია კულტურული, შემეცნებითი სპორტული ღონისძიებების და მასტერკლასების ჩატარება. შესაბამისად 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში, დაწესებულებას განხორციელებული აქვს სპორტული შეჯიბრებები ფრენბურთსა და ფეხბურთში, მასტერკლასები „თმისა და სილამაზის მომსახურების“ და „მევენახეობა-მეღვინეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, რაც დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებებით და ოქმებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (უკანასკნელი ცვლილება - დირექტორის 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით);
2. 2022 წლის 14 მარტის N02-01-76 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
3. 2022 წლის 14 მარტის N02-01-75 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა განაწესი";
4. 2022 წლის 2 მარტის N02-01-63 ბრძანებით დამტკიცებული "2022 წლის სამოქმედო გეგმა";
5. 2021 წლის 31 დეკემბრის N02-01-411 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობები“;
6. მასტერკლასების ჩატარებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები და ოქმები;
7. სტუდენტებთან შეხვედრების და სხვადასხვა აქტივობების ოქმები;
8. სოციალურ ქსელში განთავსებული ფოტო მასალა;
9. ინტერვიუს შედეგები.

### **3.2.2** პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება.

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-13 მუხლი აღწერს კარიერული მხარდაჭერის მომსახურებებს და სერვისებს, რასაც კოლეჯი სთავაზობს არსებულ და პოტენციურ პროფესიულ სტუდენტებს. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები პოტენციური სტუდენტების ინფორმირების მიზნით, რეგიონის მასშტაბით, სხვადასხვა საჯაროს სკოლაში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრებისა და პრეზენტაციების ამსახველი სურათებისა და ოქმების სახით.

პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კოლეჯი პერიოდულად უტარებს ტრენინგებს სტუდენტებს ვაკანსიის მოძიების გზებსა და CV-ის შედგენის მეთოდებზე რაც დასტურდება წარმოდგენილი ანგარიშებით და ფოტო მასალით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-13 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, კოლეჯი აცნობს კურსდამთავრებულებს და პროფესიულ სტუდენტებს კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ სამუშაო შესაძლებლობებს, შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს და მოსალოდნელ ტენდენციებს, ასევე ეხმარება კურსდამთავრებულებს და პროფესიულ სტუდენტებს პრიორიტეტების განსაზღვრასა და კარიერის სწორად წარმართვაში, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური კონსულტაციების მეშვეობით. დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ინფორმირებას დასაქმების შესაძლებლობებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან მიმართებაში უზრუნველყოფს, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რომელსაც სისტემატიური ურთიერთობა აქვს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა მონაცემების ბაზის მართვას და განახლებას, რაც ასახულია მის ფუნქცია მოვალეობებში. კოლეჯში სტუდენტებს ინფორმირებისათვის გამოიყენება ყველა შესაძლო საშუალება - ზეპირსიტყვიერი და სატელეფონო შეტყობინებები, ელ. ფოსტა და სოციალური პლატფორმები. ასევე, ბოლო 4 წლის განმავლობაში ინფორმაციის ორგანიზებისთვის შექმნილია ბლოგი, რომელზეც სისტემატურად თავსდება ვაკანსიები და შემდეგ მათი გაზიარება ხდება სოციალური ქსლების პლატფორმაზე, ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წარმოადგინა ბლოგზე და სოციალურ პლატფორმაზე გაზიარებული ვაკანსიები, სტუდენტებთან გაგზავნილი მეილები და შეხვედრების ამსახველი ფოტო მასალა.

პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ მათ სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას ვაკანსიების და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ონლაინ პლატფორმებთან არ აქვთ წვდომა შესაძლოა მოხდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვაკანსიის ამობეჭდვა და მატერიალურად გადაცემა. პროფესიული სტუდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ კოლეჯის საშუალებით უკვე დასაქმდა და დაწესებულება აქტიურად ზრუნავს მის პროფესიულ განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ სტუდენტთა უმრავლესობას არ ქონდა ინფორმაცია ბლოგთან დაკავშირებით და ვაკანსიების მხოლოდ სოციალური ქსელების პლატფორმაზე ხელმისაწვდომობას ადასტურებდნენ.

*ინფორმაციის გავრცელების მოქნილობის მიზნებისთვის, ექსპერტების მხრიდან, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ უზრუნველყოს ბლოგის მეტად პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-13 მუხლის, 8.8 პუნქტის თანახმად, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით. აღნიშნულთან მიმართებაში, დაწესებულებამ წარმოადგინა 2020 და 2021 წლების, როგორც პროფესიულ სტუდენტთა ასევე კურსდამთავრებულთა კვლევები, რომელთა ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა კურსდამთავრებულთა სწავლის დასრულების შემდგომ საქმიანობასთან დაკავშირებით (დასაქმება /თვითდასაქმება /სტაჟირება/ სწავლის გაგრძელება და სწავლის დასრულების შემდგომი სხვა საქმიანობა) ინფორმაციის შეგროვება, დაუსაქმებლობის შემთხვევაში, უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირი და ა.შ. კვლევებში მოცემული ინფორმაციის თანახმად, გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ სატელეფონო ინტერვიუ. კოლეჯმა ასევე წარმოადგინა დამსაქმებელთა კვლევა, რომლის ძირითადი ამოცანაც იყო მათი მოთხოვნებისა და რეკომენდაციების იდენტიფიცირება პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების შესახებ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად კარიერული მომსახურების გაუმჯობესების საჭიროება არ გამოვლენილა, თუმცა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ 2020-2021 წლებში დასაქმების მაჩვენებელმა 75%-დან 65%-მდე დაიწია, თუმცა ამავდროულად გაიზარდა თვითდასაქმებულების რაოდენობა, რაც საერთო ჯამში შედეგს მნიშვნელოვნად არ ცვლის. მისი თქმით, დამსაქმებლებთან აქტიური კომუნიკაციით გეგმავს ამ ცვლილების გამოსწორებას, რაშიც პანდემიის რეგულაციების მოხსნაც დაეხმარება.

ასევე, დაწესებულებას 2022 წლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული აქვს - სტრატეგიული მიზანი N4 კოლეჯის სტუდენტების/მსმენელების მხარდამჭერი ღონისძიებების განვითარებისთვის შემდეგი ამოცანები: პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის ღონისძიებების ორგანიზება, პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, სტუდენტური სერვისების განვითარება. გეგმაში მოცემული აქტივობები ადასტურებს, რომ დაწესებულება უკუკავშირის საფუძველზე ზრუნავს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (ცვლილება - 29.04.2022 N02-01-149) დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. 2022 წლის სამოქმედო გეგმა (ბრძანება N02-01-63 - 02.03.2022);
3. პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიშები (2020 წელი, 2021 წელი);
4. კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიშები (2020 წელი, 2021 წელი);
5. საინფორმაციო შეხვედრების და პრეზენტაციების ამსახველი ფოტომასალა და ოქმები;
6. ვაკანსიის მოძიების გზებსა და CV-ის შედგენის მეთოდების შესახებ ჩატარებული ტრენინგების ფოტომასალა;
7. ბლოგზე და სოციალურ პლატფორმაზე გაზიარებული ვაკანსიების, სტუდენტებთან გაგზავნილი მეილების და შეხვედრების ამსახველი ფოტომასალა;
8. კურსდამთავრებულების კვლევის შედეგები;
9. პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 4. ადამიანური რესურსები

### 4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

**4.1.1** პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას.

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯის „აისი“ წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №118/ნ ბრძანების თანახმად, კოლეჯის მართვის ორგანოებს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი. დირექტორის 2021 წლის 31 დეკემბრის N02-01-411 ბრძანებაში *,,თანამშრომელთა ფუნქციონალური მოვალეობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“* დეტალურადაა აღწერილი დაწესებულების სტრუქტურით გათვალისწინებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თითოეული თანამშრომლის სამუშაო აღწერილობა, ფუნქცია-მოვალეობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე მითითებულია სამუშაოს შესასრულებლად რეკომენდებული კომპიუტერული პროგრამები და უცხოური ენების ცოდნის დონე.

თითოეული პოზიციისთვის ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდაა განსაზღვრული, არ არის ურთიერთგამომრიცხავი და არ იკვეთება გადაფარვები. შემუშავებული სამუშაო აღწერილობები შესაბამისობაშია დაწესებულების სტრუქტურასთან და სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესრულების შესაძლებლობას იძლევა.

*<u>ექსპერტების მიერ სამუშაო აღწერილობების შემოწმების შედეგად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში გათვალისწინებული იქნას ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობის მსგავსად.</u>*

*<u>ვინაიდან დაწესებულების სტრუქტურაში არ რის გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულები დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რეგულაციებში გამოყენებული აღნიშნული ტერმინი ჩაანაცვლოს შესაბამისად - პოზიციების დასახელებები.</u>*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სტრუქტურა და დირექტორის 2021 წლის 31 დეკემბრის N02-01-411 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის სამუშაო აღწერილობები“, რომლებიც <u>გაწერილია იმგვარად, რომ უნდა უზრუნველყოფდეს</u> კოლეჯის ძირითადი საქმიანობის შეუფერხებელ და სრულყოფილ განხორციელებას. თუმცა, ექსპერტებისთვის მოწოდებული საგნობრივ პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (დეტალურად იხილეთ საერთო მიმოხილვის ნაწილში) შესწავლით დგინდება, რომ სასწავლო პროცესის მართვისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვის ნაწილში გამოვლინდა გადაცდომები. კერძოდ, დაირღვა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის 2014 წლის 21 თებერვლის წლის N7 ოქმით დამტკიცებული „შინაგანაწესის“ მე-15 მუხლის და საქართველოს კანონის პროფესიული განათლების შესახებ“ თავი XII-ის გარდამავალი და დასკვნითი დებულებების 39-ე მუხლის $1^2$ პუნქტის მოთხოვნები, რაც მიუთითებს, რომ დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს ვერ უწყობს კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. ***<u>აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, უზრუნველყოს კოლეჯის მიერ დამტკიცებული რეგულაციების/ფუნქცია მოვალეობების პრაქტიკაში დანერგვა/გამოყენება, დელეგირებისა და მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის ამოქმედება, რათა გამორიცხოს კანონმდებლობასთან და მის მიერ შემუშავებულ რეგულაციებთან შეუსაბამობა და უზრუნველყოს მისი ძირითადი საქმიანობის შეუფერხებელი და სრულყოფილი განხორციელება.</u>***

დაწესებულების განმარტებით, მოქმედი სამუშაო აღწერილობების ძალაში შესვლამდე არსებულ ფუნქცია მოვალეობებში მკაფიოდ არ იკვეთებოდა დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების საკითხები, რის აღმოსაფხვრელადაც შემუშავდა ახალი სტრუქტურა და განისაზღვრა ზემდგომი და დაქვემდებარებული პირების დეტალური სამუშაო აღწერილობები, სადაც იკვეთება ანგარიშვალდებულების მკაფიო სისტემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, დირექტორის მიერ ჩატარა მოკვლევა (ოქმი N1 08.04.2022), რომლის მიხედვითაც გამოვლენილ გარემოებებზე რეაგირების მიზნით, კოლეჯის დირექტორის მიერ 2022 წლის 8 აპრილს გამოცემულია ბრძანება N04-01-51 სასწავლო პროცესის მენეჯერისთვის საყვედურის გამოცხადების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ მსგავსი გარემოებების დადგომის რისკი დაინახა მოდულურ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერების მიმართულებით, რასთან დაკავშრებითაც პრევენციის მიზნით, შეიმუშავა პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მონიტორინგის დოკუმენტი და გეგმავს შესაბამისი რეგულაციის შემუშავებას, სადაც განსაზღვრული იქნება როგორც მონიტორინგის ფორმა, ასევე მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

3. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია მოვალეობები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და იძლევა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების სისტემურად შეფასების შესაძლებლობას. თუმცა, დოკუმენტაციის (ბრძანება და ოქმები) შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი მონაწილეობდა პროფესიული განათლების მასწავლებლის და პროფესიული სტუდენტების შერჩევის პროცესში, რაც წინააღმდეგობაში მოდის მის სამუშაო აღწერილობასთან.

***ექსპერტთა შეფასებით, ვინაიდან ხარისხის მართვის მენეჯერი ჩართული იყო იმ პროცესებში, რომელთა შეფასება შედის მის ფუნქცია მოვალეობებში, იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია, იხელმძღვანელოს განსაზღვრული სამუშაო აღწერილობებით და შემუშავებული რეგულაციებით, რითაც გამოირიცხება ინტერესთა კონფლიქტის დადგომის რისკი.***

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, აღნიშნული გარემოება განპირობებული იყო პანდემიური მდგომარეობით შექმნილი ვითარებით - პერსონალის სამუშაო ადგილზე სისტემატიური გამოცხადების შეუძლებლობით, რაც თავის მხრივ აისახებოდა სამუშაო ძალის ნაკლებობით. ზემოაღნიშნული ფაქტი დაწესებულების მიერ ფასდება როგორც გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამონაკლისი, რომელიც დაწესებულების წარმომადგენლების მტკიცებით მოხდა „ერთჯერადად“.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. კოლეჯის წესდება;
2. 2021 წლის 31 დეკემბრის N02-01-411 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის სამუშაო აღწერილობები“;
3. 2022 წლის 18 აპრილის N02-01-128 ბრძანება "თანამშრომელთა შერჩევის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ";
4. 2021 წლის 24 აგვისტოს N02-01-238 ბრძანება „აპლიკანტთა შერჩევის მიზნით კომისიის შექნის შესახებ“
5. 2022 წლის 19 აპრილის კომისიის სხდომის ოქმი N1;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. 2022 წლის 21 აპრილის კომისიის სხდომის ოქმი N2;
7. 2021 წლის 8 სექტემბრის კომისიის სხდომის ოქმი N19;
8. ინტერვიუს შედეგები.

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას.

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ- ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2021 წლის 12 ივლისის N02-01-193 ბრძანებით დამტკიცებულია „შინაგანაწესი“, სადაც გაწერილია დასაქმების მსურველთა შერჩევისა და სამსახურში აყვანის წესი; სამსახურში მიღებისას წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი; შრომითი ურთიერთობების შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები. ასევე, დასაქმებულის უფლებები, მოვალეობები და ვალდებულებები. შინაგანაწესი მოიცავს დასაქმებულის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის, წახალისებისა და დაწინაურების წესს. დოკუმენტში მოცემულია დისციპლინური პასუხისმგებლობის წარმოშობის, გაქარწყლებისა და ვადაზე ადრე მოხსნის საკითხები. შინაგანაწესით დარეგულირებულია დასაქმებულისთვის შვებულების, მივლინების და ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისა მექანიზმები.

დოკუმენტაციის შესწავლის და ინტერვიუირების შედეგად ირკვევა, რომ კოლეჯში დასაქმებული პირები იცნობენ შინაგანაწესს და იღებენ ინფორმაციას მასში შეტანილი ცვლილებების შესახებ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. დირექტორის 2021 წლის 12 თებერვლის N02-01-20 ბრძანებით დამტკიცებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, რომლითაც განსაზღვრულია კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და ამოცანები. დოკუმენტში გაწერილია თანამშრომელთა მოზიდვის და შერჩევის პოლიტიკა, კონკურსის ჩატარების დეტალები და პერსონალის დანიშვნის წესი, პერსონალის ინტეგრაციის პროცესი ახალ სამუშაო გარემოსთან, აღწერილია პერსონალის ჩართულობა და მონაწილეობა სხვადასხვა აქტივობებში. ამასთან, დოკუმენტი მოიცავს ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასების საკითხებს და განსაზღვრულია პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები.

პერსონალის სამსახურში აყვანა გათვალისწინებულია როგორც კონკურსით (ღია, დახურული), ასევე კონკურსის გარეშე. შინაგანაწესსა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტის დოკუმენტით განსაზღვრული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების მტკიცებულებების შესწავლის

მიზნით, ექსპერტთა მიერ შემოწმდა ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად, დაწესებულების მიერ დასაქმების პორტალზე გამოქვეყნებული ვაკანსიები. ასევე, საკონკურსო კომისიის მიერ წარმოდგენილი განაცხადების განხილვისა და შეხვედრის ოქმები, კონკურსანტებისადმი გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინებები შერჩევის შედეგების შესახებ, მათ შორის დასაქმებაზე უარის თქმის თაობაზე. მაგალითად, 2022 წლის 18 აპრილს, პორტალზე hr.gov.ge გამოცხადებული ვაკანსია, დირექტორის ბრძანება ვაკანსიის გამოცხადების შესახებ და კომისიის შექმნის შესახებ (N02-01-128,18.04.22წ). ასევე, კომისიის სხდომის N1 ოქმი ხარისხის მართვის სპეციალისტის, ქსელის ადმინისტრატორის და შრომის უსაფრთოხების სპეციალისტის ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად წარმოდგენილი განაცხადების გადარჩევის - კონკურსის პირველი ეტაპის ჩატარების შესახებ; კომისიის სხდომის ოქმი N2 კონკურსის მეორე ეტაპის - გასაუბრების ჩატარების შესახებ, სადაც ასახულია 0-1-2 ქულიანი სისტემით, 6 კრიტერიუმის მიხედვით, კომისიის თითოეული წევრის მიერ კონკურსანტების შეფასება. დირექციის სახელით კოლეჯის ელექტრონული ფოსტის მისამართიდან გაგზავნილი იქნა შეტყობინებები გასაუბრებაზე მოწვევის შესახებ, მომდევნო ეტაპზე გადასულთათვის კი შეტყობინება - წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალის თაობაზე. ამასთან გაგზავნილია ინფორმაცია ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად უარის თქმის შესახებ.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ შემოწმების შედეგად, კოლეჯს, კანონმდებლობის შესაბამისად, თანამშრომლებთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები, რომელთაც თან ერთვის და ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს თანამშრომლის სამუშაო აღწერილობა და ხელმოწერილია თანამშრომლების მიერ. აღსანიშნავია, რომ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ არსებით პირობებს.

*პერსონალის მართვის წესი და შინაგანაწესი გარკვეულწილად მოიცავს მსგავს ან/და იდენტურ საკითხებს, ამგვარად დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი. მაგ: დასაქმებულის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა და პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და სამსახურში აყვანასთან დაკავშირებული საკითხები.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეამოწმეს თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომლის შემადგენლობა შესაბამისობაშია შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებთან. ასევე, დასაქმებულთა კვალიფიკაცია აკმაყოფილებს სამუშაო აღწერილობების დოკუმენტით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯის „აისი“ სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები შემუშავებულია პერსონალის თანამონაწილეობით. ასევე, ექსპერტების მიერ შესწავლილი დოკუმენტების (შეხვედრის ოქმები, ტრენინგები, ანგარიშები) და ინტერვიუერების საფუძველზე ირკვევა, რომ დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები ხორციელდება პერსონალის ჩართულობით და მართვის პოლიტიკა აგებულია გუნდური მუშაობის პრინციპზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ ხელმძღვანელობას სურს აღნიშნული მიმართულებით გაძლიერება - 2022





წლის თანამშრომელთა პირველი კვარტლის ანგარიშების საფუძველზე შედგენილი ანალიზის დოკუმენტში დირექტორი იძლევა გარკვეულ რეკომენდაციებს, მათ შორის: ,,მენეჯმენტის ეფექტურობის და მდგრადობის ამაღლების მიზნით სასურველია კოლეჯის მენეჯმენტისთვის ჩატარდეს ტრენინგები თემებზე: ეფექტური კომუნიკაცია; გუნდური მუშაობა; ორგანიზაციული მენეჯმენტი; თანამშრომლობის სტრატეგიები; ანგარიშსწორების მენეჯმენტი“.

დირექტორის 2021 წლის 12 თებერვლის N02-01-20 ბრძანებით დამტკიცებულ ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ მე-8 მუხლში გაწერილია პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმები. კოლეჯის მენეჯმენტი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი პერიოდული შეკრებების, მოსაზრებათა ურთიერთგაცვლის, მსჯელობისა და გუნდური თანამშრომლობის რეჟიმში მონაწილეობენ ისეთ მნიშვნელოვან პროცესებში, როგორიცაა პროფესიული განვითარების მიზნით სასწავლო ვიზიტების დაგეგმვა, თანამშრომელთა მოტივაციის და წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-76 ბრძანებით დამტკიცებულ ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მე-3 მუხლის 3.7 პუნქტში მოცემულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა საჭიროებების კვლევის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც 2021 წელს ჩატარებულია თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა, ანგარიში ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებ-გვერდზე. კვლევა ჩატარებულია რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით (სტრუქტურირებული ინტერვიუ, შერჩევის ზომაა 167 რესპონდენტი). კვლევის ანალიზში შემუშავებულია განვითარების რეკომენდაცია - თიმბილდინგის (Team building) დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლები უფრო ახლოს გაიცნობენ და დაუახლოვდებიან ერთმანეთს, ასევე უკეთ გააცნობიერებენ ორგანიზაციაში საკუთარ როლსა და შესაძლებლობებს. აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია 2022 წლის სამოქმედო გეგმაში.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. 2021 წლის 12 ივლისის N02-01-193 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
2. 2021 წლის 12 თებერვლის N02-01-20 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“;
3. 2022 წლის 14 მარტის N02-01-76 ბრძანებით დამტკიცებული "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები";
4. 2021 წელს ჩატარებულია თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
5. 2022 წლის 18 აპრილის N02-01-128 ბრძანება "თანამშრომელთა შერჩევის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ";
6. 2022 წლის 19 აპრილის კომისიის სხდომის ოქმი N1;
7. 2022 წლის 21 აპრილის კომისიის სხდომის ოქმი N2;
8. სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026) (ბრძანება N02-01-101 - 25.05.2022, უკანასკნელი ცვლილება - N02-01-56 - 25.02.2022);
9. 2022 წლის სამოქმედო გეგმა (ბრძანება N02-01-63 - 02.03.2022);
10. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
11. პერსონალის პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

12. ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

**4.2 პერსონალის განვითარება**

**4.2.1** პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე.

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დირექტორის 2021 წლის 12 თებერვლის N02-01-20 ბრძანებით დამტკიცებული *,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით"* დარეგულირებულია პერსონალის შეფასების მექანიზმი, კერძოდ, დოკუმენტის მე-18 მუხლით განსაზღვრულია შეფასების პერიოდულობა და შემფასებელი პირები, რომელიც ითვალისწინებს დასაქმებული პირების შეფასებას კვარტალურად, ყოველი კვარტლის დასრულებიდან, 3 სამუშაო დღის ვადაში. თითოეული თანამშრომლის მიერ უშუალო ხელმძღვანელს წარედგინება კვარტალურ ანგარიში შესრულებული სამუშაოების შესახებ, ხოლო ხელმძღვანელი პირები კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯის დირექტორს წარუდგენენ ჯამურ კვარტალურ ანგარიშს.

ამავე დოკუმენტის მე-19 მუხლის თანახმად, პერსონალის შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, ყოველი კალენდარული წლის იანვრის თვეში, კოლეჯის რესურსების გათვალისწინებით, დირექტორის მოადგილეები ამზადებენ თანამშრომელთა გადამზადების წლიურ გეგმას, რომელსაც ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი. გეგმაში ასახულია სატრენინგო საკითხი და თემა, ასევე სამიზნე ჯგუფი, რესურსი და ტრენინგის ჩატარების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ხელმოწერით ადასტურებს ყოველ ჩატარებულ ტრენინგს. თითოეული ტრენინგის ჩატარება ფორმდება დასწრების უწყისით.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის მე-6 მუხლის, მე-17 პუნქტით განსაზღვრული, თანამშრომელთა მიერ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შეფასება, ხორციელდება შემდეგნაირად: ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი შეფასების ფორმას წარუდგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორს, ხელმძღვანელ პირს, მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების შეფასების მიზნით. უშუალო ხელმძღვანელის მიერ შევსებული ფორმა გადაეცემა კონკრეტულ პირს გასაცნობად და კომენტარის გასაკეთებლად. საბოლოოდ, თანამშრომელთა შეფასების ფორმას კომენტარს ურთავს და ხელს აწერს დირექტორი. თანამშრომელთა შეფასების ფორმას ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი ინახავს თანამშრომლის პირად საქმეში.

შეფასების სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, მტკიცებულებების სახით, დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა დასაქმებულების მიერ მომზადებული კვარტალური ანგარიშები, უშუალო ხელმძღვანელის შეჯამებული ანგარიში/ანალიზი და ასევე დირექტორის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია კვარტალური ანგარიშის ფორმის შექმნის შესახებ, ანგარიშში ინფორმაციის  სრულყოფილად ასახვის მიზნით, როგორც შესრულებული ასევე შეუსრულებელი აქტივობების შესახებ.

შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად, გამოსაცდელი 4 თვიანი ვადით დანიშნული (შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით) სტუდენტური სერვისების სპეციალისტი, გამოსაცდელი ვადის ამოწურვის შემდეგ, შეფასებულია მისი უშუალო ხელმძღვანელის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ. შეფასება მოიცავს 5 კრიტერიუმს 5 ქულიანი სისტემით. ამავე პერიოდში, გამოსაცდელი ვადით აყვანილი ამავე თანამშრომლის მიერ წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიში. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, აღნიშნული პირი დანიშნულია შესაბამის პოზიციაზე, რაც გაფორმებულია დირექტორის ბრძანებით (N03-01-77, 21.04.2022წ.) და შრომითი ხელშეკრულებით.

ამავე დოკუმენტის მე-10 მუხლით განსაზღვრულია, რომ  პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება კოლეჯის თითოეული პოზიციის შესაბამისად შემუშავებული სამუშაო აღწერილობების შესაბამისი ინდიკატორების საშუალებით. ასევე დოკუმენტის  მე-11 მუხლის თანახმად, პერსონალის თვითშეფასების ფორმას ავსებს პერსონალი პირადად და გადასცემს ხარისხის მართვის მენეჯერს. წარმოდგენელი პერსონალის თვითშეფასების ფორმების საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავდება თვითშეფასების წლიური ანგარიში, რომელიც განსახილველად წარედგინება დირექტორს. თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თანამშრომლების შეფასების მტკიცებულებები ძირითადად არის ანგარიშებისა და ერთგვაროვანი კრიტერიუმების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული დოკუმენტის მე-10 მუხლით დაშვებულია თანამშრომელთა შეფასების ისეთი პროცედურების გამოყენება, რომელიც არ ეწინააღმდეგება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას და მოქმედ კანონმდებლობას - მიზნების მიხედვით შეფასება, კომპეტენციების მიხედვით შეფასება, შესრულებული სამუშაოს შეფასება და ა.შ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2-3. დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,პერსონალის განვითარების გეგმა“, სადაც თვეების მიხედვით გაწერილია აქტივობები. აღნიშნული გეგმა გამომდინარეობს დაწესებულების სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით, დაწესებულება ხელს უწყობს მათ მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგებში. კოლეჯის დირექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას აღნიშნულთან დაკავშირებით მაგ:

- საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგი ,,როგორ ჩავატაროთ შრომის ბაზრის კვლევა“ გაიარა ზრდასრულთა განათლების კოორდინატორმა (დირექტორის ბრძანება N02-01-373, 08.12.2021);
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ორგანიზებული სპეციალიზებული კურსი გაიარა ფინანსურმა მენეჯერმა (ბრძანება N02-01-249, 03.09.2021);
- ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ორგანიზებული „ბუღალტრული აღრიცხვის პრაქტიკული კურსი დამწყებთათვის “ გაიარა ბუღალტრის თანაშემწემ (ბრძანება N02-01-37, 15.02.2022);
- HR პროფესიონალთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული ,,პსდ-ს ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერა HR & OD სისტემების ხარისხის ამაღლება“ (ბრძანება N02-01-310, 19.10.2021);
- პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგი „ინოვაციური სწავლების მეთოდების დანერგვა“ მონაწილეობა მიიღო პროფესიული განათლების მასწავლებელმა (ბრძანება N02-01-125, 15.04.2022);
- გაეროს განვითარების პროგრამის მიერ ორგანიზებული ტრენინგი „უსაფრთხოების ნორმების დაცვა პროფესიულ საგანმანთლებლო დაწესებულებებში“ გაიარა ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა (ბრძანება N02-01-202, 22.07.2021).

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. დირექტორის მიერ 2021 წლის 12 თებერვლის N02-01-20 ბრძანებით დამტკიცებულ ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ მე-7 მუხლში გაწერილია პერსონალის ინტეგრაციის პროცესი ახალ სამუშაო გარემოსთან. დოკუმენტში მოცემულია პერსონალის ინტერგაციის პროცესის მიზანი, ახალდანიშნული თანამშრომლის ინტეგრაციის პროცედურა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობებში გაწერილია ახალი კადრების სოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა და მართვა, მათი ახალ სამუშაო გარემოში ეფექტურად ჩართვის მიზნით. ვიზიტის დროს, ექსპერტებთან გასაუბრებისას ახალმა თანამშრომელმა დაადასტურა, რომ სამსახურის დაწყების საწყის ეტაპზე გააცნეს კოლეჯის მიზნები, ღირებულებები, ხედვა, შინაგანაწესი და კოლეჯში მოქმედი რეგულაციები. ასევე, გააცნეს სამუშაო გარემო და მისი ფუნქცია-მოვალეობები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ რეგულაციის თანახმად, *„შეფასება შესაძლებელია გახდეს თანამშრომელთა წახალისების, გადაყვანის, დაქვეითების და გათავისუფლების საფუძველი“*, შეფასების ანალიზის შესაბამისად. 2020-2022 წლებში განხორციელებულია პროფესიული განათლების მასწავლებლების და თანამშრომლების შეფასება და გამოყენებულია წახალისების მექანიზმები. რეაგირების მექანიზმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, მტკიცებულებების სახით, დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დირექტორის მოადგილის მიერ, 5 კრიტერიუმის მიხედვით, 3 ქულიანი სისტემით განმახორციელებლების შეფასება, რომლის ანალიზის საფუძველზე, დაჯამებული ქულების მიხედვით, „წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობისთვის“ სიგელები გადაეცათ პროფესიული განათლების მასწავლებლებს;
- დაქვემდებარებული თანამშრომლების შეფასება განხორციელებულია უშუალო ხელმძღვანელების მიერ 5 კრიტერიუმით, 3 ქულიანი სისტემით, ანალიზისა და დაჯამებული ქულების მიხედვით კი, სიგელები გადაეცათ თანამშრომლებს „კოლეჯი „აისი“-ს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის“. აღნიშნულთან დაკავშირებით, წარმოდგენილი იქნა კოლეჯის დირექციის შეხვედრის ოქმი N1 - 17.12.21, დაქვემდებარებული პირების მიერ 2021 წელს შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებისა და სიგელებით დაჯილდოებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების შესახებ. გამოცემულია დირექტორის ბრძანება ხარისხიანი და ეფექტური მუშაობის გამო სიგელებით დაჯილდოების უზრუნველყოფის თაობაზე.
- 2020 წლის 17 აგვისტოს N04-01-50 ბრძანებით, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს გამოეცხადა მადლობა ნაყოფიერად მუშაობისთვის და საქმიანობის წარმატებულად წარმართვისთვის.

*დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ადმინისტრაცია ხელს უწყობს დასაქმებულების ინიციატივას სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მათ შორის პროფესიული განვითარების მიზნებისთვის, აღნიშნულთან მიმართებაში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, გავრცელებული პრაქტიკა ასახოს რეგულაციებში და შეიმუშაოს შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვების მიდგომები.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2021 წლის 12 ივლისის N02-01-193 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“;
2. 2021 წლის 12 თებერვლის N02-01-20 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“;
3. სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026) (ბრძანება N02-01-101 - 25.05.2022, უკანასკნელი ცვლილება - N02-01-56 - 25.02.2022);
4. დირექტორის ბრძანება - N03-01-77, 21.04.2022;
5. დირექტორის ბრძანება - N02-01-373, 08.12.2021;
6. დირექტორის ბრძანება - N02-01-249, 03.09.2021;
7. დირექტორის ბრძანება - N02-01-37, 15.02.2022;
8. დირექტორის ბრძანება - N02-01-310, 19.10.2021;
9. დირექტორის ბრძანება - N02-01-125, 15.04.2022;
10. დირექტორის ბრძანება - N02-01-202, 22.07.2021;
11. დირექტორის ბრძანება - N04-01-50, 17.08.2020;
12. კოლეჯის დირექციის შეხვედრის ოქმი N1 - 17.12.21;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

13. პერსონალის განვითარების გეგმა;
14. ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

### 5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერებით, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდია N51.20.57.000.011. არასასოფლო სამეურნეო მიწის დაზუსტებული ფართია 65000.00 კვ.მ კოლეჯის ძირითადი ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთში, ამავე მისამართზე ასევე მდებარეობს სულ თერთმეტი ნაგებობა. **მოსარგებლეა:** სსიპ კოლეჯი "აისი" (ს/კ227770800), **მესაკუთრე:** სახელმწიფო; არსებული ქონება გადაცემულია მოსარგებლის არსებობის ვადით.

ამავე ლოკაციაზე (გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთი) დაწესებულებას მოსარგებლის არსებობის ვადით გააჩნია არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N 51.20.57.000.027. მიწის დაზუსტებული ფართია 12144.00 კვ.მ.

ასევე დაწესებულების საკუთრებაშია სასოფლო სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთები, კერძოდ:

- (გურჯაანის რაიონი, სოფელი ზაირა , "ვარდიაული" საკადასტრო კოდი N 51.18.53.016, დაზუსტებული ფართია: 107967.00 კვ.მ.
- (გურჯაანის რაიონი, სოფელი ზაირა , "ვარდიაული" საკადასტრო კოდი N 51.18.53.002, დაზუსტებული ფართია: 100905.00 კვ.მ.
- (გურჯაანის რაიონი, სოფელი ზაირა , "ქიტუაანთ უბნის ბოლოს" საკადასტრო კოდი N 51.20.57.000.138, დაზუსტებული ფართია: 1700.00 კვ.მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგარეჯოს რაიონი, სოფელი შიბლიანი. საკადასტრო კოდი N 55.01.53.000.085, დაზუსტებული ფართია: 3206.00 კვ.მ.

დაწესებულებას **დედოფლიწყაროს** მუნიციპალიტეტის, სოფელი სამრეკლოს ლოკაციაზე მოსარგებლის არსებობის ვადით გააჩნია არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N 52.07.37.056. მიწის დაზუსტებული ფართია 13328.00 კვ.მ. ამ მისამართზე ასევე მდებარეობს სულ ათი ნაგებობა.

**ახმეტის** მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვემო ალვანის ლოკაციაზე უზურფუქტით გააჩნია არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდი N50.03.33.386 მიწის დაზუსტებული ფართია 24 244.00 კვ.მ. ამ მისამართზე ასევე მდებარეობს 3 ნაგებობა.

**ლაგოდეხის** მუნიციპალიტეტის, სოფელ შრომას ლოკაციაზე არსებობის ვადით გააჩნია არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთები 1) საკადასტრო კოდი N 54.03.52.077 მიწის დაზუსტებული ფართია 21980.00 კვ.მ. 2) საკადასტრო კოდი N 54.03.52.076 მიწის დაზუსტებული ფართია 31161.00 კვ.მ.

ექსპერტების მიერ დათვალიერებულ იქნა და დადასტურდა ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო სივრცეების/ფართების ფლობა, რომლის თანახმად არსებული ფართი განაწილებულია შემდეგნაირად:

- თეორიული სწავლების აუდიტორიები;
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები;
- რობოტო ტექნიკის ლაბორატორია;
- დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი აუდიტორიები;
- ადმინისტრაციული სივრცე/სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;
- დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის;
- საერთო საცხოვრებელი/კამპუსი (გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთს ლოკაციაზე)
- სანიტარიული კვანძები, მათ შორის შშმ პირთათვის;
- ბიბლიოთეკა;
- საწყობი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეების და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, კოლეჯში შემუშავებულია და დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-71 ბრძანებით დამტკიცებულია - მატერიალური რესურსის განკარგვის წესი, სადაც გაწერილია კოლეჯის საქმიანობისათვის ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა, შენახვა და გამოყენების წესები, რომლის აღსრულებაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასთან გასაუბრებით დგინდება, რომ იგი მუდმივად ზრუნავს და აკონტროლებს მატერიალური რესურსის მოვლა-პატრონობის და შენახვის საკითხს, ზედამხედველობს კოლეჯის ბალანსზე არსებული ქონების დაცვას და უზრუნველყოფს მის რაციონალურ გამოყენებას.

ვიზიტის დროს, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მათ აქვთ საშუალება საჭიროებისამებრ გამოიყენონ შესაბამისი მატერიალური რესურსი და საერთო სარგებლობის სივრცეები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 12 თებერვლის N02-01-21 ბრძანებით დამტკიცებულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომელიც შემუშავებულია სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის, დასუფთავების პროცედურების დაცვის და ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით. წესში გაწერილია, რომ კოლეჯი ყოველდღიურად წესრიგდება სველი წესით. ფოიეები, აუდიტორიები და სხვა სასწავლო და დამხმარე ოთახები წესრიგდება მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, გაღებული ფანჯრების და ფრამუგების მდგომარეობაში. კოლეჯში თვეში ერთხელ ტარდება შენობების გენერალური დასუფთავება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით. სანიტარულ-ტექნიკური აღჭურვილობა სუფთავდება ყოველდღიურად. სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირია დამლაგებელი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. სველი წერტილებში გამოკრულია დასუფთავების დრო, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს დამლაგებელი.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ კოლეჯის ყველა ნაწილში, მათ შორის სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. კოლეჯის მფლობელობაში არსებულ ოთხივე ლოკაციაზე განთავსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება როგორც კომუნალური გადახდის ქვითრებით, ასევე ფაქტობრივი გარემოებით - ვიზუალური დათვალიერებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად დაწესებულებაში შემუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომლებიც მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად პერიოდულად ახორციელებენ რისკების შეფასებას, განმავითარებელი რეკომენდაციების გაცემას, ასევე პერიოდულად ტარდება შესაბამისი ინსტრუქტაჟები, რასაც ადასტურებს, როგორც გასაუბრების შედეგები, ასევე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის წლიური ანგარიშები და დასწრების ფურცლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დაწესებულებამ წარმოადგინა ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარების დამადასტურებელი აღრიცხვის ჟურნალები ლოკაციების მიხედვით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-71 ბრძანებით დამტკიცებულ მატერიალური რესურსების განკარგვის წესში მიცემულია კოლეჯის საქმიანობისათვის ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესყიდვა, შენახვა და გამოყენების წესები და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულების (პროდუქტის/პროექტის) შენახვისა და განკარგვის წესი და სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია.

დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციის მიხედვით, კოლეჯის ადმინისტრირებისათვის/საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შეძენას უზრუნველყოფს ფინანსურ მენეჯერთან ერთად, რომელიც ადგენენ შესყიდვების წლიურ გეგმას, (გეგმა დგება განმახორციელებელ პირთა წინასწარი მოთხოვნების საფუძველზე), მოთხოვნის შესახებ განაცხადს დაინტერესებული პირი წარუდგენს დირექტორს, ხოლო ეს უკანასკნელი შესასრულებლად/გეგმის შესადგენად გადასცემს ფინანსურ მენეჯერს. საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი მოდულების განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის შესაძენ სიას სასწავლო პროცესის მენეჯერი ადგენს პროფესიული განათლების სასწავლებელთან/პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და მოთხოვნას წარუდგენს დირექტორს სწავლის/მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა. მასალა-ნედლეულის შესყიდვა ხორციელდება კვარტალურად, შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესაძლებელია ნაწილობრივად მოხდეს მარაგის შევსება (განსაკუთრებით ეს ეხება მალფუჭებად მასალა-ნედლეულს). მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება კოლეჯის ტერიტორიაზე საამისოდ გამოყოფილ სივრცეში (საწყობში).

სასწავლო მიზნებისათვის გადაცემული მასალა და ნედლეული გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისათვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი ინვენტარის, მასალებისა და ნედლეულის გადაცემას ახორციელებს საწყობის გამგე უშუალოდ მოდულის დაწყებამდე (მალფუჭებადი კალენდარული გეგმის შესაბამისად) და ახდენს გაცემული მასალა-ნედლეულის თუ ინვენტარის გადაცემას მიღება ჩაბარების აქტით. პროგრამის/შესაბამისი კომპონენტის დასრულებისას ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება და საჭიროების შემთხვევაში, გაუხარჯავი მასალებისა და ნედლეულის დაბრუნება, რაც აღირიცხება შესაბამის ჟურნალში. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება კონკრეტული მასალა-ნედლეულის შენახვის წესების დაცვით. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულების შენახვისა და განკარგვის წესი და სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციის წესის მიხედვით. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულება, მათ შორის მალფუჭებადი (რომლისთვისაც ივსება სპეციალური ფორმულარი, ფორმულარში მითითებულია მოდული, შედეგი, შემსრულებელი, მოდულის განმახორციელებელი პირი, რიცხვი და სხვა და ხდება პროდუქტის ფოტოგრაფირება/ვიდეოგადაღება) ან პროდუქტი, როგორიცაა თექა, რკინა და სხვა (მათი შენახვის თაობაზე იქმნება სპეციალური დარგობრივი კომისია, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მათი შენახვის პირობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თაობაზე) წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და ინახება კოლეჯში უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით ან რჩება კოლეჯში საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს. სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია ხორციელდება სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია ხორციელდება იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს.

ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა მიმდინარე პროცესები, როგორც მასალა-ნედლეულის მოთხოვნის, ასევე შეძენის და სასწავლო პროცესში გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, განხორციელდა გასაუბრება დაინტერესებულ პირებთან და დადასტურდა რომ დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. კოლეჯში არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების ეტაპებს მატერიალური რესურსების შეფასების მიმართულებით. ამ მიზნით შემუშავებულია კითხვარის ფორმები, რომელიც ითვალისწინებს დაინტერსებულ მხარეთა კვლევის კომპონენტს რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან და ეფექტიანობასთან დაკავშირებით. კითხვარების ანალიზის და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლების წლიური ანგარიშების შესაბამისად ნათლად ჩანს, წლების განმავლობაში მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსების განვითარების პროცესი, რასაც ასევე ადასტურებს პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. კოლეჯის ყველა ლოკაციის შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები. სველი წერტილები შშმ პირთათვის ადაპტირებულია. კვანძები უზრუნველყოფილია წყლით, ბუნებრივი და ხელოვნური განათებითა და ვენტილაციით, ასევე ჰიგიენის საშუალებებით. დაცულია სანიტარულ ჰიგიენური ნორმები და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას ყველა პროფესიული სტუდენტისთვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

9. კოლეჯის ყველა ლოკაციის შენობა ნაგებობაში არსებულ სივრცეებში, ყველა აუდიტორიაში თუ ადმინისტრაციულ სივრცეებში, ასევე ბიბლიოთეკაში არის როგორც ბუნებრივი ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

10. კოლეჯის ყველა ლოკაციაზე, სივრცეები დამოუკიდებელია და ისეა განლაგებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. ყველა პროგრამის და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოყოფილია ინდივიდუალური სივრცეები. დაწესებულების არც ერთ ლოკაციაზე არ არის ერთმანეთში გამავალი სასწავლო და სამუშაო სივრცეები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

11. ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ,,საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონით, დებულებითა და კოლეჯის ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი’’-ს შესაბამისად. კოლეჯის ყველა ლოკაციაზე განთავსებული ბიბლიოთეკა მუშაობს: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 08:30 სთ-დან 17.90 საათამდე. პროფესიული სტუდენტი და პერსონალი (მკითხველი) უფლებამოსილია ისარგებლოს კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსით, საბიბლიოთეკო სერვისით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საინფორმაციო საშუალებებით. პროფესიული სტუდენტები და პერსონალი, კოლეჯის ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის გაწევრიანებულები არიან ბიბლიოთეკაში, რაც დასტურდება მათ სახელზე გახსნილი მკითხველის ბარათებით. კაჭრეთის ლოკაციაზე კოლეჯს ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც პასუხისმგებელია ბიბლიოთეკაში არსებული როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობაზე. ხოლო, დანარჩენ ლოკაციებზე ბიბლიოთეკარის ფუნქციას ასრულებენ სასწავლო პროცესის მენეჯერები.

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ ბიბლიოთეკაში დაცული საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

## დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
2. შენობების აზომვითი ნახაზები;
3. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
4. ინსპექტირების ანგარიში დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ;
5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი (ბრძანება N02-01-21, 12.0.2021);
6. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (ბრძანება N02-01-70, 14.03.2022);
7. მატერიალური რესურსების განკარგვის წესი (ბრძანება N02-01-71, 14.03.2022);
8. ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნი;
9. სასწავლო რესურსის გაცემის აღრიცხვის ჟურნალები;
10. ვიზუალური დათვალიერების შედეგები.
11. კოლეჯის ვებგვერდი;
12. ინტერვიუს შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება.

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. 2020 წლის 3 აგვისტოს N02-01-176 ბრძანება) კოლეჯის შენობა-ნაგებობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი ვიდეოკამერები, კოლეჯის შენობის, აგრეთვე კოლეჯის სამუშაო ადგილზე ვიდეო მეთვალყურეობის განხორციელებისას, შესაბამისი ტექნიკური საშუალების ეკრანზე გამოსახული მონაცემის რეალურ დროში ნახვისა და დაკვირვების უფლება აქვს მხოლოდ კოლეჯის დირექტორის მიერ საამისოდ განსაზღვრულ პირ(ებ)ს. მათი არყოფნის შემთხვევაში, მონაცემების ნახვა და დაკვირვება შესაძლოა განახორციელოს დარაჯმა. ყველა ლოკაციაზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია შეტყობინება ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ.

კოლეჯს ჰყავს დაცვის თანამშრომლები ყველა ფილიალში (სულ 12 პირი) რომლებთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები. მათი ფუნქცია მოვალეობით განსაზღვრული, რომ დაიცვან უსაფრთოხება დაწესებულების შიდა და გარე სივრცეებში. კოლეჯს მიღებული აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ (შპს მშენექსპერტი) გაცემულია დასკვნები ყველა ლოკაციაზე შენობების მდგრადობის შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა 2019 წლის 18 ნოემბერს შეამოწმა კოლეჯი სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და გასცა სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობები სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწესრიგებასთან დაკავშირებით (წერილი N619766). სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯმა შეადგინა და 2022 წლის 17 მარტის დირექტორის N02-01-102 ბრძანებით დაამტკიცა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ხარვეზის გამოსწორებას 6 თვის ვადაში, სადაც აღნიშნულია რომ გეგმის დამტკიცების მომენტისთვის მიმდინარეობდა ხარჯთაღრიცხვის დაზუსტება.

***წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი და დაწესებულებას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია დადგენილ ვადებში უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება.***

2. კოლეჯს შემუშავებული აქვს „პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები", რომელიც არეგულირებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურებს. ასევე, გაწერილია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა, სამედიცინო დახმარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღმოჩენის მექანიზმები და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელია მედდა კაჭრეთის ლოკაციაზე, ხოლო დანარჩენ ლოკაციებზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე თანამშრომლები, რომლებსაც გავლილი აქვთ პირველადი გადაუდებელი დახმარების კურსი. აღნიშნულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება ან/და შეთანხმება. ადგილზე დათვალიერდა პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით.

გასაუბრებისას, პასუხისმგებელმა პირებმა აღნიშნეს, რომ თუკი მათი კომპეტენცია სცდება პერსონალის ან/და სტუდენტის საჭიროებებს დაუყონებლივ იძახებენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იცნობენ შესაბამის რეგულაციებს და საჭიროებისამებრ აუცილებლად მიმართავენ პასუხისმგებელ პირებს. დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ნომერი(112).

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 27 აპრილის N02-01-140 ბრძანებით დამტკიცებულია ,,საგანგებო მართვის გეგმა“, რომელიც შეთანხმებულია შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების სამსახურთან 2022 წლის 29 აპრილს. გეგმაში გაწერილია საგანგებო სიტუაციაში შესასრულებელი მოქმედებების თანმიმდევრობა და პასუხისმგებელი პირები. გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს, თანამშრომლების, სტუდენტების და მატერიალურ ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას. კოლეჯში შექმნილია საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების შტაბი/ჯგუფი, რომლის წევრებსაც გავლილი აქვთ შესაბამისი ტრენინგი. კოლეჯი უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობას ყველა სტუდენტისათვის და თანამშრომლისთვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. კოლეჯის ყველა შენობაში გამოკრულია სათანადო სტანდარტების შესაბამისი საევაკუაციო გეგმები, კოლეჯი აღჭურვილია ცეცხმაქრებით და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების სისტემით.

პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ჩაუტარდათ სასწავლო ინსტრუქტაჟი და საჭიროებისამებრ მიმართავენ პასუხისმგებელ პირებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2019 წლის 28 ნოემბრის N02-01-191 ბრძანებით, დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,აისი“ ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის კოლეჯი ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისას უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას. კოლეჯის ტერიტორიაზე უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს

მანდატური, დარაჯი და კოლეჯის დირექცია. კოლეჯის შენობა ნაგებობების დაცვას უზრუნველყოფს კოლეჯის დარაჯი. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კოლეჯს განთავსებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა. ევაკუაციის გეგმები დამტკიცებულია შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ. კოლეჯი უზრუნველყოფს კოლეჯის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო მეთვალყურეობას. კოლეჯის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა უზრუნველყოფს კოლეჯის ყველა დერეფნის, შესასვლელისა (ფოიე) და კიბის უჯრედის ვიდეო დაკვირვებას და იქ მყოფი პირების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. კოლეჯის გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა უზრუნველყოფს კოლეჯის გარე პერიმეტრის (მათ შორის სპორტული მოედანი, ბაღი, სკვერი, და სხვა) სრულად დაკვირვებას და იქ მყოფი პირების იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისა მექანიზმების ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. ინცინდენტების აღრიცხვის ჟურნალი;
3. პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები;
4. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარისა და საშუალებების დათვალიერების შედეგები;
5. დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;
6. შესაბამისობის გეგმა (ბრძანება N02-01-102, 17.03.2022);
7. შენობა -ნაგებობების დასკვნა მდგრადობის შესახებ;
8. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა;
9. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები (28.11.2022 წლის N02-01-191 ბრძანება);
10. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (2022 წლის 27 აპრილის 02-01-140 ბრძანები);
11. ვიდეო მეთვალყურეობის განხორციელების წესი (დირექტორის 2020 წლის 3 აგვისტოს N02-01-176 ბრძანება);
12. ხელშეკრულება დაწესებულების დაცვის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან;
13. ვიზუალური დათვალიერება;
14. ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

**5.2 საინფორმაციო რესურსები**

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწესებულების IT ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებს, არსებული კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამული უზრუნველყოფა შეესაბამება ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას. ადმინისტრაციის ოთახები, აუდიტორიები და ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო პარამეტრების მქონე ტექნიკით (პერსონალური კომპიუტერი, ლეპტოპი, პრინტერი, პროექტორი, IP ტელეფონი), კომპიუტერებზე ჩაწერილია პროგრამები, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას.

კოლეჯს მოწყობილი აქვს როგორც საკაბელო, ასევე უკაბელო (WiFi) შიდა ქსელი. კაჭრეთის ლოკაციაზე განთავსებულია სასერვერო ოთახი, რომელიც აღჭურვილია ქსელური მოწყობილობებით (სვიჩები, როუტერები, სერვერი). დაწესებულება ასევე ჩართულია გლობალურ ქსელში და ყველა ლოკაციაზე აქვს უწყვეტი კავშირი ინტერნეტთან (გურჯაანი, კაჭრეთი - სიჩქარე: გლობალი - 20მბ/წმ, ლოკალი - 50მბ/წმ; ახმეტა, ქვემო ალვანი - სიჩქარე: გლობალი - 6მბ/წმ, ლოკალი - 40მბ/წმ; დედოფლისწყარო, ჯაფარიძე - სიჩქარე: გლობალი - 3მბ/წმ, ლოკალი - 20მბ/წმ; ლაგოდეხი, სოფ. შრომა - სიჩქარე: გლობალი - 3მბ/წმ, ლოკალი - 20მბ/წმ), რაც დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

*აღსანიშნავია, რომ ვიზიტის პერიოდში უკაბელო ქსელს (WiFi) ჰქონდა მაღალი დაყოვნება, რაც გამოწვეული იყო ერთ-ერთი უკაბელო წვდომის წერტილის(AP) გაუმართაობით. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, რომ უზრუნველყონ უკაბელო წვდომის წერტილების(AP) გამართულად მუშაობა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ IT ინფრასტრუქტურის დათვალიერების შედეგების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს *„საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის“* დოკუმენტი, რომელიც მოიცავს აპარატურის ფიზიკური უსაფრთხოების და ქსელის მართვის პროცედურებს, ასევე ინფორმაციაზე წვდომისა და პროგრამული უზრუნველყოფის პროცედურებს. წესში იდენტიფიცირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი - ქსელის ადმინისტრატორი, რომელიც უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის გამართულ/მუშა მდგომარეობაში არსებობას და კომუნიკაციის საშუალების, ინტერნეტ-რესურსების ხელმისაწვდომობას თანამშრომლებისა და პროფესიული სტუდენტებისთვის.

ინფორმაციის დაცვის და შესაძლო IT უსაფრთხოების რისკების პრევენციის მიზნით, წესში გათვალისწინებულია პაროლების პოლიტიკა (შეცვლის ინტენსივობა, მინიმალური ზომა, კომპლექსურობა და ა.შ.), IT ინფრასტრუქტურის ფიზიკური უსაფრთხოება და ქსელური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში დაათვალიერეს IT ინფრასტრუქტურა, რის მიხედვითაც დასტურდება, რომ კომპიუტერებზე ჩაწერილია ანტივირუსული პროგრამები და დაცულია პაროლებით, თუმცა კომპიუტერები არ არის გაწევრიანებული დომეინში, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სისტემების ცენტრალური ადმინისტრირება. *აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ შეიმუშაოს და განავითაროს ცენტრალიზებული ადმინისტრირების სისტემა (Active Directory).*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“, რომელიც მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესებს, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნებს და მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე სუბიექტებს. ამასთან, წესი ითვალისწინებს მონაცემთა სუბიექტის მხრიდან, მის მიმართ უფლებებისა და განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში, საჩივრით მიმართვის შესაძლებლობას. ამასთანავე, ზოგიერთ თანამშრომლის, მათ შორის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, ქსელის ადმინისტრატორისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობაში გათვალისწინებულია პერსონალური მონაცემების დაცვის ვალდებულება კანონმდებლობის შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტებთან, განმახორციელებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმირებულები არიან, ინსტიტუციური მიზნებისთვის, პერსონალური მონაცემების დამუშავების საჭიროების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით თანხმობა ასევე დასტურდება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით - *„მუხლი 13 - დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას მისი პერსონალური ინფორმაციის დამუშავება განხორციელდეს ავტორიზაციის, სხვა ადმინისტრაციული წარმოებების დროს და იმიჯი (ფოტო) გამოყენებულ იქნას კოლეჯის პოპულარიზაციისთვის“.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. *„საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის“* წესში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების განვითარების მექანიზმები, რომლის მიხედვითაც კოლეჯი უზრუნველყოფს ადმინისტრაციისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის კომპიუტერული ტექნიკის აპარატურულ და პროგრამულ განახლებას კოლეჯის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისთვის და საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებების მიხედვით.

„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დოკუმენტის მე-3 მუხლის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების მატერიალური რესურსების, IT ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურის რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, ვინაიდან ეს მნიშვნელოვანია კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისათვის. ამ ნაწილში ხარისხის მართვის მონიტორინგს ახორციელებს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი და ქსელის ადმინისტრატორი. აღნიშნული რესურსების შემოწმება ხდება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე მონიტორინგი ხორციელდება დაფიქსირებული/აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაშიც. ამავე წესის მე-5 მუხლში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს *„ხარისხის განვითარების მექანიზმების შესრულების ანგარიშგება“*, რომლის მიხედვითაც *„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება“* და *„კვლევის შედეგებზე და რეკომენდაციებზე დაყრდნობით შესაბამისი სტრუქტურული ერთეული/პირი ახორციელებს რეაგირებას“.*

საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით, დაწესებულება ასევე ახორციელებს სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვას, რის შემდეგაც ახდენს იდენტიფიცირებული საჭიროების განხილვას და ანალიზს. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშები, რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა *„პროფესიული სასწავლებლის ინფრასტრუქტურით კმაყოფილების შესწავლა“.* აღნიშნული კვლევების შედეგად საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესების საჭიროება არ გამოკვეთილა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ვიზიტის პერიოდში ინტერვიურების შედეგების გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულების მიერ გამოყოფილია კომპიუტერული ტექნიკა როგორც ადმინისტრაციისთვის, ასევე პროფესიული სტუდენტებისთვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. პერსონალისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის მუდმივად ხელმისაწვდომია IT ინფრასტრუქტურა და მომსახურება, შესაძლებელია ინტერნეტით სარგებლობა თავისუფალი წვდომის რეჟიმში, ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელს აქვს, საკუთარი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, რაც დასტურდება პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურებით და ვიზუალური დათვალიერებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმებით, რისთვისაც იყენებს Teams პლატფორმას, ინდივიდუალურ საფოსტო მისამართებს, სოციალურ ქსელებში არსებულ დახურულ ჯგუფებს და IM საკომუნიკაციო საშუალებებს.

პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ადმინისტრაცია და პროფესიული განათლების მასწავლებლები მათთან კომუნიკაციას ახდენენ როგორც ზეპირსიტყვიერად, ასევე პირადი ელექტრონული ფოსტების და სოციალურ ქსელებში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. *აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არ აქვს კორპორატიული ელექტრონული ფოსტა, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ უზრუნველყოფილი იქნას კორპორატიული ელ. ფოსტის დანერგვა სერვერის საშუალებით, ან საერთაშორისო ღია პლატფორმების მეშვეობით (G-suite, office 365 და ა.შ).*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
2. 2022 წლის 14 მარტის N02-01-76 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
3. ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებები - ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების ხელშეკრულება N164;
4. დირექტორის 2021 წლის 12 თებერვლის N02-01-23 ბრძანება „საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, IT პროცესების სისტემის ეფექტიანობისა და IT რისკების მართვის დამტკიცების შესახებ“;
5. დირექტორის 2020 წლის 14 სექტემბრის N02-01-255 ბრძანებია „სსიპ კოლეჯის ,,აისი“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის შესახებ“;
6. ვიზუალური დათვალიერება;
7. ინტერვიუს შედეგები.

**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი. კერძოდ: სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-73 ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯის საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემას, საარქივო საქმეს. კოლეჯი ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას

ახორციელებს ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 17 აგვისტოს N951 ბრძანების შესაბამისად. საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-Flow მეშვეობით. კოლეჯში საქმისწარმოებას ახორციელებს საშტატო ნუსხით განსაზღვრული ორი საქმისმწარმოებელი. საქმისმწარმოებლების მოვალეობები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებით და ხელშეკრულებებით.

საქმისწარმოების წესის მიხედვით, დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები რეგისტრაციაში ტარდება კოლეჯის საქმისმწარმოებლის მიერ და ენიჭება შემდეგი ინდექსები:

ა) პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ჩარიცხვა, ამორიცხვა, მობილობასა და კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული ბრძანებების ინდექსი - ,,კ“ და (მაგ.: ,,კ“ 01-..); ბ) საერთო ხასიათის ბრძანებების ინდექსი - ,,02“ და რიგითი ნომერი (მაგ.: 02-01-..);
გ) მიღება-განთავისუფლების ბრძანებების - ინდექსი ,,03“ და რიგითი ნომერი (მაგ.: 03-01-..); დ) პირადი შემადგენლობის ბრძანებების ინდექსი - ,,04“ და რიგითი ნომერი (მაგ.: 04-01-..);ე) მივლინებების ბრძანებების ინდექსი -,,05“ და რიგითი ნომერი (მაგ: 05-01-..).

ვიზიტის პერიოდში, შერჩევითი პრინციპით, გადამოწმდა ბრძანებების ინდექსების შესაბამისობა, ასევე eflow და evet.emis.ge სისტემაში დოკუმენტების რეგისტრაციის და ინფორმაციის (მაგ. პროფესიულ სტუდენტთა შესახებ) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ასახვის საკითხები, ასევე მოხდა კოლეგიალური სხდომის ოქმების, ბრძანებების წიგნის წარმოების, რეგისტრირებული განცხადებების. ასევე, შედგა გასაუბრება საქმისმწარმოებლებთან,

*ექსპერტთა შეფასებით, საქმისწარმოების ეფექტიანობისთვის, რეკომენდირებულია კოლეგიალურ სხდომის ოქმების წარმოებისას გათვალისწინებულ იქნას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106-ე მუხლის პირობები, სადაც მითითებული იქნება: ა) კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება; ბ) სხდომის დრო და ადგილი; გ) სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა; დ) განხილვის საგანი; ე) კენჭისყრის შედეგები; ვ) მიღებული გადაწყვეტილება.*

*ასევე, დაწესებულებაში განცხადებების რეგისტრაციისას და ბრძანებების გამოცემისას (მათ შორის სტუდენტების) ვინაობასთან ერთად, მითითებული იყოს პირადი ნომერი, აღნიშნული კოლეჯს დაეხმარება იდენტური გვარის და სახელის მქონე პირების იდენტიფიცირებისას.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისათვის. დაწესებულება იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (e-flow), როგორც შიდა ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. კერძოდ. დაწესებულებაში სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2021 წლის 31 დეკემბრის N02-01-411 ბრძანებით განსაზღვრულია რეესტრის წარმოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები, რომლის თანახმად, რეესტრის სპეციალისტი უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ადმინისტრირებას და როგორც პროფესიულ სტუდენტთა შესახებ, ისე კოლეჯის საქმიანობისთვის აუცილებელი ინფორმაციის ასახვას evet.emis.ge სისტემაში. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ინფორმაციის სრულყოფილად და კანონმდებლობით დადგენილი წესით ინფორმაციის ასახვის საკითხი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. კერძოდ, შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან შემოსულ კორესპონდენციებზე დაწესებულების მიერ რეაგირების საკითხი, აღნიშნული დასტურდება ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შემოსული და გასული კორესპონდენციების e-fow ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში გადამოწმების და საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუირების გზით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-73 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი“;
2. დირექტორის 2021 წლის 31 დეკემბრის N02-01-411 ბრძანებით დამტკიცებული საქმისმწარმოებლების ფუნქცია-მოვალეობები;
3. საქმისმწარმოებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
4. დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eflow.emis.ge) მონაცემები;
5. ინტერვიუს შედეგები.

### **5.2.3** პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას.

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი http://collegeaisi.ge/, სოციალური ქსელის გვერდი https://www.facebook.com/CollegeAisi/ და ბლოგი https://aisisblogi.blogspot.com, რომლებიც ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. აღნიშნულ გვერდებზე განთავსებული სიახლეები სისტემატური ხასიათსაა და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიწოდების ინტერესს.

კოლეჯის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის გვერდებზე საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულების მიზნით, განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და საჭიროებისამებრ შეტყობინების გაგზავნის ფუნქცია. რაც შეეხება საინფორმაციო ფუნქციას, ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია: დაწესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ, დაწესებულების სტრუქტურა, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ინფორმაცია პერსონალის შესახებ, დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები, მთავარი სიახლეები, პროგრამების ანოტაციები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, ინფორმაცია სასწავლო ბაზებისა და პანსიონის შესახებ, ინფორმაცია პარტნიორი ბიზნეს-ორგანიზაციების შესახებ. ვებგვერდის ნავიგაცია მარტივია, ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში.

*ვებ-გვერდზე, რუბრიკაში „ჩვენ შესახებ“ განთავსებულია დაწესებულების ფილიალები (ლაგოდეხის, ალვანის, დედოფლისწყაროს), თუმცა აღნიშნული ჩანაწერი არ ითვალისწინებს ფილიალების საკონტაქტო ინფორმაციას, შესაბამისად, რეკომენდირებულია, ვებ-გვერდზე აისახოს ფილიალების საკონტაქტო ინფორმაცია. ასევე, უმჯობესია ვებ-გვერდს დაემატოს სიტყვით ძებნის ფუნქცია.*

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-69 ბრძანებით), რომელიც ითვალისწინებს ეფექტურ კომუნიკაციას საზოგადოებასთან და კოლეჯის ცნობადობის გაზრდას. დოკუმენტში მოცემულია, რომ სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი არის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. გაწერილია ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობებიც. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, პასუხისმგებელია, ასევე, დაწესებულების ვებ-გვერდის, სოციალური ქსელის გვერდის მართვასა და საზოგადოებასთან კომუნიკაციაზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების მისია არ მოიცავს განაცხადს უცხოენოვანი პროგრამების განხორციელების შესახებ, კოლეჯის პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამები ქართულენოვანია. შესაბამისად, დაწესებულების ვებ-გვერდი მხოლოდ ქართულენოვანია.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის, პროგრამების, სიახლეების შესახებ არის უტყუარი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი (დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის ,,აისი" დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-69 ბრძანებით), რომელშიც მოცემულია სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, პასუხისმგებელია, ასევე, დაწესებულების ვებ-გვერდის, სოციალური ქსელის გვერდის მართვასა და საზოგადოებასთან კომუნიკაციაზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. მასში ასახულია ინფორმაცია პროგრამების შესახებ: პროგრამის დონე, კრედიტები, კვალიფიკაცია, მისაღწევი სწავლის შედეგები, მოდულების, სწავლის ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.

კატალოგი არ მოიცავს  დაწესებულების შესახებ ინფორმაციას, მასში არ არის განთავსებული მისია, ხედვა, ღირებულებები, არ ითვალისწინებს სტუდენტების, მათ შორის სსსმ/შშმ სტუდენტების მხარდამჭერი სერვისების შესახებ ინფორმაციას, არ არის წარმოდგენილი პარტნიორები, არ იძლევა დაწესებულების ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების საშუალებას. *გამომდინარე იქიდან, რომ კატალოგი წარმოადგენს დაწესებულების სარეკლამო დოკუმენტს, რეკომენდირებულია, რომ დაინტერესებულ პირს იგი აწვდიდეს მნიშვნელოვან ინფორმაციას იმის შესახებ თუ რას წარმოადგენს დაწესებულება, რა მიზნები აქვს, ღირებულებები, მისია, რა სერვისებს სთავაზობს სტუდენტებს, დასაქმების ხელშეწყობა როგორ არის უზრუნველყოფილი, ვინ არიან დაწესებულების პარტნიორები და ა.შ.*

აღნიშნულთან დაკავშრებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს მომწოდებელთან კოლეჯს გაფორმებული ხელშეკრულება (N54 2022) სარეკლამო მასალების, მათ შორის კატალოგის დამზადების შესახებ, რომელშიც ასახული იქნება კატალოგით მოთხოვნილი ყველა კრიტერიუმი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულების ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი კატალოგების არქივი, თუმცა ამჟამად განთავსებულია 2022 წლის კატალოგი. დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა 2021 წლის კატალოგი რითაც დასტურდება, რომ კატალოგი ახლდება ყოველწლიურად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. წინამდებარე კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად, დაწესებულება რამდენიმე მიმართულებით მუშაობს: შექმნილია კოლეჯის ბლოგი (https://aisisblogi.blogspot.com), რომელზეც განთავსებულია ხშირად დასმული შეკითხვების რუბრიკა. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სოციალური ქსელში საზოგადოებისგან ხშირად მიღებული კითხვები გამოიყენეს მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ეს

კითხვები დააჯგუფეს და ბლოგზე განათავსეს ხშირად დასმული შეკითხვების რუბრიკის სახით. რუბრიკა მოიცავს ისეთ კითხვებს როგორიცაა: სად მდებარეობს კოლეჯი აისი, როდის იწყება რეგისტრაცია პროგრამებზე, სად შეიძლება რეგისტრაციის გავლა, როგორ ხორციელდება სსსმ/შშმ პირების რეგისტრაცია და ა.შ. აღნიშნული რუბრიკა საშუალებას აძლევს საზოგადოებას მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევის მეთოდოლოგია, მათ შორის დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, მასწავლებლების, დამსაქმებლების და ა.შ.) კვლევის შესაბამისი ინსტრუმენტები/კითხვარები. მაგალითად, დაწესებულება ყოველწლიურად ახორციელებს დამსაქმებლების კვლევას და მათგან მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებს ახალი პროგრამების დამატების ან არსებულის გაუმჯობესების პროცესში. წარმოდგენილი კვლევებით ირკვევა, რომ დაწესებულებაში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებისას გათვალისწინებულია დამსაქმებლების ინტერესები. 2021 წელს დაწესებულებამ კვლევა ჩაატარა იმ გეოგრაფიულ არეალში მდებარე კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან, სადაც მდებარეობს კოლეჯი აისი და მისი ფილიალები. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა პოტენციური დამსაქმებლები კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში (რესპონდენტები - შერჩევასა და რეკრუტირებაზე პასუხისმგებელი პირი, სულ - 300 რესპონდენტი). კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხული დამსაქმებლების რეკომენდაცია იყო პრაქტიკული მიმართულებით სტუდენტებისთვის უფრო მეტი აქტივობის დაგეგმვა, შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით, დაწესებულებას 2022 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს მასტერკლასების ჩატარება სტუდენტებისთვის, სპეციალობების შესაბამისად.

გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ მისიის შემუშავების პროცესში, მისიის პროექტი, დამტკიცებამდე განთავსებული ჰქონდათ კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, საზოგადოებისგან უკუკავშირის მისაღებად.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ საზოგადოებისაგან მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდი http://collegeaisi.ge/;
2. დაწესებულების სოციალური ქსელის გვერდი https://www.facebook.com/CollegeAisi/;
3. დაწესებულების ბლოგი https://aisisblogi.blogspot.com;
4. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-69 ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
5. დაწესებულების ვებ-გვერდებზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
6. ხელშეკრულება (N54 2022) სარეკლამო მასალების, მათ შორის კატალოგის დამზადების შესახებ;
7. 2021 წლის დამსაქმებლების კვლევა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 2 მარტისN02-01-63 ბრძანებით დამტკიცებული 2022 წლის სამოქმედო გეგმა;
9. კოლეჯის ვებ-გვერდის, სოციალური ქსელისა და ბლოგის დათვალიერების შედეგები;
10. ინტერვიუს შედეგები

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 5.3 ფინანსური რესურსები

**5.3.1** დაწესებულება ფინანსურად მდგრადია.

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სსიპ პროფესიული კოლეჯის „აისი“ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. კერძოდ ,პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსებით, გარდა ამისა, კოლეჯს აქვს დამატებითი, ეკონომიკური გზით მიღებული შემოსავლები და გრანტები. ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2022წლის 2 მარტის N02-01-63 და 2022 წლის 25 თებერვლის N02-01-56 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული და 2022 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისთვის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის და ამ ხარჯების კოლეჯის ბიუჯეტში გათვალისწინების საკითხი. ,,სსიპ კოლეჯი ,,აისის“ 2022 წლის პროგრამული დაფინანსების დამტკიცების შესახებ’’ კოლეჯის დირექტორის 31.01.2022 წლის N02-01-18 ბრძენებით დამტკიცებული ბიუჯეტის შესწავლით, დაწესებულების თვითშეფასების დანართის სახით წარმოდგენილი დოკუმენტების და დაწესებულების დირექტორთან და მთავარ ბუღალტერთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, დგება შესყიდვების წლიური გეგმა და მომდევნო წლის ბიუჯეტი, რითაც უზრუნველყოფილია სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების განხორციელება.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ბიუჯეტი (ბრძ. 02-01-18;31.01.2022), რომელიც ითვალისწინებს პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელ საოპერაციო ხარჯებს, დაწესებულებამ წარმოადგინა საოპერაციო წლის განმავლობაში საპროგნოზო ბიუჯეტის შესრულების, ფაქტობრივი შედეგების ამსახველი მონაცემები, გაანალიზებულია ბოლო რამდენიმე წლის შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკა. თვითშეფასების დანართით წარმოდგენილი , ვიზიტის დროს შესწავლილი დოკუმენტაციის და მთავარ ბუღალტერთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ფინანსური რესურსით, რაც დასტურდება თითოეული პროგრამის ბიუჯეტით.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, კერძოდ : კოლეჯი ანგარიშვალდებულია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს წლის დასასრულს წარუდგინოს ფინანსური ანგარიშები. კოლეჯის მთავარი ბუღალტრის ფუნქციებით განსაზღვრულია მისი ვალდებულებები, მათ შორის: ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა, საბიუჯეტო პროცესის რეგულირებისათვის წინადადებების შემუშავება, საბიუჯეტო მაჩვენებლების შესრულების სისტემატური ზედამხედველობა, სხვადასხვა უწყებებთან ვალდებულებით განსაზღვრულ ურთიერთობას და ანგარიშგება დადგენილ ვადებსა და პირობებში;
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. კერძოდ, კოლეჯი წლის ბოლოს ადგენს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელსაც აქვეყნებს ვებგვერდზე. დაწესებულების დირექტორის და მთავარი ბუღალტრის განმარტებით, აღნიშნული ანგარიშის და საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად, იგეგმება შემდგომი აქტივობები და ხდება სათანადო რეაგირება შეფასების შედეგებზე.
**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. დაწესებულების მაძიებლის თვითშეფასებით წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტი;
2. 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
3. კოლეჯის დირექტორის 31.01.2022 წლის N 02-01-18 ბრძანება „2022 წლის პროგრამული დაფინანსების დამტკიცების შესახებ";
4. ვებ-გვერდი (http://www.collegeaisi.ge/);
5. შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკა წლების მიხედვით;
6. სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგები;
7. ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## X. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საოფისე საქმე/ Office Work |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0415 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 59 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 89 |

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XI. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | | | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | | | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | | | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | სრული 3 | | | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კვლევა ჩატარებულია კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია ახალი კადრების მომზადება, ვინაიდან ორგანიზაციებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, დოკუმენტბრუნვის ხარისხიანად წარმოება, საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად, რასაც ჭირდება პროფესიონალი კადრი. ასევე, დაწესებულების 2020-2026 სტრატეგიული განვითარების გეგმით გამოკვეთილია პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები. ბიზნესის სფეროს ნაწილში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განხილულია საოფისე საქმე. აღნიშული დასაბუთება შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში, მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების საჭიროება, და აისახოს ჩატარებული კვლევის შესახებ ინფორმაცია - დატანილი იქნას კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, განხორციელების პერიოდი, გამოყენებული მეთოდები/ინსტრუმენტი, კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა და ჩატარებული კვლევების კონკრეტული შედეგები - სტატისტიკური მონაცემები/ინფორმაცია.*

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, დაშვების პროცედურა კი გულისხმობს მოტივაციურ გასაუბრებას და უზრუნველყოფს ისეთ პირთა მიღებას, რომელთა ცოდნა და უნარები იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება სსიპ კოლეჯის ,,აისის“ დირექტორის 2021 წლის 9 ივლისის N02-01-187 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების" შესახებ (ცვლილებები: 2021 წლის 24 აგვისტოს N02-01-237 ბრძანება, 2022 წლის 14 მარტის N02-01-77 ბრძანება).

   2021 წლის მიღება განხორციელებულია შიდა ტესტირების - მოტივაციური გასაუბრების გზით, სადაც დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია გაესაუბრა და წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით შეაფასა აპლიკანტები სპეციალურ პროგრამაში. რეიტინგული სია დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის მიერ 2022 წლის 14 მარტის N 02-01-68 ბრძანებით დამტკიცებულია „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით გამოანგარიშებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საოფისე საქმე“ ზღვრული რაოდენობა და შეადგენს 30 პროფესიული სტუდენტს, ორ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფში მაქსიმუმ 15 პირის შემადგენლობით.

   მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“-ის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიასთან. ხელშეკრულების თანახმად, მერია უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტების პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობას. ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული პრაქტიკის კომპონენტის გასავლელად პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. თუმცა, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებს, რომლებმაც დაადასტურებს რომ უზრუნველყოფენ ერთდროულად 15 სტუდენტის საწარმოო პრაქტიკას.

   მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამით დადგენილი მოთხოვნებს და პროფესიულ სტუდენტთა და განმახორციელებელ პირთა თანაფარდობას. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ხელმძღვანელობს სასწავლო გარემოს ფართობზე სტუდენტთა ადგილების რაოდენობის მიხედვით, ცვლებში სწავლის შესაძლებლობის პირობებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ვინაიდან საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში დადებულ ხელშეკრულებაში არ არის დაკონკრეტებული სტუდენტების რაოდენობა, რეკომენდირებულია, დაზუსტდეს სტუდენტების ის ოდენობა, რომელთა პრაქტიკული კომპონენტის გავლასაც უზრუნველყოფს ობიექტი შეუფერხებლად ერთდროულად.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საოფისე საქმე“ დაწესებულების ბაზასა და პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალური რესურსი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა კი შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. „საოფისე საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 21 მაისის კოლეჯის დირექტორის N 02-01-111, ბრძანებით (ცვლილება: ბრძანება N02-01-96, 17.03.2022). დირექტორის უფლებამოსილება დასტურდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №118/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „აისის“ წესდების მე-5-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა და სსიპ კოლეჯი აისის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” II თავის მე-2 მუხლის 2.9 პუნქტის თანახმად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. პროგრამის სახელწოდება „საოფისე საქმე“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტანდარტი - „საოფისე საქმე და ღონისძიების ორგანიზება“ - სარეგისტრაციო ნომრით - 04119-პ. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (59 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 89 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებისათვის), პროგრამის ხანგრძლივობაა 11 სასწავლო თვე (50 სასწავლო კვირა). დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (5 ზოგადი მოდული, ჯამური 15 კრედიტის მოცულობით, 1 საერთო პროფესიული მოდული ჯამური 5 კრედიტი მოცულობის და 14 პროფესიული მოდული, ჯამური 39 კრედიტის მოცულობით). სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულებით განსაზღვრულ წინაპირობებს, დაცულია პროგრამის ლოგიკური განვითარება, დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის და პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

*აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-5 პუნქტში „სტრუქტურა და მოდულები“, ქართული ენის მოდულთან დაკავშირებულ ჩანაწერში მითითებულია ძალადაკარგული დოკუმენტი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება N 152/ნ) რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩანაწერები არსებულ კანონმდებლობასთან თანხვედრაში მოიყვანოს.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯი „აისის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026. დამტკიცებულია“ სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2020 წლის 2 მარტის N 02-01-52 ბრძანებით;
2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე
4. „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N02-01-68, 14.03.2022;
5. პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
6. პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
7. კოლეჯი აისის 2021 წლის ინვენტარიზაციის მასალები;
8. სსიპ კოლეჯი აისის სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიში, 2021;
9. კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 14 აგვისტოს, N02-01-220 ბრძანება (ცვლილებები: ბრძანება N02-01-54, 2.03.2020; N02-01-78, 17.03.2022). საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №118/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „აისის“ წესდება.
10. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
11. ინტერვიუირება კოლეჯის წარმომადგენლებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამის განხორციელების ადგილად განსაზღვრულია - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომა. პროგრამის განსახორციელებლად საგანმანათლებლო დაწესებულებამ გამოყო A, B და C სასწავლო გარემო. თითოეული სასწავლო გარემო განკუთვნილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის, ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში 30 პროფესიული სტუდენტისთვის. სასწავლო გარემოში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა შემდეგი პირობები:

   AC გარემო: - გარემოში განთავსებულია 15 მაგიდა და 15 სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი. ასევე, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო დარგობრივი მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსის შესყიდვების დოკუმენტაცია და მიღება-ჩაბარების აქტები. გარემო გამტარუნარია ორ ცვლაში 2 ჯგუფისთვის (30 პროფესიული სტუდენტი). პროგრამაზე მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა 30 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

B გარემო: - გარემოში განთავსებულია 15 მაგიდა და 15 სკამი, საჭირო რაოდენობის კომპიუტერები პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსის შესყიდვების დოკუმენტაცია და მიღება-ჩაბარების აქტები. გარემო გამტარუნარია ორ ცვლაში 2 ჯგუფისთვის (30 პროფესიული სტუდენტი). პროგრამაზე მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა 30 პროფესიული სტუდენტი.

მოდულის - საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიასთან. მემორანდუმის თანახმად, მერია უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტების პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობას, ამავდროულად, ჩართული იქნება სწავლების პროცესში.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“ მოიცავს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას. ექსპერტებმა შეისწავლეს იმ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, რომლების პარალელურად სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ახორციელებენ იმავე მოდულებს და დაადგინეს, რომ განმახორციელებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „საოფისე საქმე“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილში, რაც დასტურდება მათ პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მუდმივად ატარებს შიდა ტრენინგებს სწავლებისა და შეფასების საკითებზე, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. ამგვარად, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელს, რომელმაც აღწერა პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მიდგომები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. საგანმანათლებლო პროგრამას „საოფისე საქმე“ ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ დამტკიცებულ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია, დოკუმენტი გვაძლევს ინფორმაციას კვალიფიკაციის, გამოცდილების და საჭირო ცოდნა-უნარების და მოვალეობების შესახებ. სსიპ კოლეჯი „აისის“ დირექტორის 2022 წლის 17 მარტის ბრძანების საფუძველზე

პროგრამაზე საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად დანიშნულია დარგში მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებელი. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუირებისას დასტურდება მისი პროფესიული კვალიფიკაცია, თუმცა გამოიკვეთა, რომ იგი საჭიროებს მხარდაჭერას ადმინისტრაციისგან შეფასებასთან, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასთან, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებში. შესაბამისად, *რეკომენდირებულია პროგრამის ხელმძღვანელის გადამზადება აღნიშნულ საკითხებში.*

ამასთან დაკავშირებით, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის, ისე დაწესებულების წარმომადგენლების მიერ დასტურდება, რომ მას ეტაპობრივად უტარდება ტრენინგები ზემოაღნიშნულ საკითხებზე. პროგრამის ხელმძღვანელის განმავითარებელი ტრენინგები გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმაშიც.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „საოფისე საქმე“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის ელექტრონული სახით ან/და ბიბლიოთეკაში მატერიალური ფორმით. ექსპერტების მიერ შემოწმდა და დადასტურდა ბიბლიოთეკაში რესურსების არსებობა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 25-ე მუხლით განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის/გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციებით უზრუნველყოფილია სსსმ პირების პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 23 690 ლარი და ხარჯების ნაწილში - 23 690 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: ხელფასს (ვაუჩერული დაფინანსება) – 17 100 ლარი; ნედლეულისა და მასალის ხარჯებს (ვაუჩერული დაფინანსება) – 1 530 ხელფასი (პროგრამული დაფინანსება) – 2 750 ლარი და სხვა ხარჯებს (პროგრამული დაფინანსება). რენტაბელობის ზღვარი არის 5 სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ, ვაუჩერულად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საგანმანათლებლო პროგრამა საოფისე საქმე;
2. „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N02-01-68, 14.03.2022;
3. დირექტორის ბრძანება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"
4. ინტერვიუირება კოლეჯის წარმომადგენლებთან
5. ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1-2. სსიპ კოლეჯის „აისი“ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-2 თავი აღწერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, ცვლილებისა და გაუქმების პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის შემუშავების მიზნით, დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახორციელებს პროგრამების შემუშავებას/ოპტიმიზირებას. სამუშაო ჯგუფის მიერ განსახორციელებელი აქტივობები დეტალურად არის გაწერილი მე-2 მუხლის მე-19 პუნქტში.

პროგრამის შემუშავების/ოპტიმიზირების შემდეგ, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის წარდგინებით, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დამტკიცების შესახებ. ზემოაღნიშნული წესის მე-6 მუხლი არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის/გაუქმების საფუძველსა და პროცედურებს, რომლის მიხედვითაც „პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს: ა) პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით; ბ) უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში; გ) სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; დ) პარტნიორი კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს; ე)ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე.“ პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია დირექტორის მოადგილეს სასწავლო-საწარმოო დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, ან სხვა დაინტერესებულ ნებისმიერ პირს. ამავე მუხლით, ასევე დარეგულირებულია პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის საკითხები.

ექსპერტებმა, ვიზიტის პერიოდში, შეამოწმეს კოლეჯის მიერ განხორციელებადი ის პროგრამები, რომელიც კოლეჯის მარეგულირებელი წესის მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ექვემდებარებოდა სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილია სათანადო ცვლილებები „სამოქალაქო განათლების“ მოდულის ახალი რედაქციის მიხედვით.

მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლი აღწერს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების შეფასების პროცესს და ეტაპებს, რაც მოიცავს მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფას, რეკომენდაციების შემუშავებას, ცვლილებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც აგებულია დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე ციკლის მიხედვით და გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროების და კმაყოფილების კვლევას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევას. ასევე, აღნიშნული წესი ითვალისწინებს არსებული გამოკითხვების/კვლევების და საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებას/მოდიფიცირებას დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს წარუდგინეს 2020 და 2021 წლებში ჩატარებული პროფესიული სტუდენტების საჭიროების და კმაყოფილების, ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევები, სადაც აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია, გაანალიზებულია შედეგები, და გაცემულია რეკომენდაციები. აღნიშნული კვლევის შედეგად პროგრამის გაუმჯობესების საჭიროება არ გამოკვეთილა, თუმცა დაფიქსირდა პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ინტერესები არაფორმალური აქტივობების და მასტერკლასების ინტენსიურად ჩატარების მიმართ (აღწერილია შესაბამის 3.2.1-5 ინდიკატორში).

ჩამოთვლილი რეგულაციების მიხედვით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. ასევე, რეგულაციით გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების გაანალიზება და ცვლილებების შეტანის პირობები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (ცვლილება - 29.04.2022 N02-01-149) დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. 2022 წლის 14 მარტის N02-01-76 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
3. პროფესიული სტუდენტების საჭიროების და კმაყოფილების კვლევის ანგარიშები (2020 წელი, 2021 წელი);
4. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშები (2020 წელი, 2021 წელი);
5. ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მოთხოვნისამებრ ექსპერტებს წარედგინათ მოქმედი ჯგუფების მეცადინეობების განრიგი, მიმდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საოფისე საქმე“, რომელიც შესაბამისობაშია დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმასთან.

სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი შეფასებისთვის საჭირო დროის შუალედი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის მიერ შემუშავებულ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესში“ დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები, კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო გეგმები, პროგრამის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, გონივრული ხანგრძლივობითაა შედგენილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცხრილის შეცვლა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება.

პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებისა და შემხვედრ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების მიმართულებით, COVID-19 დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში, კოლეჯმა მოახდინა სწავლების როგორც დისტანციური, ასევე ჰიბრიდული ფორმის შემუშავება. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებამ ხელი შეუწყო პანდემიურ პერიოდში მათი სასწავლო პროცესში ჩართულობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე ხელსაწყოების საშუალებით. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - ლექცია და დემონსტრირება, საკლასო დისკუსია, მეთოდი ორიენტირებული სასწავლო ოთახზე/პრაქტიკის ობიექტზე პროგრამისთვის დაწესებულებას შესყიდული აქვს თანამედროვე დანადგარები და აპარატურა, რაც ადასტურებს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას. ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-18 მუხლი განსაზღვრავს" ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების წესს", რომლის 18.3 პუნქტი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შემდეგ შემთხვევებს: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის (სსსმ პირებისთვის), ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ), გ) სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ), დ) მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება არ დამდგარა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საოფისე საქმე“ საწარმოო პრაქტიკის მოდულის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთან. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთ-ერთი მხარის მიერ შეწყვეტამდე. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა გასაუბრება ლაგოდეხის მერთან და მერიის ადმინისტრაციის თანამშრომელთან, რომელმაც დაადასტურა შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების სიზუსტე, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელმა განაცხადა თანხმობა მიიღოს 15 პროფესიულ სტუდენტი და მეტიც, თუ იქნება ამის საჭიროება, ასევე აღნიშნა, რომ კვალიფიციური კადრების მომზადება მნიშვნელოვანია და მზაობა აქვთ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში აქტიურად ჩაერთონ, მათი შემდგომი დასაქმების მიზნით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის განხორციელების სპეციფიკა არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმების დაცვას. კოლეჯის შენობა და მისი ინფრასტრუქტურა ქმნის უსაფრთხო სასწავლო გარემოს თეორიული მეცადინეობებისათვის. ასევე, კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების

თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების  პოლიტიკა დანართებითურთ. დაწესებულებას ჰყავს, ასევე, პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები შემოწმდა ვიზიტის დროს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სასწავლო გეგმები;
2. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-75 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა განაწესი“;
4. სსიპ კოლეჯი აისის სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიში, 2021;
5. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
6. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
7. დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ფაქტობრივი მდგომარეობა (დათვალიერება ადგილზე);
8. პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების  პოლიტიკა და მისი დანართები;
9. ინტერვიუების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (უკანასკნელი ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით), რომლის მე-7 თავი არეგულირებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების/აპელაციის წესს, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა (31.12.2020 წლის N02-01-401 ბრძანებით), რომელიც მოიცავს აუცილებელ ველებს, თუმცა *ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, შეფასების ინსტრუმენტში პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს გასაჩივრების შესაძლებლობასთან დაკავშირებით ჩანაწერის დამატების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 23-ე მუხლში.* დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, პროფესიული სტუდენტების მიერ, შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევა არ ფიქსირდება. *ვინაიდან ბუნდოვანია კოლეჯის განმარტება, სწავლების ეფექტური სისტემის გამო განმეორებითი შეფასების საჭიროების არ არსებობის შესახებ, კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია გადახედოს შეფასების სისტემას/ვერიფიკაციის მექანიზმებს, შეფასების ინსტრუმენტის პროგრამის/მოდულების მოთხოვნებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.*

შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელია მოდულის განმახორციელებელი პირი, რომელიც ახლად შექმნილ ან შეცვლილ ინსტრუმენტს, ვალიდაციის მიზნით, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულზე სწავლის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური შემოწმება ხდება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, ხოლო შინაარსობრივი - დარგის სპეციალისტის მიერ. *დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, შემუშავებულ რეგულაციებში ასახოს ვალიდაციის პროცესის განხორციელებაში დარგის წარმომადგენლის ჩართულობა.*

პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესი მიმდინარეობს თანაბარ პირობებში და შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას იღებენ ინდივიდუალურად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, რომლის წარმართვაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები საჭიროების შესაბამისად.

დაწესებულებაში ვერიფიკაციის პროცესი პირველად განხორციელდა 2020 წელს ,,ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, 2020 წლის 20 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიის მიხედვით. ხოლო 2020 წლის 6 ივლისის N02-01-140 ბრძანებით აღნიშნულ მეთოდოლოგიაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით ვერიფიკაცია განხორციელდა 2021 წელს, 6 სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ზემოაღნიშნულ წლებში განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგებით იკვეთება, შეფასების ინსტრუმენტების ნაკლოვანებები, მათ შორის ტექნიკური უზუსტობები და შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დაბალი სანდოობა. ზემოაღნიშნული გამოწვევების დაძლევის მიზნით, დაწესებულებამ შეიმუშავა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი - დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (უკანაკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით), რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის კითხვარის ფორმას, ვერიფიკატორის მიერ შეფასების პროცესზე დასწრების კითხვარს და შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციის კითხვარს.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 17 მარტის N02-01-103 ბრძანებით (ცვლილება შესულია 2022 წლის 10 მაისის N02-01-153 ბრძანებით) შექმნილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელადაც პროცესის გამჭვირვალობის მიზნებისთვის, მოწვეულია ექსპერტი, ამავე ბრძანებით დამტკიცებულია ვერიფიკაციის გეგმა და მასთან დაკავშირებული ფორმები. წარმოდგენილი გეგმა მოიცავს, შესაბამისი აქტივობების (სამიზნე ნიშნულების შერჩევა, შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და წლის მტკიცებულებების ვერიფიკაცია, შედეგების ანალიზი და შემდგომი სამოქმედო გეგმის შემუშავება, ასევე გათვალისწინებულია ვერიფიკაციის შედეგების გაზიარება) განხორციელებას მიმდინარე წლის დეკემბრის თვის ჩათვლით. ვიზიტის მომენტისთვის ჩატარებული იყო ვერიფიკაციის ჯგუფის შეხვედრა (პირველი ეტაპის შემაჯამებელი შეხვედრის ოქმი N1 06.05.22წ.), სადაც განისაზღვრა, ვერიფიკაციის განხორციელების რისკ-ფაქტორების სქემა: შემოწმებას ექვემდებარება 1) დამწყები მასწავლებლების მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების 50%; 2) მოდულის ფარგლებში პირველადი შეფასებისას ყველა პროფესიული სტუდენტის მიერ სრულად დადებითი შეფასების მიღების შემთხვევის მტკიცებულებების 25%; 3) ახლად ავტორიზებული პროგრამებზე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების 100% და მტკიცებულებების 50%; 4) დანარჩენ პროგრამებზე შეფასების ინსტრუმენტებისა და ინსტრუმენტების 20-25 % შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 24-ე მუხლით განსაზღვრულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვისა და განკარგვის წესი, რომლის თანახმადაც, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა ინახება კოლეჯში სასწავლო პროცესის მენეჯერთან/ებთან, მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით, ხოლო საკვალიფიკაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომისიის გადაწყვეტილების შემდგომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და ოქმები ინახება უვადოდ დირექტორის მოადგილესთან სასწავლო საწარმოო დარგში. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების შეგროვება და დაცვა. დაწესებულების მიერ დანომრილი უწყისები და მტკიცებულებები აღირიცხება ელექტრონულად. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეამოწმეს შესაბამისი პროგრამების სხვადასხვა მოდულების შეფასების უწყისები. აღსანიშნავია, რომ განმეორებითი შეფასების ამსახველი უწყისები არ ფიქსირდება. *შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, არსებობის შემთხვევაში, განმეორებითი შეფასების შედეგები ასახულ იქნას განცალკევებით, ან შესაბამისი ველი დატანილ იქნას შეფასების უწყისის ფორმაში, განმეორებითი შეფასების თარიღის მითითებით.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია, პროფესიული სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების შეტყობინების ვალდებულება. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასების შედეგების გაცნობისას ინდივიდუალურად უწევენ კონსულტაციას დაშვებული შეცდომებისა და გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. 2022 წლის 14 მარტის N02-01-76 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
3. 2020 წლის 20 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია;
4. 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია (უკანაკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით);
5. 2022 წლის 17 მარტის N02-01-103 ბრძანება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ (უკანასკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 10 მაისის N02-01-153 ბრძანებით);
6. ოქმი N1 06.05.2022;
7. დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა;
8. შეფასების ინსტრუმენტები;
9. შეფასების უწყისები;
10. შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები;
11. ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბუღალტრული აღრიცხვა / Accounting |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0411 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 129 |

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | | | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | | | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | | | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | სრული 3 | | | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## სტანდარტის შეფასება

### პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კვლევა ჩატარებულია კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელმძღვანელებთან. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მიმართულებით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში პროფესიონალი კადრების დეფიციტია და მნიშვნელოვანია ახალი კადრების მომზადება. კერძო სექტორის მხრიდან მოთხოვნად პროფესიებში დასახელდა ბუღალტერია, რომელიც ნებისმიერ ბიზნესს სჭირდება. გარდა ამისა, კვალიფიციური ბუღალტერი მნიშვნელოვანია საგადასახადო სამსახურებთან ურთიერთობაში, კომპანიების ფინანსურად გამართვასა და გაუთვალისწინებელი ხარჯების თავიდან აცილებაში. მათ მიერ განხორციელებულმა კვლევებმა გამოავლინა ბუღალტერიის პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საჭიროება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა ხელს შეუწყობს კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის დასაქმებას, თვითდასაქმებას და მათ ეკონომიკურ განვითარებას.

*დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში, მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების საჭიროება, და აისახოს ჩატარებული კვლევის შესახებ ინფორმაცია - დატანილი იქნას კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, განხორციელების პერიოდი, გამოყენებული მეთოდები/ინსტრუმენტი, კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა და ჩატარებული კვლევების კონკრეტული შედეგები - სტატისტიკური მონაცემები/ინფორმაცია.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ოქტომბერი N02-01-104 ბრძანებით (შევიდა ცვლილება სსიპ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 აპრილის N 02-01-94 ბრძანებით შევიდა ცვლილება სსიპ კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 17 მარტის N02-01-91 ბრძანებით) დამტკიცებულ პროგრამაში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება. პროცედურა კი გულისხმობს გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებული პროფესიული ტესტირების საფუძველზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის მიერ 2022 წლის 14 მარტის N 02-01-68 ბრძანებით დამტკიცებულია „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით გამოანგარიშებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა“ ზღვრული რაოდენობა და შეადგენს 30 პროფესიული სტუდენტს, ორ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფში მაქსიმუმ 15 პირის შემადგენლობით.

   მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამით დადგენილი მოთხოვნებს და პროფესიულ სტუდენტთა და განმახორციელებელ პირთა თანაფარდობას. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ხელმძღვანელობს სასწავლო გარემოს ფართობზე სტუდენტთა ადგილების რაოდენობის მიხედვით, ცვლებში სწავლის შესაძლებლობის პირობებში.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განსაზღვრული მატერიალური რესურსი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა კი შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ოქტომბერი N02-01-104 ბრძანებით (შევიდა ცვლილება სსიპ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 8 აპრილის N 02-01-94 ბრძანებით, შევიდა ცვლილება სსიპ კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 17 მარტის N02-01-91 ბრძანებით). დირექტორის უფლებამოსილება დასტურდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №118/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „აისის“ წესდების მე-5-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა და სსიპ კოლეჯი აისის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" II თავის მე-2 მუხლის 2.9 პუნქტის თანახმად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. პროგრამის სახელწოდება „ბუღალტრული აღრიცხვა“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე და განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (99 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 129 კრედიტი, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის რომელთაგან 99 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 (30კრედიტი)). ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 18თვე. არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 23,5 თვე., პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა (მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები (A2,B1)) და სასწავლო გეგმას და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

   დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (3 ზოგადი მოდული, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 16 პროფესიული მოდული, ჯამური 88 კრედიტის მოცულობით). სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულებით განსაზღვრულ წინაპირობებს, დაცულია პროგრამის ლოგიკური განვითარება, დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის და პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

*აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-5 პუნქტში „სტრუქტურა და მოდულები", ქართული ენის მოდულთან დაკავშირებულ ჩანაწერში მითითებულია ძალადაკარგული დოკუმენტი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება N 152/ნ) რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩანაწერები არსებულ კანონმდებლობასთან თანხვედრაში მოიყვანოს.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. საგანმანათლებლო პროგრამა ;
2. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
3. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
4. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება;
5. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
6. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N118/ნ 2019 წლის 19 ივნისი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „აისის" წესდების დამტკიცების შესახებ";
7. სასწავლო გეგმა;
8. ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ კოლეჯს „აისს“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომაში გააჩნია „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი, რაც დასტურდება ინვენტარიზაციის წიგნაკით და ვიზუალური დათვალიერებით. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის“ განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 30 პროფესიული სტუდენტის სწავლების შემთხვევაში . (კოლეჯი ითხოვს ჯამში 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ერთ ცვლაში ჩარიცხვისთვის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება 15 პროფესიული სტუდენტით). პროგრამისთვის გამოყოფილია ერთი A/B და ერთი B გარემოს აუდიტორია, რომელთაგან B გარემოს აუდიტორია ემსახურება ზოგადი მოდულების სწავლებას, ხოლო A/B გარემოს აუდიტორია განსაზღვრულია პროგრამის პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის. აღნიშნული აუდიტორიები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით - პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდები, სკამები, დაფა და საჭირო ტექნიკური მოწყობილობებით - ფლეშ-მეხსიერება, პრინტერი, პროექტორი და შესაბამისი მახასიათებლების მქონე პერსონალური კომპიუტერები, სადაც ჩატვირთულია (ORIS) პროგრამა (15+1 ერთეული). პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკის მოდულს და სწავლება სრულად ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“, დაწესებულებას შერჩეული ჰყავს 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 4 მათგანი განსაზღვრულია ზოგად მოდულებზე, ხოლო 2 - პროფესიულ მოდულებზე.

   პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელებაში ჩართულია 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 4 განსაზღვრულია ზოგად მოდულებზე, ხოლო 2 - პროფესიულ მოდულებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის დანართში ადამიანური რესურსების შესახებ, პროფესიული მოდულები გადანაწილებულია ზემოაღნიშნულ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელზე იმგვარად, რომ თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია ორი განმახორციელებელი. დარგობრივ მოდულზე „Ms Excel " ჰყავს ერთი განმახორციელებელი პირი. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კვირეული საკონტაქტო დატვირთვის (30 საათი) ორ ცვლაში ერთი პროფესიულ განათლების მასწავლებლის მიერ განხორციელების შემთხვევაში დასაქმებულის კვირეული დატვირთვა - 60 საათს გადაჭარბებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ საჭიროების შემთხვევაში აღნიშნულ მოდულს განახორციელებს დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი და მათი რესურსი გამოიყენება იმგვარად, რომ არ დადგება საათობრივი გადაჭარბების გარემოება. ექსპერტების შეფასებით, პროფესიული მოდულების ორივე განმახორციელებელს გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული მოდულის „Ms Excel " სწავლების განათლება და შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება.

*დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართში განმახორციელებელი პირების შესახებ მოდულის ,,Ms Excel" განმახორციელებელ პირად დაამატოს დარგობრივი მოდულების მასწავლებელი, ან მოახდინოს სასწავლო გეგმაში ცვლილება და მოდულის „Ms Excel " საკონტაქტო საათები გადაანაწილოს სასწავლო კვირებზე.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა" განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილში, რაც დასტურდება მათ პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მუდმივად ატარებს შიდა ტრენინგებს სწავლებისა და შეფასების საკითებზე, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. ამგვარად, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელს, რომელმაც აღწერა პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მიდგომები.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა" კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს და გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს პროფესიული მოდულების განმახორციელებელს. აღნიშნული პირი არის დარგის შესაბამისი კომპეტენციის მქონე, აქვს სფეროში მუშაობის გამოცდილება.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „ბუღალტრული აღრიცხვა“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის ელექტრონული სახით ან/და ბიბლიოთეკაში მატერიალური ფორმით. ექსპერტების მიერ შემოწმდა და დადასტურდა ბიბლიოთეკაში რესურსების არსებობა.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 25-ე მუხლით განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის/გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება.

   ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციებით უზრუნველყოფილია სსსმ პირების პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“ წარმოდგენილი ბიუჯეტით (დანართი 5) განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (6 პროფესიული სტუდენტი) და ითვალისწინებს შემოსავლის ორ სახეობას: ვაუჩერულ - 28026 ლარი და პროგრამულ (სუბსიდია)-9 936 ლარით დაფინანსებას, სულ 37 962 - ლარს. ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიცავს: ხელფასს (ვაუჩერული დაფინანსება ) 25 620 ლარს, ნედლეულისა და მასალები (ვაუჩერული დაფინანსება) 2 406 ლარს, ხელფასი (პროგრამული დაფინანსება) - 5 400 ლარს, სხვა ხარჯვითი ( პროგრამული დაფინანსება) – 4 536 ლარს. სულ ხარჯები 73 962 ლარს.

   სსიპ კოლეჯი "აისი"-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

   **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაციით (მიღება-ჩაბარების აქტები, შესყიდვების დოკუმენტაცია);
2. ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსით;
3. პროგრამის განმახორციელებელი პირის პირადი საქმით;
4. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
5. პროგრამის ბიუჯეტით;
6. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. ინტევიუირებით კოლეჯის  დირექტორთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, ბიბლიოთეკართან;
8. საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით პროგრამის A, B  გარემოს ვიზუალური დათვალიერებით;
9. კოლეჯის ვებგვერდითhttps://www.collegeaisi.ge/.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

3. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
4. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1-2. სსიპ კოლეჯის „აისი“ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-2 თავი აღწერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, ცვლილებისა და გაუქმების პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის შემუშავების მიზნით, დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახორციელებს პროგრამების შემუშავებას/ოპტიმიზირებას. სამუშაო ჯგუფის მიერ განსახორციელებელი აქტივობები დეტალურად არის გაწერილი მე-2 მუხლის მე-19 პუნქტში.

პროგრამის შემუშავების/ოპტიმიზირების შემდეგ, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის წარდგინებით, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დამტკიცების შესახებ. ზემოაღნიშნული წესის მე-6 მუხლი არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის/გაუქმების საფუძველსა და პროცედურებს, რომლის მიხედვითაც „პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს: ა) პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით; ბ) უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში; გ) სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; დ) პარტნიორი კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს; ე)ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე.“ პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია დირექტორის მოადგილეს სასწავლო-საწარმოო დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, ან სხვა დაინტერესებულ ნებისმიერ პირს. ამავე მუხლით, ასევე დარეგულირებულია პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის საკითხები.

ექსპერტებმა, ვიზიტის პერიოდში, შეამოწმეს კოლეჯის მიერ განხორციელებადი ის პროგრამები, რომელიც კოლეჯის მარეგულირებელი წესის მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ექვემდებარებოდა სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილია სათანადო ცვლილებები „სამოქალაქო განათლების“ მოდულის ახალი რედაქციის მიხედვით.

მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლი აღწერს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების შეფასების პროცესს და ეტაპებს, რაც მოიცავს მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფას, რეკომენდაციების შემუშავებას, ცვლილებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც აგებულია დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე ციკლის მიხედვით და გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროების და კმაყოფილების კვლევას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევას. ასევე, აღნიშნული წესი ითვალისწინებს არსებული გამოკითხვების/კვლევების და საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებას/მოდიფიცირებას დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს წარუდგინეს 2020 და 2021 წლებში ჩატარებული პროფესიული სტუდენტების საჭიროების და კმაყოფილების, ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევები, სადაც აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია, გაანალიზებულია შედეგები, და გაცემულია რეკომენდაციები. აღნიშნული კვლევის შედეგად პროგრამის გაუმჯობესების საჭიროება არ გამოკვეთილა, თუმცა დაფიქსირდა პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ინტერესები არაფორმალური აქტივობების და მასტერკლასების ინტენსიურად ჩატარების მიმართ (აღწერილია შესაბამის 3.2.1-5 ინდიკატორში).

ჩამოთვლილი რეგულაციების მიხედვით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. ასევე, რეგულაციით გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების გაანალიზება და ცვლილებების შეტანის პირობები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (ცვლილება - 29.04.2022 N02-01-149) დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. 2022 წლის 14 მარტის N02-01-76 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
3. პროფესიული სტუდენტების საჭიროების და კმაყოფილების კვლევის ანგარიშები (2020 წელი, 2021 წელი);
4. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშები (2020 წელი, 2021 წელი);
5. ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების მიერ დამტკიცებული „ბუღალტრული აღიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის მიერ შემუშავებულ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესში“ დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები, კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო გეგმები, პროგრამის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, გონივრული ხანგრძლივობითაა შედგენილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცხრილის შეცვლა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება.

პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებისა და შემხვედრ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების მიმართულებით, COVID-19 დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში, კოლეჯმა მოახდინა სწავლების როგორც დისტანციური, ასევე ჰიბრიდული ფორმის შემუშავება. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებამ ხელი შეუწყო პანდემიურ პერიოდში მათი სასწავლო პროცესში ჩართულობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - ლექცია და დემონსტრირება, საკლასო დისკუსია, შეფასების მეთოდები. სწავლება მიმდინარეობს საბუღალტრო პროგრამა „ORIS“-ის მეშვეობით, ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტებმა დაათვალიერეს სტუდენტების მიერ პროგრამაში შესრულებული დავალებები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-18 მუხლი განსაზღვრავს" ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების წესს", რომლის 18.3 პუნქტი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შემდეგ შემთხვევებს: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის (სსსმ პირებისთვის), ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ), გ) სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ), დ) მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება არ დამდგარა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პროგრამა არ მოიცავს პრაქტიკულ პროექტს. სწავლება ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა თავისი შინაარსისა და სპეციფიკიდან გამომდინარე, არ ითვალისწინებს უსაფრთხოების განსაკუთრებულ ნორმებს. კოლეჯს გაწერილი აქვს პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფთხოებისა და თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2021 წლის 24 მარტის N02-01-76 ბრძანებით. კოლეჯის ტერიტორიაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. სასწავლო პროცესის რეგულირების წესით;
2. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
3. „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით;
4. ვიზუალური დათვალიერება;
5. შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუმველყოფის წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

5. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
6. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
7. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
8. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (უკანასკნელი ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით), რომლის მე-7 თავი არეგულირებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების/აპელაციის წესს, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა (31.12.2020 წლის N02-01-401 ბრძანებით), რომელიც მოიცავს აუცილებელ ველებს, თუმცა *ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, შეფასების ინსტრუმენტში პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს გასაჩივრების შესაძლებლობასთან დაკავშირებით ჩანაწერის დამატების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 23-ე მუხლში.* დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, პროფესიული სტუდენტების მიერ, შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევა არ ფიქსირდება. *ვინაიდან ბუნდოვანია კოლეჯის განმარტება, სწავლების ეფექტური სისტემის გამო განმეორებითი შეფასების საჭიროების არ არსებობის შესახებ, კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია გადახედოს შეფასების სისტემას/ვერიფიკაციის მექანიზმებს, შეფასების ინსტრუმენტის პროგრამის/მოდულების მოთხოვნებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.*

შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელია მოდულის განმახორციელებელი პირი, რომელიც ახლად შექმნილ ან შეცვლილ ინსტრუმენტს, ვალიდაციის მიზნით, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულზე სწავლის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური შემოწმება ხდება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, ხოლო შინაარსობრივი - დარგის სპეციალისტის მიერ. *დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, შემუშავებულ რეგულაციებში ასახოს ვალიდაციის პროცესის განხორციელებაში დარგის წარმომადგენლის ჩართულობა.*

პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესი მიმდინარეობს თანაბარ პირობებში და შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას იღებენ ინდივიდუალურად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, რომლის წარმართვაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები საჭიროების შესაბამისად.

დაწესებულებაში ვერიფიკაციის პროცესი პირველად განხორციელდა 2020 წელს ,,ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, 2020 წლის 20 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიის მიხედვით. ხოლო 2020 წლის 6 ივლისის N02-01-140 ბრძანებით აღნიშნულ მეთოდოლოგიაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით ვერიფიკაცია განხორციელდა 2021 წელს, 6 სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ზემოაღნიშნულ წლებში განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგებით იკვეთება, შეფასების ინსტრუმენტების ნაკლოვანებები, მათ შორის ტექნიკური უზუსტობები და შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დაბალი სანდოობა. ზემოაღნიშნული გამოწვევების დაძლევის მიზნით, დაწესებულებამ შეიმუშავა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი - დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (უკანაკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით), რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის კითხვარის ფორმას, ვერიფიკატორის მიერ შეფასების პროცესზე დასწრების კითხვარს და შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციის კითხვარს.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 17 მარტის N02-01-103 ბრძანებით (ცვლილება შესულია 2022 წლის 10 მაისის N02-01-153 ბრძანებით) შექმნილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელადაც პროცესის გამჭვირვალობის მიზნებისთვის, მოწვეულია ექსპერტი, ამავე ბრძანებით დამტკიცებულია ვერიფიკაციის გეგმა და მასთან დაკავშირებული ფორმები. წარმოდგენილი გეგმა მოიცავს, შესაბამისი აქტივობების (სამიზნე ნიშნულების შერჩევა, შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და წლის მტკიცებულებების ვერიფიკაცია, შედეგების ანალიზი და შემდგომი სამოქმედო გეგმის შემუშავება, ასევე გათვალისწინებულია ვერიფიკაციის შედეგების გაზიარება) განხორციელებას მიმდინარე წლის დეკემბრის თვის ჩათვლით. ვიზიტის მომენტისთვის ჩატარებული იყო ვერიფიკაციის ჯგუფის შეხვედრა (პირველი ეტაპის შემაჯამებელი შეხვედრის ოქმი N1 06.05.22წ.), სადაც განისაზღვრა, ვერიფიკაციის განხორციელების რისკ-ფაქტორების სქემა: შემოწმებას ექვემდებარება 1) დამწყები მასწავლებლების მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების 50%; 2) მოდულის ფარგლებში პირველადი შეფასებისას ყველა პროფესიული სტუდენტის მიერ სრულად დადებითი შეფასების მიღების შემთხვევის მტკიცებულებების 25%; 3) ახლად ავტორიზებული პროგრამებზე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების 100% და მტკიცებულებების 50%; 4) დანარჩენ პროგრამებზე შეფასების ინსტრუმენტებისა და ინსტრუმენტების 20-25 % შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 24-ე მუხლით განსაზღვრულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვისა და განკარგვის წესი, რომლის თანახმადაც, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა ინახება კოლეჯში სასწავლო პროცესის მენეჯერთან/ებთან, მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით, ხოლო საკვალიფიკაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომისიის გადაწყვეტილების შემდგომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და ოქმები ინახება უვადოდ დირექტორის მოადგილესთან სასწავლო საწარმოო დარგში. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების შეგროვება და დაცვა. დაწესებულების მიერ დანომრილი უწყისები და მტკიცებულებები აღირიცხება ელექტრონულად. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეამოწმეს შესაბამისი პროგრამების სხვადასხვა მოდულების შეფასების უწყისები. აღსანიშნავია, რომ განმეორებითი შეფასების ამსახველი უწყისები არ ფიქსირდება. *შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, არსებობის შემთხვევაში, განმეორებითი შეფასების შედეგები ასახულ იქნას განცალკევებით, ან შესაბამისი ველი დატანილ იქნას შეფასების უწყისის ფორმაში, განმეორებითი შეფასების თარიღის მითითებით.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია, პროფესიული სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების შეტყობინების ვალდებულება. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასების შედეგების გაცნობისას ინდივიდუალურად უწევენ კონსულტაციას დაშვებული შეცდომებისა და გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. 2022 წლის 14 მარტის N02-01-76 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
3. 2020 წლის 20 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია;
4. 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია (უკანაკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით);
5. 2022 წლის 17 მარტის N02-01-103 ბრძანება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ (უკანასკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 10 მაისის N02-01-153 ბრძანებით);
6. ოქმი N1 06.05.2022;
7. დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა;
8. შეფასების ინსტრუმენტები;
9. შეფასების უწყისები;
10. შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები;
11. ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XIV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი/Installation of drywall constructions |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0732 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | 0 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 0 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 59 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 0 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 74 |

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XV. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | | | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | | | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | | | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | სრული 3 | | | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## სტანდარტის შეფასება

### პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კვლევა ჩატარებულია კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. მუნიციპალიტეტების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის საფუძველზე დაწესებულებამ დაადგინა, რომ კახეთის რეგიონში ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარება, რაც ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოების განხორციელების საფუძველია. შესაბამისად, კედლის დაფარვის სამუშაოების განმახორციელებელ კვალიფიციურ პირებზე მოთხოვნა მაღალია. კვლევა განხორციელდა ასევე პროფესიული განათლებით დაინტერესებული საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდები დაინტერესებულნი არიან აღნიშნული პროფესიის შესწავლით. სამშენებლო სექტორის სწრაფი ზრდა ხელფასების სწრაფ ზრდას იწვევს, რაც ახალგაზრდებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივაციის წყაროა. აღნიშული დასაბუთება შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ასევე მაღალია აღნიშნული პროფესიით თვითდასაქმების მაჩვენებელი.

*დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში, მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების საჭიროება, და აისახოს ჩატარებული კვლევის შესახებ ინფორმაცია - დატანილი იქნას კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, განხორციელების პერიოდი, გამოყენებული მეთოდები/ინსტრუმენტი, კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა და ჩატარებული კვლევების კონკრეტული შედეგები - სტატისტიკური მონაცემები/ინფორმაცია.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება, დაშვების პროცედურა კი გულისხმობს მოტივაციურ გასაუბრებას და უზრუნველყოფს ისეთ პირთა მიღებას, რომელთა ცოდნა და უნარები იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება სსიპ კოლეჯის ,,აისის" დირექტორის 2021 წლის 9 ივლისის N02-01-187 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების" შესახებ (ცვლილებები: 2021 წლის 24 აგვისტოს N02-01-237 ბრძანება, 2022 წლის 14 მარტის N02-01-77 ბრძანება).

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ კოლეჯის ,,აისი" დირექტორის მიერ 2022 წლის 14 მარტის N 02-01-68 ბრძანებით დამტკიცებულია „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომლის მიხედვით გამოანგარიშებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" ზღვრული რაოდენობა და შეადგენს 30 პროფესიული სტუდენტს, ორ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფში მაქსიმუმ 15 პირის შემადგენლობით.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამით დადგენილი მოთხოვნებს და პროფესიულ სტუდენტთა და განმახორციელებელ პირთა თანაფარდობას. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ხელმძღვანელობს სასწავლო გარემოს ფართობზე სტუდენტთა ადგილების რაოდენობის მიხედვით, ცვლებში სწავლის შესაძლებლობის პირობებში.ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის "თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" განსაზღვრული მატერიალური რესურსი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა კი შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა “თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. საგანმანათლებლო პროგრამა მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“-ს დირექტორის მიერ 2018 წლის 12 ივნისი 02-01-170 ბრძანებით (ცვლილებები განხორციელდა: 2018 წლის 8 ნოემბრის N02-01-348 ; 2019 წლის 28 თებერვლის N 02-01-39; 2021 წლის 21 დეკემბრის N 02-01-387; 2022 წლის 17 მარტის N02-01-95 ბრძანებებით). დირექტორის უფლებამოსილება დასტურდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №118/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „აისის“ წესდების მე-5-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა და სსიპ კოლეჯი აისის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” II თავის მე-2 მუხლის 2.9 პუნქტის თანახმად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. პროგრამის სახელწოდება “თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტანდარტი მშენებლობის წარმოება/Construction Manufacturing სარეგისტრაციო ნომრით - 07320-პ. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (59 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 74 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა 11 სასწავლო თვე (40 კვირა), არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის ემატება ქართული ენის მოდული, რომელიც გაწერილია 10 კვირის განმავლობაში (სულ არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 13,5 თვე).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (7 ზოგადი მოდული, ჯამური 19 კრედიტის მოცულობით, 3 საერთო პროფესიული მოდული, ჯამური 5 კრედიტის მოცულობით და 5 დარგობრივი კონცენტრაცია - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის მოდულები ჯამური 35 კრედიტის მოცულობით), სასწავლო გეგმები როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულებით განსაზღვრულ წინაპირობებს, დაცულია პროგრამის ლოგიკური განვითარება, დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის და პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა, რომელიც არ აღემატება დასაშვებ (40 საათი ) კვირეულ დატვირთვას.

*აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-5 პუნქტში „სტრუქტურა და მოდულები", ქართული ენის მოდულთან დაკავშირებულ ჩანაწერში მითითებულია ძალადაკარგული დოკუმენტი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება N 152/ნ) რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩანაწერები არსებულ კანონმდებლობასთან თანხვედრაში მოიყვანოს.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯი „აისი"-ს მისია;
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „აისი" დირექტორის 2022 წლის14 მარტის ბრძანება N 02-01-72 ბრძანებით;
3. სტრატეგიული განვითარების გეგმა (დამტკიცებული სსიპ კოლეჯის„აისი" დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N02-01-101 ბრძანებით, შევიდა ცვლილება 2022 წლის 25თებერვლის N02-01-56 ბრძანებით);
4. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებული სსიპ კოლეჯის„აისი" დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-68 ბრძანებით);
5. მატერიალური რესურსების განკარგვის წესი (დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „აისი" დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-71 ბრძანებით);
6. „სამოქმედო გეგმა" (დამტკიცებული სსიპ კოლეჯის„აისი" დირექტორის 2022 წლის 2 მარტის N02-01-63 ბრძანებით);
7. ბრძანება პროგრამის დამტკიცების შესახებ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" (ძირითადი დოკუმენტი და დანართები) ,,დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივნისი 02-01-170 ბრძანებით. შევიდა ცვლილება 2018 წლის 8 ნოემბრის N02-01-348 ; 2019წლის 28 თებერვლის N 02-01-39 ; 2021 წლის 21 დეკემბრის N 02- 01-387 ; 2022 წლის 17 მარტის N 02-01-95 ბრძანებებით";
8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
9. დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რომელიც ეყრდნობა პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მიზნებისთვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულია შემდეგი სასწავლო გარემო: A გარემო . რომელშიც განთავსებულია - 15 მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, დაფა. A გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.

B გარემო განკუთვნილია კომპიუტერული პროგრამების ასათვისებლად მაქსიმუმ 15 პროფესიულ სტუდენტზე. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, B გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/ კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. გარემო უზრუნველყოფილია კომპიუტერებით პროფესიული სტუდენტებისათვის და მასწავლებლისათვის.

C გარემოს წარმოადგენს კოლეჯის ქვედა სართულზე არსებული თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი პროფესიის სასწავლო სახელოსნო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. სახელოსნოში შესაძლებელია მოხვედრა როგორც კიბის უჯრედით ასევე შშმ პირებისათვის ადაპტირებული ლიფტის საშუალებით. სახელოსნო ამ პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის არის გამოყოფილი და აღჭურვილია 15 პროფესიულ სტუდენტზე შემდეგი ინვენტარით: 1 ერთეული მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის (საკუთრება); 1 ერთეული დაფა (საკუთრება); 1 ერთი ცალი ეკრანი (საკუთრება); 1 ერთეული კომპიუტერი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების მასწავლებლისთვის (საკუთრება); სასწავლო თვალსაჩინოებებით, სიმულაციური ქეისები (აწყობილი მცირე ზომის მუყაო-თაბაშირის პროფილი შუაში დატანილი თბო და ბგერა იზოლაციით მინერალური ბამბის მასალით); კედელზე მოწყობილი სტელაჟებით, სადაც განთავსებულია ყველა ის საჭირო ხელსაწყო და იარაღი, რაც ესაჭიროება ამ პროგრამის ფარგლებში ორ ცვლაში პრაქტიკული პროცესის განსახორციელებლად 15/15 სტუდენტს. ცალკე გამოყოფილ სტელაჟებზე განთავსებულია სახარჯი მასალა. კედელზე გამოკრულია უსაფრთხოების წესები, საევაკუაციო გეგმა და ცეცხლმაქრი ოპერირებულ მდგომარეობაში.

ექსპერტთა შეფასებით სწავლის შედეგების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ მოიცავს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას. ექსპერტებმა შეისწავლეს იმ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, რომლებიც პარალელურად სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ახორციელებენ იმავე მოდულებს და დაადგინეს, რომ განმახორციელებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე “თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილში, რაც დასტურდება მათ პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მუდმივად ატარებს შიდა ტრენინგებს სწავლებისა და შეფასების საკითებზე, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. ამგვარად, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე “თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს და გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს პროფესიული მოდულების განმახორციელებელს. აღნიშნული პირი არის დარგის შესაბამისი კომპეტენციის მქონე, აქვს სფეროში მუშაობის გამოცდილება.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში “თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის ელექტრონული სახით ან/და ბიბლიოთეკაში მატერიალური ფორმით. ექსპერტების მიერ შემოწმდა და დადასტურდა ბიბლიოთეკაში რესურსების არსებობა.

*დაწესებულებას ექსპერტთა მიერ მიეცა რეკომენდაცია საგანმანათლებლო რესურსში გაითვალისწინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით განახლებული დარგობრივი სახელმძღვანელოები (მაგ. „შრომის უსაფრთხოება სამშენებლო სეგმენტში“).*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 25-ე მუხლით განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის/გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციებით უზრუნველყოფილია სსსმ პირების პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. პროგრამის ბიუჯეტის და კოლეჯის ფინანსური დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“ განხორციელების უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2022 წლის14 მარტის N 02-01-72 ბრძანებით);
2. მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
3. მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესი (დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2022 წლის14 მარტის N 02-01-70 ბრძანებით) და ბიბლიოთეკის ლინკები კოლეჯის ვებ- გვერდი collegeaisi. Ge;
5. პროგრამის ბიუჯეტი;
6. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია (დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-68 ბრძანებით);
7. ინტერვიუ.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

5. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
6. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1-2. სსიპ კოლეჯის „აისი“ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-2 თავი აღწერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, ცვლილებისა და გაუქმების პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის შემუშავების მიზნით, დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახორციელებს პროგრამების შემუშავებას/ოპტიმიზირებას. სამუშაო ჯგუფის მიერ განსახორციელებელი აქტივობები დეტალურად არის გაწერილი მე-2 მუხლის მე-19 პუნქტში.

პროგრამის შემუშავების/ოპტიმიზირების შემდეგ, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის წარდგინებით, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დამტკიცების შესახებ. ზემოაღნიშნული წესის მე-6 მუხლი არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის/გაუქმების საფუძველსა და პროცედურებს, რომლის მიხედვითაც „პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს: ა) პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით; ბ) უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში; გ) სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; დ) პარტნიორი კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს; ე)ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე.“ პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია დირექტორის მოადგილეს სასწავლო-საწარმოო დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, ან სხვა დაინტერესებულ ნებისმიერ პირს. ამავე მუხლით, ასევე დარეგულირებულია პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის საკითხები.

ექსპერტებმა, ვიზიტის პერიოდში, შეამოწმეს კოლეჯის მიერ განხორციელებადი ის პროგრამები, რომელიც კოლეჯის მარეგულირებელი წესის მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ექვემდებარებოდა სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილია სათანადო ცვლილებები „სამოქალაქო განათლების“ მოდულის ახალი რედაქციის მიხედვით.

მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლი აღწერს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების შეფასების პროცესს და ეტაპებს, რაც მოიცავს მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფას, რეკომენდაციების შემუშავებას, ცვლილებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც აგებულია დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე ციკლის მიხედვით და გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროების და კმაყოფილების კვლევას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევას. ასევე, აღნიშნული წესი ითვალისწინებს არსებული გამოკითხვების/კვლევების და საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებას/მოდიფიცირებას დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს წარუდგინეს 2020 და 2021 წლებში ჩატარებული პროფესიული სტუდენტების საჭიროების და კმაყოფილების, ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევები, სადაც აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია, გაანალიზებულია შედეგები, და გაცემულია რეკომენდაციები. აღნიშნული კვლევის შედეგად პროგრამის გაუმჯობესების საჭიროება არ გამოკვეთილა, თუმცა დაფიქსირდა პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ინტერესები არაფორმალური აქტივობების და მასტერკლასების ინტენსიურად ჩატარების მიმართ (აღწერილია შესაბამის 3.2.1-5 ინდიკატორში).

ჩამოთვლილი რეგულაციების მიხედვით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. ასევე, რეგულაციით გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების გაანალიზება და ცვლილებების შეტანის პირობები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (ცვლილება - 29.04.2022 N02-01-149) დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. 2022 წლის 14 მარტის N02-01-76 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
3. პროფესიული სტუდენტების საჭიროების და კმაყოფილების კვლევის ანგარიშები (2020 წელი, 2021 წელი);
4. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშები (2020 წელი, 2021 წელი);
5. ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

7. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
8. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
9. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
10. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
11. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
12. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მოთხოვნისამებრ ექსპერტებს წარედგინათ მოქმედი ჯგუფების მეცადინეობების განრიგი, მიმდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მშენებლობის წარმოება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, რომელიც შესაბამისობაშია დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმასთან.

სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი შეფასებისთვის საჭირო დროის შუალედი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის მიერ შემუშავებულ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესში“ დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები, კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო გეგმები, პროგრამის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, გონივრული ხანგრძლივობითაა შედგენილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცხრილის შეცვლა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება.

პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებისა და შემხვედრ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების მიმართულებით, COVID-19 დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში, კოლეჯმა მოახდინა სწავლების როგორც დისტანციური, ასევე ჰიბრიდული ფორმის შემუშავება. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებამ ხელი შეუწყო პანდემიურ პერიოდში მათი სასწავლო პროცესში ჩართულობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერებით და განმახორციელებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე "თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია/გამოყენებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები. სასწავლო გარემო აღჭურვილია თანამედროვე იარაღებით და ტექნოლოგიით, რომელსაც პროფესიული სტუდენტი იყენებს პრაქტიკული სწავლებისას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-18 მუხლი განსაზღვრავს" ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების წესს", რომლის 18.3 პუნქტი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შემდეგ შემთხვევებს: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის (სსსმ პირებისთვის), ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ), გ) სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ), დ) მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება არ დამდგარა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პროგრამა არ მოიცავს პრაქტიკულ პროექტს. სწავლება ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შრომის დაცვისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების წესები, რომელიც გამოკრულია C გარემოში. გარემო აღჭურვილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო წესები. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მეცადინეობის დაწყებამდე, პროფესიულ სტუდენტებს უტარდება ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების საკითხებზე. დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური წესები. კოლეჯს ყავს უსაფრთხოებაზე იდენტიფიცირებული პასუხისმგებელი პირი-სპეციალისტი, რომელიც პერიოდულად პროფესიულ სტუდენტებს და პერსონალს უტარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების შესახებ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. 2018 წლის 12 ივნისი 02-01-170 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი" (დაწესებულების უფლებამოსილი პირის - კოლეჯი „აისი"-ს დირექტორის მიერ შევიდა ცვლილებები შემდეგი ბრძანებებით: 2018 წლის 8 ნოემბრის N02-01-348 ; 2019წლის 28 თებერვლის N 02-01-39 ; 2021 წლის 21 დეკემბრის N 02- 01-387 ; 2022 წლის 17 მარტის N 02-01-95 ბრძანებებით).
2. სასწავლო გეგმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კალენდარული გეგმები;
4. პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა (დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2021 წლის 24 მარტის N02-01-76);
5. მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
6. მოდულის განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
7. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2022 წლის14 მარტის ბრძანება N 02-01-72 ბრძანებით);
8. უსაფრთხოების საშუალებათა/პირადი დაცვის საშუალებათა უზრუნველყოფის (შესყიდვის) დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
9. ვიზუალური დათვალიერება;
10. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

9. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
10. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
11. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
12. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (უკანასკნელი ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით), რომლის მე-7 თავი არეგულირებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების/აპელაციის წესს, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა (31.12.2020 წლის N02-01-401 ბრძანებით), რომელიც მოიცავს აუცილებელ ველებს, თუმცა *ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, შეფასების ინსტრუმენტში პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს გასაჩივრების შესაძლებლობასთან დაკავშირებით ჩანაწერის დამატების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 23-ე მუხლში.* დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, პროფესიული სტუდენტების მიერ, შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევა არ ფიქსირდება. *ვინაიდან ბუნდოვანია კოლეჯის განმარტება, სწავლების ეფექტური სისტემის გამო განმეორებითი შეფასების საჭიროების არ არსებობის შესახებ, კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია გადახედოს შეფასების სისტემას/ვერიფიკაციის მექანიზმებს, შეფასების ინსტრუმენტის პროგრამის/მოდულების მოთხოვნებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელია მოდულის განმახორციელებელი პირი, რომელიც ახლად შექმნილ ან შეცვლილ ინსტრუმენტს, ვალიდაციის მიზნით, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულზე სწავლის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური შემოწმება ხდება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, ხოლო შინაარსობრივი - დარგის სპეციალისტის მიერ. *დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, შემუშავებულ რეგულაციებში ასახოს ვალიდაციის პროცესის განხორციელებაში დარგის წარმომადგენლის ჩართულობა.*

პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესი მიმდინარეობს თანაბარ პირობებში და შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას იღებენ ინდივიდუალურად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, რომლის წარმართვაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები საჭიროების შესაბამისად.

დაწესებულებაში ვერიფიკაციის პროცესი პირველად განხორციელდა 2020 წელს ,,ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, 2020 წლის 20 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიის მიხედვით. ხოლო 2020 წლის 6 ივლისის N02-01-140 ბრძანებით აღნიშნულ მეთოდოლოგიაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით ვერიფიკაცია განხორციელდა 2021 წელს, 6 სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ზემოაღნიშნულ წლებში განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგებით იკვეთება, შეფასების ინსტრუმენტების ნაკლოვანებები, მათ შორის ტექნიკური უზუსტობები და შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დაბალი სანდოობა. ზემოაღნიშნული გამოწვევების დაძლევის მიზნით, დაწესებულებამ შეიმუშავა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი - დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (უკანაკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით), რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის კითხვარის ფორმას, ვერიფიკატორის მიერ შეფასების პროცესზე დასწრების კითხვარს და შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციის კითხვარს.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 17 მარტის N02-01-103 ბრძანებით (ცვლილება შესულია 2022 წლის 10 მაისის N02-01-153 ბრძანებით) შექმნილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელადაც პროცესის გამჭვირვალობის მიზნებისთვის, მოწვეულია ექსპერტი, ამავე ბრძანებით დამტკიცებულია ვერიფიკაციის გეგმა და მასთან დაკავშირებული ფორმები. წარმოდგენილი გეგმა მოიცავს, შესაბამისი აქტივობების (სამიზნე ნიშნულების შერჩევა, შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და წლის მტკიცებულებების ვერიფიკაცია, შედეგების ანალიზი და შემდგომი სამოქმედო გეგმის შემუშავება, ასევე გათვალისწინებულია ვერიფიკაციის შედეგების გაზიარება) განხორციელებას მიმდინარე წლის დეკემბრის თვის ჩათვლით. ვიზიტის მომენტისთვის ჩატარებული იყო ვერიფიკაციის ჯგუფის შეხვედრა (პირველი ეტაპის შემაჯამებელი შეხვედრის ოქმი N1 06.05.22წ.), სადაც განისაზღვრა, ვერიფიკაციის განხორციელების რისკ-ფაქტორების სქემა: შემოწმებას ექვემდებარება 1) დამწყები მასწავლებლების მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების 50%; 2) მოდულის ფარგლებში პირველადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებისას ყველა პროფესიული სტუდენტის მიერ სრულად დადებითი შეფასების მიღების შემთხვევის მტკიცებულებების 25%; 3) ახლად ავტორიზებული პროგრამებზე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების 100% და მტკიცებულებების 50%; 4) დანარჩენ პროგრამებზე შეფასების ინსტრუმენტებისა და ინსტრუმენტების 20-25 % შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 24-ე მუხლით განსაზღვრულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვისა და განკარგვის წესი, რომლის თანახმადაც, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა ინახება კოლეჯში სასწავლო პროცესის მენეჯერთან/ებთან, მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით, ხოლო საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების შემდგომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და ოქმები ინახება უვადოდ დირექტორის მოადგილესთან სასწავლო საწარმოო დარგში. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების შეგროვება და დაცვა. დაწესებულების მიერ დანომრილი უწყისები და მტკიცებულებები აღირიცხება ელექტრონულად. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეამოწმეს შესაბამისი პროგრამების სხვადასხვა მოდულების შეფასების უწყისები. აღსანიშნავია, რომ განმეორებითი შეფასების ამსახველი უწყისები არ ფიქსირდება. *შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, არსებობის შემთხვევაში, განმეორებითი შეფასების შედეგები ასახულ იქნას განცალკევებით, ან შესაბამისი ველი დატანილ იქნას შეფასების უწყისის ფორმაში, განმეორებითი შეფასების თარიღის მითითებით.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია, პროფესიული სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების შეტყობინების ვალდებულება. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასების შედეგების გაცნობისას ინდივიდუალურად უწევენ კონსულტაციას დაშვებული შეცდომებისა და გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. 2022 წლის 14 მარტის N02-01-76 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
3. 2020 წლის 20 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია;
4. 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია (უკანაკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით);
5. 2022 წლის 17 მარტის N02-01-103 ბრძანება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ (უკანასკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 10 მაისის N02-01-153 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. ოქმი N1 06.05.2022;
7. დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა;
8. შეფასების ინსტრუმენტები;
9. შეფასების უწყისები;
10. შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები;
11. ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XVI. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | იატაკისა და ფილის სამუშაოები/ Floor and Tile Works |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0732 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 83 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 98 |

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XVII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | | | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | | | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | | | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | სრული 3 | | | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## სტანდარტის შეფასება

## პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კვლევა ჩატარებულია კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. მუნიციპალიტეტების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმის საფუძველზე დაწესებულებამ დაადგინა, რომ კახეთის რეგიონში ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარება, რაც ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოების განხორციელების საფუძველია. შესაბამისად, იატაკისა და ფილის სამუშაოების განმახორციელებელ კვალიფიციურ პირებზე მოთხოვნა მაღალია. კვლევა განხორციელდა ასევე პროფესიული განათლებით დაინტერესებული საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდები დაინტერესებულნი არიან აღნიშნული პროფესიის შესწავლით. სამშენებლო სექტორის სწრაფი ზრდა ხელფასების სწრაფ ზრდას იწვევს, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახალგაზრდებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივაციის წყაროა. აღნიშული დასაბუთება შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ასევე მაღალია აღნიშნული პროფესიით თვითდასაქმების მაჩვენებელი.

*<u>დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში, მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების საჭიროება, და აისახოს ჩატარებული კვლევის შესახებ ინფორმაცია - დატანილი იქნას კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, განხორციელების პერიოდი, გამოყენებული მეთოდები/ინსტრუმენტი, კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა და ჩატარებული კვლევების კონკრეტული შედეგები - სტატისტიკური მონაცემები/ინფორმაცია.</u>*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება, დაშვების პროცედურა კი გულისხმობს მოტივაციურ გასაუბრებას და უზრუნველყოფს ისეთ პირთა მიღებას, რომელთა ცოდნა და უნარები იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას, პროგრამის განხორციელების ვადაში. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება სსიპ კოლეჯის ,,აისის“ დირექტორის 2021 წლის 9 ივლისის N02-01-187 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების" შესახებ (ცვლილებები: 2021 წლის 24 აგვისტოს N02-01-237 ბრძანება, 2022 წლის 14 მარტის N02-01-77 ბრძანება).

2021 წლის მიღება განხორციელებულია შიდა ტესტირების - მოტივაციური გასაუბრების გზით, სადაც დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია გაესაუბრა და წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით შეაფასა აპლიკანტები სპეციალურ პროგრამაში. რეიტინგული სია დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის მიერ 2022 წლის 14 მარტის N 02-01-68 ბრძანებით დამტკიცებულია „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით გამოანგარიშებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ზღვრული რაოდენობა და შეადგენს 30 პროფესიული სტუდენტს, ორ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფში მაქსიმუმ 15 პირის შემადგენლობით.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამით დადგენილი მოთხოვნებს და პროფესიულ სტუდენტთა და განმახორციელებელ პირთა თანაფარდობას. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ხელმძღვანელობს სასწავლო გარემოს ფართობზე სტუდენტთა ადგილების რაოდენობის მიხედვით, ცვლებში სწავლის შესაძლებლობის პირობებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ განსაზღვრული მატერიალური რესურსი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა კი შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივნისი 02-01-170 ბრძანებით (ცვლილება 2018 წლის 8 ნოემბრის N02-01-348 ბრძანებით. ცვლილება სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 28 თებერვლის N 02-01-39 ბრძანებით ცვლილება სსიპ კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 21 დეკემბრის N02-01-395 ბრძანებით. ცვლილება სსიპ კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 17 მარტის N02-01-86 ბრძანებით). დირექტორის უფლებამოსილება დასტურდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №118/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „აისის“ წესდების მე-5-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა და სსიპ კოლეჯი აისის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” II თავის მე-2 მუხლის 2.9 პუნქტის თანახმად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. პროგრამის სახელწოდება „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტანდარტი - მშენებლობის წარმოება/Construction Manufacturing სარეგისტრაციო ნომრით - 07320-პ. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (83 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 98 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის), პროგრამის ხანგრძლივობაა 15 სასწავლო თვე (50 სასწავლო კვირა). დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (7 ზოგადი მოდული, ჯამური 19 კრედიტის მოცულობით, 3 საერთო პროფესიული მოდული ჯამური 5 კრედიტი მოცულობის და 9 პროფესიული მოდული, ჯამური

59 კრედიტის მოცულობით). სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულებით განსაზღვრულ წინაპირობებს, დაცულია პროგრამის ლოგიკური განვითარება, დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის და პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

*აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-5 პუნქტში „სტრუქტურა და მოდულები“, ქართული ენის მოდულთან დაკავშირებულ ჩანაწერში მითითებულია ძალადაკარგული დოკუმენტი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება N 152/ნ) რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩანაწერები არსებულ კანონმდებლობასთან თანხვედრაში მოიყვანოს.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026) (ბრძანება N02-01-101 - 25.05.2022, უკანასკნელი ცვლილება - N02-01-56 - 25.02.2022);
2. 2021 წლის 9 ივლისის N 02-01-187 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები" (ცვლილებები: 2021 წლის 24 აგვისტოს N02-01-237 ბრძანება, 2022 წლის 14 მარტის N02-01-77 ბრძანება);
3. 2022 წლის 14 მარტის N 02-01-68 ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
4. 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (ცვლილება - 29.04.2022 N02-01-149);
5. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება;
6. პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
7. პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“;
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ დამტკიცების აქტი;
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
11. კოლეჯის წესდება;
12. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

7. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
8. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
9. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
10. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
11. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
12. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამის განხორციელების ადგილად განსაზღვრულია - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომა. პროგრამის განსახორციელებლად საგანმანათლებლო დაწესებულებამ გამოყო A, B და C სასწავლო გარემო. თითოეული სასწავლო გარემო გაკუთვნილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის, ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში 30 პროფესიული სტუდენტისთვის. სასწავლო გარემოში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა შემდეგი პირობები:

- A გარემო: - გარემოში განთავსებულია 15 მაგიდა და 15 სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსის შესყიდვების დოკუმენტაცია და მიღება-ჩაბარების აქტები. გარემო გამტარუნარია ორ ცვლაში 2 ჯგუფისთვის (30 პროფესიული სტუდენტი). პროგრამაზე მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა 30 პროფესიული სტუდენტი.

- B გარემო: - გარემოში განთავსებულია 15 მაგიდა და 15 სკამი, საჭირო რაოდენობის კომპიუტერები პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსის შესყიდვების დოკუმენტაცია და მიღება-ჩაბარების აქტები. გარემო გამტარუნარია ორ ცვლაში 2 ჯგუფისთვის (30 პროფესიული სტუდენტი). პროგრამაზე მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა 30 პროფესიული სტუდენტი.

- C გარემო: - სახელოსნო აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალში ფიგურირებს ისეთი დანადგარები, რომელსაც არ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის სარეკომენდაციო აღჭურვილობის ჩამონათვალი და დარგის ექსპერტის შეფასებით

აღნიშნული აღჭურვილობა არ არის საჭირო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. კოლეჯის წარმომადგენლების განმარტებით, დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა პროგრამის აღჭურვილობის დანართში და ზემოაღნიშნული დანადგარები არ შეუსყიდიათ. *ექსპერტების მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია - პროგრამის მატერიალური რესურსის დანართის დოკუმენტი მოიცავდეს მხოლოდ იმ აღჭურვილობას, რომელიც დაწესებულებას გააჩნია.*

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ მოიცავს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას. ექსპერტებმა შეისწავლეს იმ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა, რომლების პარალელურად სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ახორციელებენ იმავე მოდულებს და დაადგინეს, რომ განმახორციელებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილში, რაც დასტურდება მათ პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მუდმივად ატარებს შიდა ტრენინგებს სწავლებისა და შეფასების საკითხზე, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. ამგვარად, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელს, რომელმაც აღწერა პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მიდგომები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს და გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს პროფესიული მოდულების განმახორციელებელს. აღნიშნული პირი არის დარგის შესაბამისი კომპეტენციის მქონე, აქვს სფეროში მუშაობის გამოცდილება.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის ელექტრონული სახით ან/და ბიბლიოთეკაში მატერიალური ფორმით. ექსპერტების მიერ შემოწმდა და დადასტურდა ბიბლიოთეკაში რესურსების არსებობა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 25-ე მუხლით განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის/გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციებით უზრუნველყოფილია სსსმ პირების პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 51 900 ლარი და ხარჯების ნაწილში - 51 900 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: ხელფასს (ვაუჩერული დაფინანსება) – 26 430 ლარი; ნედლეულისა და მასალის ხარჯებს (ვაუჩერული დაფინანსება) – 18 570 ლარი; ხელფასი (პროგრამული დაფინანსება) – 3 750 ლარი და სხვა ხარჯებს (პროგრამული დაფინანსება). რენტაბელობის ზღვარი არის 5 სტუდენტი.

კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ, ვაუჩერულად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაციით (მიღება-ჩაბარების აქტები, შესყიდვების დოკუმენტაცია);
2. ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსით;
3. პროგრამის განმახორციელებელი პირის პირადი საქმით;
4. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
5. პროგრამის ბიუჯეტით;
6. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
7. ინტევიუირებით;
8. კოლეჯის ვებგვერდითhttps://www.collegeaisi.ge/ .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების  შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

7. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
8. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1-2. სსიპ კოლეჯის „აისი“ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-2 თავი აღწერს  პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, ცვლილებისა და გაუქმების პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის შემუშავების მიზნით, დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახორციელებს პროგრამების შემუშავებას/ოპტიმიზირებას. სამუშაო ჯგუფის მიერ განსახორციელებელი აქტივობები დეტალურად არის გაწერილი მე-2 მუხლის მე-19 პუნქტში.

პროგრამის შემუშავების/ოპტიმიზირების შემდეგ, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის წარდგინებით, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დამტკიცების შესახებ. ზემოაღნიშნული წესის მე-6 მუხლი არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის/გაუქმების საფუძველსა და პროცედურებს, რომლის მიხედვითაც „პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს: ა) პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით; ბ) უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში; გ) სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; დ) პარტნიორი კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს; ე)ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე.“ პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია დირექტორის მოადგილეს სასწავლო-საწარმოო დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, ან სხვა დაინტერესებულ ნებისმიერ პირს. ამავე მუხლით, ასევე დარეგულირებულია პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტებმა, ვიზიტის პერიოდში, შეამოწმეს კოლეჯის მიერ განხორციელებადი ის პროგრამები, რომელიც კოლეჯის მარეგულირებელი წესის მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ექვემდებარებოდა სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილია სათანადო ცვლილებები „სამოქალაქო განათლების“ მოდულის ახალი რედაქციის მიხედვით.

მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლი აღწერს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების შეფასების პროცესს და ეტაპებს, რაც მოიცავს მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფას, რეკომენდაციების შემუშავებას, ცვლილებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც აგებულია დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე ციკლის მიხედვით და გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროების და კმაყოფილების კვლევას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევას. ასევე, აღნიშნული წესი ითვალისწინებს არსებული გამოკითხვების/კვლევების და საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებას/მოდიფიცირებას დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს წარუდგინეს 2020 და 2021 წლებში ჩატარებული პროფესიული სტუდენტების საჭიროების და კმაყოფილების, ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევები, სადაც აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია, გაანალიზებულია შედეგები, და გაცემულია რეკომენდაციები. აღნიშნული კვლევის შედეგად პროგრამის გაუმჯობესების საჭიროება არ გამოკვეთილა, თუმცა დაფიქსირდა პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ინტერესები არაფორმალური აქტივობების და მასტერკლასების ინტენსიურად ჩატარების მიმართ (აღწერილია შესაბამის 3.2.1-5 ინდიკატორში).

ჩამოთვლილი რეგულაციების მიხედვით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. ასევე, რეგულაციით გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების გაანალიზება და ცვლილებების შეტანის პირობები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (ცვლილება - 29.04.2022 N02-01-149) დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. 2022 წლის 14 მარტის N02-01-76 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
3. პროფესიული სტუდენტების საჭიროების და კმაყოფილების კვლევის ანგარიშები (2020 წელი, 2021 წელი);
4. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშები (2020 წელი, 2021 წელი);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5. ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მოთხოვნისამებრ ექსპერტებს წარედგინათ მოქმედი ჯგუფების მეცადინეობების განრიგი, მიმდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „იატაკისა და ფილის სამუშაოები“, რომელიც შესაბამისობაშია დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმასთან.

სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი შეფასებისთვის საჭირო დროის შუალედი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის მიერ შემუშავებულ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესში“ დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები, კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო გეგმები, პროგრამის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით,

გონივრული ხანგრძლივობითაა შედგენილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცხრილის შეცვლა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება.

პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებისა და შემხვედრ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების მიმართულებით, COVID-19 დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში, კოლეჯმა მოახდინა სწავლების როგორც დისტანციური, ასევე ჰიბრიდული ფორმის შემუშავება. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებამ ხელი შეუწყო პანდემიურ პერიოდში მათი სასწავლო პროცესში ჩართულობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე ხელსაწყოების საშუალებით. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - ლექცია და დემონსტრირება, საკლასო დისკუსია, მეთოდი ორიენტირებული სასწავლო ოთახზე/სახელოსნოზე. პროგრამისთვის დაწესებულებას შესყიდული აქვს თანამედროვე დანადგარები და აპარატურა, რაც ადასტურებს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებას. ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-18 მუხლი განსაზღვრავს" ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების წესს", რომლის 18.3 პუნქტი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შემდეგ შემთხვევებს: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის (სსსმ პირებისთვის), ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ), გ) სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ), დ) მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება არ დამდგარა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პროგრამა არ მოიცავს პრაქტიკულ პროექტს. სწავლება ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, შრომის დაცვისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების წესები, რომელიც გამოკრულია C გარემოში. გარემო აღჭურვილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო წესები. ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მეცადინეობის დაწყებამდე, პროფესიულ სტუდენტებს უტარდება ინსტრუქტაჟი

უსაფრთხოების საკითხებზე. დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური წესები. კოლეჯს ყავს უსაფრთხოებაზე იდენტიფიცირებული პასუხისმგებელი პირი-სპეციალისტი, რომელიც პერიოდულად პროფესიულ სტუდენტებს და პერსონალს უტარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების შესახებ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ ;
2. 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (ცვლილება - 29.04.2022 N02-01-149);
3. 2022 წლის 14 მარტის N02-01-75 ბრძანებით დამტკიცებული :პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა განაწესი";
4. პროგრამის ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმები;
5. პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა;
6. ვიზუალური დათვალიერება;
7. ინტერვიუს შედეგები.

### **2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

13. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
14. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
15. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
16. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

### კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (უკანასკნელი ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით), რომლის მე-7 თავი არეგულირებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების/აპელაციის წესს, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა (31.12.2020 წლის N02-01-401 ბრძანებით), რომელიც მოიცავს აუცილებელ ველებს, თუმცა *ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, შეფასების ინსტრუმენტში პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს გასაჩივრების შესაძლებლობასთან დაკავშირებით ჩანაწერის დამატების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 23-ე მუხლში.* დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტების მიერ, შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევა არ ფიქსირდება. *ვინაიდან ბუნდოვანია კოლეჯის განმარტება, სწავლების ეფექტური სისტემის გამო განმეორებითი შეფასების საჭიროების არ არსებობის შესახებ, კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია გადახედოს შეფასების სისტემას/ვერიფიკაციის მექანიზმებს, შეფასების ინსტრუმენტის პროგრამის/მოდულების მოთხოვნებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.*

შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელია მოდულის განმახორციელებელი პირი, რომელიც ახლად შექმნილ ან შეცვლილ ინსტრუმენტს, ვალიდაციის მიზნით, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულზე სწავლის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური შემოწმება ხდება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, ხოლო შინაარსობრივი - დარგის სპეციალისტის მიერ. *დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, შემუშავებულ რეგულაციებში ასახოს ვალიდაციის პროცესის განხორციელებაში დარგის წარმომადგენლის ჩართულობა.*

პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესი მიმდინარეობს თანაბარ პირობებში და შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას იღებენ ინდივიდუალურად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, რომლის წარმართვაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები საჭიროების შესაბამისად.

დაწესებულებაში ვერიფიკაციის პროცესი პირველად განხორციელდა 2020 წელს ,,ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, 2020 წლის 20 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიის მიხედვით. ხოლო 2020 წლის 6 ივლისის N02-01-140 ბრძანებით აღნიშნულ მეთოდოლოგიაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით ვერიფიკაცია განხორციელდა 2021 წელს, 6 სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ზემოაღნიშნულ წლებში განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგებით იკვეთება, შეფასების ინსტრუმენტების ნაკლოვანებები, მათ შორის ტექნიკური უზუსტობები და შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დაბალი სანდოობა. ზემოაღნიშნული გამოწვევების დაძლევის მიზნით, დაწესებულებამ შეიმუშავა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი - დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (უკანაკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით), რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის კითხვარის ფორმას, ვერიფიკატორის მიერ შეფასების პროცესზე დასწრების კითხვარს და შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციის კითხვარს.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 17 მარტის N02-01-103 ბრძანებით (ცვლილება შესულია 2022 წლის 10 მაისის N02-01-153 ბრძანებით) შექმნილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელადაც პროცესის გამჭვირვალობის მიზნებისთვის, მოწვეულია ექსპერტი, ამავე ბრძანებით დამტკიცებულია ვერიფიკაციის გეგმა და მასთან დაკავშირებული ფორმები. წარმოდგენილი გეგმა მოიცავს, შესაბამისი აქტივობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(სამიზნე ნიშნულების შერჩევა, შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და წლის მტკიცებულებების ვერიფიკაცია, შედეგების ანალიზი და შემდგომი სამოქმედო გეგმის შემუშავება, ასევე გათვალისწინებულია ვერიფიკაციის შედეგების გაზიარება) განხორციელებას მიმდინარე წლის დეკემბრის თვის ჩათვლით. ვიზიტის მომენტისთვის ჩატარებული იყო ვერიფიკაციის ჯგუფის შეხვედრა (პირველი ეტაპის შემაჯამებელი შეხვედრის ოქმი N1 06.05.22წ.), სადაც განისაზღვრა, ვერიფიკაციის განხორციელების რისკ-ფაქტორების სქემა: შემოწმებას ექვემდებარება 1) დამწყები მასწავლებლების მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების 50%; 2) მოდულის ფარგლებში პირველადი შეფასებისას ყველა პროფესიული სტუდენტის მიერ სრულად დადებითი შეფასების მიღების შემთხვევის მტკიცებულებების 25%; 3) ახლად ავტორიზებული პროგრამებზე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების 100% და მტკიცებულებების 50%; 4) დანარჩენ პროგრამებზე შეფასების ინსტრუმენტებისა და ინსტრუმენტების 20-25 % შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 24-ე მუხლით განსაზღვრულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვისა და განკარგვის წესი, რომლის თანახმადაც, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა ინახება კოლეჯში სასწავლო პროცესის მენეჯერთან/ებთან, მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით, ხოლო საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების შემდგომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და ოქმები ინახება უვადოდ დირექტორის მოადგილესთან სასწავლო საწარმოო დარგში. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების შეგროვება და დაცვა. დაწესებულების მიერ დანომრილი უწყისები და მტკიცებულებები აღირიცხება ელექტრონულად. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეამოწმეს შესაბამისი პროგრამების სხვადასხვა მოდულების შეფასების უწყისები. აღსანიშნავია, რომ განმეორებითი შეფასების ამსახველი უწყისები არ ფიქსირდება. *შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, არსებობის შემთხვევაში, განმეორებითი შეფასების შედეგები ასახულ იქნას განცალკევებით, ან შესაბამისი ველი დატანილ იქნას შეფასების უწყისის ფორმაში, განმეორებითი შეფასების თარიღის მითითებით.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია, პროფესიული სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების შეტყობინების ვალდებულება. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასების შედეგების გაცნობისას ინდივიდუალურად უწევენ კონსულტაციას დაშვებული შეცდომებისა და გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

## დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. 2022 წლის 14 მარტის N02-01-76 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
3. 2020 წლის 20 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია;
4. 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია (უკანაკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით);
5. 2022 წლის 17 მარტის N02-01-103 ბრძანება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ (უკანასკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 10 მაისის N02-01-153 ბრძანებით);
6. ოქმი N1 06.05.2022;
7. დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა;
8. შეფასების ინსტრუმენტები;
9. შეფასების უწყისები;
10. შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები;
11. ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XVIII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | მებაღეობა /Horticulture |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0812 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | 30 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 140 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 85 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 170 კრედიტი |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 კრედიტი |

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

## XIX. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | | | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | | | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | | | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | სრული 3 | | | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## სტანდარტის შეფასება

### პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კვლევა ჩატარებულია კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. დაწესებულებამ ჩაატარა კვლევა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან. რის შედეგადაც გამოვლინდა მებაღეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საჭიროება. ასევე, მიზანშეწონილობაში აღნიშნულია, რომ მებაღეობის პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგული შეადგენს 89,021 ათას ჰექტარს. მუნიციპალიტეტის სტრატეგიაში ეკონომიკური განვითარებისთვის პრიორიტეტულია მებაღეობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, ამ სფეროში ლაგოდეხს უდიდესი პოტენციალი აქვს. აღნიშული დასაბუთება შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან.

ინტეგრირების ნაწილთან დაკავშირებით, მიზანშეწონილობის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირებას და შესაბამისად ამ მიმართულებით საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრას. გარდა ამისა გამოიკვეთნენ დამსაქმებლებიც, რომლებიც აქტიურად ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში. პრაქტიკულ კომპონენტს გაატარებენ თავიანთ რეალურ სამუშაო გარემოში და სწავლის დასრულების შემდგომ დაასაქმებენ კურსდამთავრებულებს.

*დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში, მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების საჭიროება, და აისახოს ჩატარებული კვლევის შესახებ ინფორმაცია - დატანილი იქნას კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, განხორციელების პერიოდი, გამოყენებული მეთოდები/ინსტრუმენტი, კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა და ჩატარებული კვლევების კონკრეტული შედეგები - სტატისტიკური მონაცემები/ინფორმაცია.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 2 მარტის N 02-01-49 ბრძანება, ცვლილება 2022 წლის 17 მარტის N 02-01-97 ბრძანება) დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „მებაღეობა“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და საბაზო ზოგადი განათლება - საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების შემთხვევაში. ამასთან, კოლეჯს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსიპ კოლეჯის ,,აისი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.

ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითიც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან ისეთი პირები, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის მიერ 2022 წლის 14 მარტის N 02-01-68 ბრძანებით დამტკიცებულია „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის მიხედვით გამოანგარიშებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მებაღეობა“ ზღვრული რაოდენობა და შეადგენს 30 პროფესიული სტუდენტს, ორ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფში მაქსიმუმ 15 პირის შემადგენლობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამით დადგენილი მოთხოვნებს და პროფესიულ სტუდენტთა და განმახორციელებელ პირთა თანაფარდობას. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ხელმძღვანელობს სასწავლო გარემოს ფართობზე სტუდენტთა ადგილების რაოდენობის მიხედვით, ცვლებში სწავლის შესაძლებლობის პირობებში.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მებაღეობა“ დაწესებულების ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა (მათ შორის ინტეგრირებული მოდულების ლიტერატურა) კი შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“ არ მოიცავს არჩევითი მოდულებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია 2021 წლის 2 მარტის, კოლეჯის დირექტორის N02-01-49 ბრძანებით (ცვლილება: ბრძანება N02-01-97,17.03.2022). დირექტორის უფლებამოსილება დასტურდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №118/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „აისის“ წესდების მე-5-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა და სსიპ კოლეჯი აისის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” II თავის მე-2 მუხლის 2.9 პუნქტის თანახმად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. პროგრამის სახელწოდება „მებაღეობა“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა, მათ შორის ისეთი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტანდარტი - მებაღეობა /Horticulture სარეგისტრაციო ნომრით - 08111-პ. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (85 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 115 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის. 140 კრედიტი ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, 170 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის), პროგრამის ხანგრძლივობაა 15,5 სასწავლო თვე, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში - 36 სასწავლო თვე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (4 ზოგადი მოდული, ჯამური 12 კრედიტის მოცულობით, 8 საერთო პროფესიული მოდული ჯამური 23 კრედიტის მოცულობით, 9 პროფესიული მოდული ჯამური 50 კრედიტის მოცულობით. ინტეგრირებული გეგმის შემთხვევაში - 7 ზოგადი მოდული ჯამური 67 კრედიტის რაოდენობით, 8 საერთო პროფესიული მოდული ჯამურად 23 კრედიტის რაოდენობით, 9 პროფესიული მოდული ჯამური 50 კრედიტის რაოდენობით). სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე, ინტეგრირებული სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულებით განსაზღვრულ წინაპირობებს, დაცულია პროგრამის ლოგიკური განვითარება, დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის და პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

*აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-5 პუნქტში „სტრუქტურა და მოდულები“, ქართული ენის მოდულთან დაკავშირებულ ჩანაწერში მითითებულია ძალადაკარგული დოკუმენტი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება N 152/ნ) რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩანაწერები არსებულ კანონმდებლობასთან თანხვედრაში მოიყვანოს.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯი „აისის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2027.
2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “მებაღეობა“
   სსიპ კოლეჯის ,,აისი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები, დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2021 წლის 9 ივლისის N 02-01-187 ბრძანებით (ცვლილებები: 2021 წლის 24 აგვისტოს N02-01-237 ბრძანება, 2022 წლის 14 მარტის N02-01-77 ბრძანება);
4. „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N02-01-68, 14.03.2022;
5. პროგრამის განხორციელებისათვის განსაზღვრული მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
   პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
   კოლეჯი აისის 2021 წლის ინვენტარიზაციის მასალები;
   სსიპ კოლეჯი აისის სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიში, 2021;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №118/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „აისის“ წესდება.
7. კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 14 აგვისტოს, N02-01-220 ბრძანება (ცვლილებები: ბრძანება N02-01-54, 2.03.2020; N02-01-78, 17.03.2022). დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“
9. ინტერვიუების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამის განხორციელების ადგილად განსაზღვრულია - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომა. პროგრამის განსახორციელებლად საგანმანათლებლო დაწესებულებამ გამოყო A, B და C სასწავლო გარემო. თითოეული სასწავლო გარემო განკუთვნილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის, ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში 30 პროფესიული სტუდენტისთვის. სასწავლო გარემოში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა შემდეგი პირობები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- A გარემო: - გარემოში განთავსებულია 15 მაგიდა და 15 სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი. ასევე, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსის შესყიდვების დოკუმენტაცია და მიღება-ჩაბარების აქტები. გარემო გამტარუნარია ორ ცვლაში 2 ჯგუფისთვის (30 პროფესიული სტუდენტი). პროგრამაზე მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა 30 პროფესიული სტუდენტი.

- B გარემო: - გარემოში განთავსებულია 15 მაგიდა და 15 სკამი, საჭირო რაოდენობის კომპიუტერები პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსის შესყიდვების დოკუმენტაცია და მიღება-ჩაბარების აქტები. გარემო გამტარუნარია ორ ცვლაში 2 ჯგუფისთვის (30 პროფესიული სტუდენტი). პროგრამაზე მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა 30 პროფესიული სტუდენტი.

- C გარემო ინტეგრირებული პროგრამისთვის: - გარემოში განთავსებულია 15 მაგიდა და 15 სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი. ასევე, ინტეგრირებული მოდულების სპეციფიკის შესაბამისი აღჭურვილობა.

- C გარემო: - პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას საკუთარ ბაზაზე აქვს მოწყობილი C გარემო. დაწესებულების ტერიტორიაზე მდებარეობს შემოღობილი მიწის ნაკვეთი, სათბური და მცირე სანერგე, სადაც სტუდენტები შეძლებენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“ მოიცავს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას. ექსპერტებმა შეისწავლეს იმ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა (მათ შორის ინტეგრირებული პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა), რომლების პარალელურად სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ახორციელებენ იმავე მოდულებს და დაადგინეს, რომ განმახორციელებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „მებაღეობა“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების პროფესიულ მასწავლებლებს, აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილში, რაც დასტურდება მათ პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მუდმივად ატარებს

შიდა ტრენინგებს სწავლებისა და შეფასების საკითებზე, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. ამგვარად, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელს, რომელმაც აღწერა პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მიდგომები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „მებაღეობა“ კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს და გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს პროფესიული მოდულების განმახორციელებელს. აღნიშნული პირი არის დარგის შესაბამისი კომპეტენციის მქონე, აქვს სფეროში მუშაობის გამოცდილება.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „მებაღეობა“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (მათ შორის ინტეგრირებული მოდულების საგანმანათლებლო რესურსი) ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის ელექტრონული სახით ან/და ბიბლიოთეკაში მატერიალური ფორმით. ექსპერტების მიერ შემოწმდა და დადასტურდა ბიბლიოთეკაში რესურსების არსებობა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 25-ე მუხლით განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის/გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციებით უზრუნველყოფილია სსსმ პირების პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 48 258 ლარი და ხარჯების ნაწილში - 48 258 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: ხელფასს (ვაუჩერული დაფინანსება) – 25 875 ლარი; ნედლეულისა და მასალის ხარჯებს (ვაუჩერული დაფინანსება) – 10 731 ლარი; ხელფასი (პროგრამული დაფინანსება) – 3 875 ლარი და სხვა ხარჯებს (პროგრამული დაფინანსება). რენტაბელობის ზღვარი არის 5 სტუდენტი.

ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში: შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 74 256 ლარი და ხარჯების ნაწილში - 74 256 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: ხელფასს (ვაუჩერული დაფინანსება) – 46 965 ლარი; ნედლეულისა და მასალის ხარჯებს (ვაუჩერული

დაფინანსება) – 15 253 ლარი; ხელფასი (პროგრამული დაფინანსება) – 9 000 ლარი და სხვა ხარჯებს (პროგრამული დაფინანსება). რენტაბელობის ზღვარი არის 5 სტუდენტი.

კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ, ვაუჩერულად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“
2. სსიპ კოლეჯის ,,აისი“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2021 წლის 12 თებერვლის N02-01-20 ბრძანება);
3. მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
4. სსიპ კოლეჯი აისის სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიში, 2021;
5. სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2021 წლის 31 დეკემბრის N02-01-411 ბრძანებით დამტკიცებული თანამშრომელთა სამუშაოთა აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
6. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
7. ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების კატალოგი და საბიბლიოთეკო ჟურნალი;
8. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (ცვლილება - 29.04.2022 N02-01-149) დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
9. პროგრამის ბიუჯეტი;
10. ინტერვიუ პროფესიული პროგრამის მასწავლებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1-2. სსიპ კოლეჯის „აისი" „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-2 თავი აღწერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, ცვლილებისა და გაუქმების პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის შემუშავების მიზნით, დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახორციელებს პროგრამების შემუშავებას/ოპტიმიზირებას. სამუშაო ჯგუფის მიერ განსახორციელებელი აქტივობები დეტალურად არის გაწერილი მე-2 მუხლის მე-19 პუნქტში.

პროგრამის შემუშავების/ოპტიმიზირების შემდეგ, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის წარდგინებით, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დამტკიცების შესახებ. ზემოაღნიშნული წესის მე-6 მუხლი არეგულირებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის/გაუქმების საფუძველსა და პროცედურებს, რომლის მიხედვითაც „პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს: ა) პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით; ბ) უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში; გ) სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; დ) პარტნიორი კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს; ე)ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე." პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია დირექტორის მოადგილეს სასწავლო-საწარმოო დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, ან სხვა დაინტერესებულ ნებისმიერ პირს. ამავე მუხლით, ასევე დარეგულირებულია პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის საკითხები.

ექსპერტებმა, ვიზიტის პერიოდში, შეამოწმეს კოლეჯის მიერ განხორციელებადი ის პროგრამები, რომელიც კოლეჯის მარეგულირებელი წესის მე-6 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, ექვემდებარებოდა სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილია სათანადო ცვლილებები „სამოქალაქო განათლების" მოდულის ახალი რედაქციის მიხედვით.

მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლი აღწერს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების შეფასების პროცესს და ეტაპებს, რაც მოიცავს მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფას, რეკომენდაციების შემუშავებას, ცვლილებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", რომელიც აგებულია დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე ციკლის მიხედვით და გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროების და კმაყოფილების კვლევას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვლევას. ასევე, აღნიშნული წესი ითვალისწინებს არსებული გამოკითხვების/კვლევების და საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებას/მოდიფიცირებას დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს წარუდგინეს 2020 და 2021 წლებში ჩატარებული პროფესიული სტუდენტების საჭიროების და კმაყოფილების, ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევები, სადაც აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია, გაანალიზებულია შედეგები, და გაცემულია რეკომენდაციები. აღნიშნული კვლევის შედეგად პროგრამის გაუმჯობესების საჭიროება არ გამოკვეთილა, თუმცა დაფიქსირდა პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ინტერესები არაფორმალური აქტივობების და მასტერკლასების ინტენსიურად ჩატარების მიმართ (აღწერილია შესაბამის 3.2.1-5 ინდიკატორში).

ჩამოთვლილი რეგულაციების მიხედვით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. ასევე, რეგულაციით გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების გაანალიზება და ცვლილებების შეტანის პირობები.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (ცვლილება - 29.04.2022 N02-01-149) დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. 2022 წლის 14 მარტის N02-01-76 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
3. პროფესიული სტუდენტების საჭიროების და კმაყოფილების კვლევის ანგარიშები (2020 წელი, 2021 წელი);
4. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშები (2020 წელი, 2021 წელი);
5. ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მოთხოვნისამებრ ექსპერტებს წარედგინათ მოქმედი ჯგუფების მეცადინეობების განრიგი, მიმდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მებაღეობა“, რომელიც შესაბამისობაშია დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმასთან.

სასწავლო გეგმა (მათ შორის, ინტეგრირებული სასწავლო გეგმა) შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი შეფასებისთვის საჭირო დროის შუალედი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის მიერ შემუშავებულ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესში“ დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები, კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო გეგმები, პროგრამის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, გონივრული ხანგრძლივობითაა შედგენილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცხრილის შეცვლა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება.

პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებისა და შემხვედრ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების მიმართულებით, COVID-19 დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში, კოლეჯმა მოახდინა სწავლების როგორც დისტანციური, ასევე ჰიბრიდული ფორმის შემუშავება. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებამ ხელი შეუწყო პანდემიურ პერიოდში მათი სასწავლო პროცესში ჩართულობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. „მებაღეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას; ამისათვის პროგრამით განსაზღვრულ მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, ასევე, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო. პროფესიული განათლების მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა აღნიშნული მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-18 მუხლი განსაზღვრავს" ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების წესს", რომლის 18.3 პუნქტი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შემდეგ შემთხვევებს: ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის (სსსმ პირებისთვის), ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ), გ) სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ), დ) მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება არ დამდგარა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. მებაღეობის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტი მოწყობილია დაწესებულების ტერიტორიაზე, შესაბამისად, დაწესებულება არ თანამშრომლობს პრაქტიკის ობიექტთან.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. კოლეჯის შენობა და მისი ინფრასტრუქტურა ქმნის უსაფრთხო სასწავლო გარემოს თეორიული მეცადინეობებისათვის. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების ნორმები მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა დანართებითურთ. დაწესებულებას ჰყავს, ასევე, პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები შემოწმდა ვიზიტის დროს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. სასწავლო გეგმები;
2. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (ცვლილება 29 აპრილი, 2022 ბრძანება N02.01.149) დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „აისი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
3. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-75 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა განაწესი"
4. სსიპ კოლეჯი აისის სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიში, 2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (ცვლილება 29 აპრილი, 2022 ბრძანება N02.01.149) დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „აისი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
6. პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა და მისი დანართები.
7. ინტერვიუების შედეგები.

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" (უკანასკნელი ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით), რომლის მე-7 თავი არეგულირებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების/აპელაციის წესს, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა (31.12.2020 წლის N02-01-401 ბრძანებით), რომელიც მოიცავს აუცილებელ ველებს, თუმცა *ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, შეფასების ინსტრუმენტში პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს გასაჩივრების შესაძლებლობასთან დაკავშირებით ჩანაწერის დამატების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 23-ე მუხლში.* დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, პროფესიული სტუდენტების მიერ, შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევა არ ფიქსირდება. *ვინაიდან ბუნდოვანია კოლეჯის განმარტება, სწავლების ეფექტური სისტემის გამო განმეორებითი შეფასების საჭიროების არ არსებობის შესახებ, კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია გადახედოს შეფასების სისტემას/ვერიფიკაციის მექანიზმებს, შეფასების ინსტრუმენტის პროგრამის/მოდულების მოთხოვნებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.*

შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელია მოდულის განმახორციელებელი პირი, რომელიც ახლად შექმნილ ან შეცვლილ ინსტრუმენტს, ვალიდაციის მიზნით, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულზე სწავლის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური შემოწმება ხდება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, ხოლო შინაარსობრივი - დარგის სპეციალისტის მიერ. *დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, შემუშავებულ რეგულაციებში ასახოს ვალიდაციის პროცესის განხორციელებაში დარგის წარმომადგენლის ჩართულობა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესი მიმდინარეობს თანაბარ პირობებში და შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას იღებენ ინდივიდუალურად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, რომლის წარმართვაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები საჭიროების შესაბამისად.

დაწესებულებაში ვერიფიკაციის პროცესი პირველად განხორციელდა 2020 წელს ,,ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, 2020 წლის 20 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიის მიხედვით. ხოლო 2020 წლის 6 ივლისის N02-01-140 ბრძანებით აღნიშნულ მეთოდოლოგიაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით ვერიფიკაცია განხორციელდა 2021 წელს, 6 სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ზემოაღნიშნულ წლებში განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგებით იკვეთება, შეფასების ინსტრუმენტების ნაკლოვანებები, მათ შორის ტექნიკური უზუსტობები და შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დაბალი სანდოობა. ზემოაღნიშნული გამოწვევების დაძლევის მიზნით, დაწესებულებამ შეიმუშავა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი - დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (უკანაკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით), რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის კითხვარის ფორმას, ვერიფიკატორის მიერ შეფასების პროცესზე დასწრების კითხვარს და შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციის კითხვარს.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 17 მარტის N02-01-103 ბრძანებით (ცვლილება შესულია 2022 წლის 10 მაისის N02-01-153 ბრძანებით) შექმნილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელადაც პროცესის გამჭვირვალობის მიზნებისთვის, მოწვეულია ექსპერტი, ამავე ბრძანებით დამტკიცებულია ვერიფიკაციის გეგმა და მასთან დაკავშირებული ფორმები. წარმოდგენილი გეგმა მოიცავს, შესაბამისი აქტივობების (სამიზნე ნიშნულების შერჩევა, შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და წლის მტკიცებულებების ვერიფიკაცია, შედეგების ანალიზი და შემდგომი სამოქმედო გეგმის შემუშავება, ასევე გათვალისწინებულია ვერიფიკაციის შედეგების გაზიარება) განხორციელებას მიმდინარე წლის დეკემბრის თვის ჩათვლით. ვიზიტის მომენტისთვის ჩატარებული იყო ვერიფიკაციის ჯგუფის შეხვედრა (პირველი ეტაპის შემაჯამებელი შეხვედრის ოქმი N1 06.05.22წ.), სადაც განისაზღვრა, ვერიფიკაციის განხორციელების რისკ-ფაქტორების სქემა: შემოწმებას ექვემდებარება 1) დამწყები მასწავლებლების მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების 50%; 2) მოდულის ფარგლებში პირველადი შეფასებისას ყველა პროფესიული სტუდენტის მიერ სრულად დადებითი შეფასების მიღების შემთხვევის მტკიცებულებების 25%; 3) ახლად ავტორიზებული პროგრამებზე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების 100% და მტკიცებულებების 50%; 4) დანარჩენ პროგრამებზე შეფასების ინსტრუმენტებისა და ინსტრუმენტების 20-25 % შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 24-ე მუხლით განსაზღვრულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვისა და განკარგვის წესი, რომლის თანახმადაც, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა ინახება კოლეჯში სასწავლო პროცესის მენეჯერთან/ებთან, მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით, ხოლო საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების შემდგომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და ოქმები ინახება უვადოდ დირექტორის მოადგილესთან სასწავლო საწარმოო დარგში. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების შეგროვება და დაცვა. დაწესებულების მიერ დანომრილი უწყისები და მტკიცებულებები აღირიცხება ელექტრონულად. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეამოწმეს შესაბამისი პროგრამების სხვადასხვა მოდულების შეფასების უწყისები. აღსანიშნავია, რომ განმეორებითი შეფასების ამსახველი უწყისები არ ფიქსირდება. *შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, არსებობის შემთხვევაში, განმეორებითი შეფასების შედეგები ასახულ იქნას განცალკევებით, ან შესაბამისი ველი დატანილ იქნას შეფასების უწყისის ფორმაში, განმეორებითი შეფასების თარიღის მითითებით.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია, პროფესიული სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების შეტყობინების ვალდებულება. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასების შედეგების გაცნობისას ინდივიდუალურად უწევენ კონსულტაციას დაშვებული შეცდომებისა და გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. 2022 წლის 14 მარტის N02-01-76 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
3. 2020 წლის 20 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია;
4. 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია (უკანაკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით);
5. 2022 წლის 17 მარტის N02-01-103 ბრძანება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ (უკანასკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 10 მაისის N02-01-153 ბრძანებით);
6. ოქმი N1 06.05.2022;
7. დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა;
8. შეფასების ინსტრუმენტები;
9. შეფასების უწყისები;
10. შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

11. ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სატყეო საქმე / Forestry |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0821 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომა |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | 30 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 101 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 48 კრედიტი |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 131 კრედიტი |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 78 კრედიტი |

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

## XXI. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | | | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | | | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | | | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | სრული 3 | | | |

## სტანდარტის შეფასება

### პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კვლევა ჩატარებულია კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. ასევე, მიზანშეწონილობაში აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სატყეო სექტორის მიმდინარე რეფორმის მოთხოვნების გათვალისწინებით და რეგიონის დონეზე პოტენციურ დამსაქმებლებთან, სექტორთან დაკავშირებულ დაინტერესებულ მხარეებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ასევე, პროფესიული განათლებით დაინტერესებული საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან ჩატარებული კვლევის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვა ქვეყნის მასშტაბით წარმოადგენს სატყეო სექტორის მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს.  სატყეო განათლების (განსაკუთრებით პროფესიული განათლების დონის) მქონე კადრებზე მოთხოვნა მაღალია და განსაკუთრებულად მზარდი იქნება მომავალშიც, რადგან ტყის ახალი კოდექსის (მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 22.05.2020) და სექტორის მარეგულირებელი ძირითადი ნორმატიული დოკუმენტების თანახმად, 2025 წლიდან სავალდებულო ხდება ტყის მართვის პროცესში სატყეო განათლების მქონე, სერტიფიცირებული პირის მონაწილეობა (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორისთვის). შესაბამისად, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმის“ განხორციელება ხელს შეუწყობს სატყეო სექტორის სტრატეგიული განვითარების გეგმის აღსრულებას და თანხვედრაშია სექტორში სახელმწიფო პოლიტიკით განსაზღვრულ პრიორიტეტებთან. აღნიშული დასაბუთება შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან.

ინტეგრირების ნაწილთან დაკავშირებით, მიზანშეწონილობის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირებას და შესაბამისად ამ მიმართულებით საგანმანათლებლო ჩიხის აღმოფხვრას. გარდა ამისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოიკვეთნენ დამსაქმებლებიც, რომლებიც აქტიურად ჩაერთვებიან სასწავლო პროცესში. პრაქტიკულ კომპონენტს გაატარებენ თავიანთ რეალურ სამუშაო გარემოში და სწავლის დასრულების შემდგომ დაასაქმებენ კურსდამთავრებულებს. აღნიშული დასაბუთება შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან.

*დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში, მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების საჭიროება, და აისახოს ჩატარებული კვლევის შესახებ ინფორმაცია - დატანილი იქნას კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი, განხორციელების პერიოდი, გამოყენებული მეთოდები/ინსტრუმენტი, კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა და ჩატარებული კვლევების კონკრეტული შედეგები - სტატისტიკური მონაცემები/ინფორმაცია.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 14 აგვისტოს N 02-01-220 ბრძანებით (ცვლილებები: ბრძანება N02-01-54, 2.03.2020; N 02-01-78, 17.03.2022) დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე" შესაბამისად, დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება და საბაზო განათლება - საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების შემთხვევაში. ამასთან, კოლეჯს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსიპ კოლეჯის ,,აისი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები (09.07.2021, N 02-01-187, ცვლილება - 14.03.2022, N02-01-77), რომელიც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.

ექსპერტების მიერ შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე" პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რითიც დადასტურდა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულნი არიან ისეთი პირები, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სსიპ კოლეჯის ,,აისი" დირექტორის მიერ 2022 წლის 14 მარტის N 02-01-68 ბრძანებით დამტკიცებულია „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომლის მიხედვით გამოანგარიშებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სატყეო საქმე" ზღვრული რაოდენობა და შეადგენს 30 პროფესიული სტუდენტს (მათ შორის 30 სტუდენტი ინტეგრირებულ პროგრამაზე), ორ ჯგუფად, თითოეულ ჯგუფში მაქსიმუმ 15 პირის შემადგენლობით.

დაწესებულებას ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშებისას გათვალისწინებული აქვს, ასევე, პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობები. საგანმანათლებლო პროგრამის „სატყეო საქმე" ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (05.07.2017წ) სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან და ხელშეკრულება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კახეთის სატყეო სამსახურთან (N15, 01.02.2022. პრაქტიკის ობიექტი სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტების საწარმოო პრაქტიკას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამით დადგენილი მოთხოვნებს და პროფესიულ სტუდენტთა და განმახორციელებელ პირთა თანაფარდობას. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას დაწესებულება ხელმძღვანელობს სასწავლო გარემოს ფართობზე სტუდენტთა ადგილების რაოდენობის მიხედვით, ცვლებში სწავლის შესაძლებლობის პირობებში.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სატყეო საქმე" დაწესებულების ბაზასა და პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალური რესურსი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით განსაზღვრულ რეკომენდაციებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შესაბამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა (მათ შორის ინტეგრირებული მოდულების ლიტერატურა) კი შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნებს.

პროგრამის განმახორციელებელ პირებთან (მათ შორის, პროგრამის ხელმძღვანელი) ინტერვიუს დროს განხილულ იქნა სწავლების პროცესში პროფესიულ მოდულებთან დაკავშირებული დამატებითი საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების მიზანშეწონილობა, მაგალითისთვის: სასწავლო ვიდეო რგოლები და სადემონსტრაციო ვიზუალური მასალების (პოსტერი, ილუსტრაციები და სხვა). *ამის გათვალისწინებით, ექსპერტების მიერ, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია საგანმანათლებლო რესურსის გამრავალფეროვნებისა და თანამედროვე სწავლების მეთოდების განვითარების მიზნით კოლეჯმა მოიძიოს „სატყეო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების თემატიკაზე მომზადებული ვიდეო რგოლები და გამოიყენოს სწავლების პროცესში, ასევე, მოამზადოს თემატური პოსტერები და სხვა სახის სადემონსტრაციო მასალები.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე" არ მოიცავს არჩევითი მოდულებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია 2017 წლის 14 აგვისტოს, კოლეჯის დირექტორის N02-01-220 ბრძანებით (ცვლილებები: ბრძანება N02-01-54, 2.03.2020; N02-01-78, 17.03.2022). დირექტორის უფლებამოსილება დასტურდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №118/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „აისის" წესდების მე-5-ე მუხლის „ი" ქვეპუნქტისა და სსიპ კოლეჯი აისის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „აისი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" II თავის მე-2 მუხლის 2.9 პუნქტის თანახმად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. პროგრამის სახელწოდება „სატყეო საქმე" შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

8. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა, მათ შორის ისეთი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტანდარტი - სატყეო საქმე /Forestry სარეგისტრაციო ნომრით - 08201-პ. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (48 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 78 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის. 101 კრედიტი ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, 131 კრედიტი ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის), პროგრამის ხანგრძლივობაა 9 სასწავლო თვე, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში - 36 სასწავლო თვე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (5 ზოგადი მოდული, ჯამური 15 კრედიტის მოცულობით, 9 პროფესიული მოდული ჯამური 33 კრედიტი მოცულობით. ინტეგრირებული გეგმის შემთხვევაში - 7 ზოგადი მოდული ჯამური 68 კრედიტის რაოდენობით, 9 პროფესიული მოდული ჯამური 33 კრედიტის რაოდენობით.). სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, ასევე, ინტეგრირებული სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულებით განსაზღვრულ წინაპირობებს, დაცულია პროგრამის ლოგიკური განვითარება, დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის და პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

*აღსანიშნავია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მე-5 პუნქტში „სტრუქტურა და მოდულები“, ქართული ენის მოდულთან დაკავშირებულ ჩანაწერში მითითებულია ძალადაკარგული დოკუმენტი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება N 152/ნ) რასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩანაწერები არსებულ კანონმდებლობასთან თანხვედრაში მოიყვანოს.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. კოლეჯი „აისის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026.
2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სსიპ კოლეჯის ,,აისი" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები, დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,აისი" დირექტორის 2021 წლის 9 ივლისის N 02-01-187 ბრძანებით (ცვლილებები: 2021 წლის 24 აგვისტოს N02-01-237 ბრძანება, 2022 წლის 14 მარტის N02-01-77 ბრძანება);
5. „პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია" დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N02-01-68, 14.03.2022;
6. სსიპ კოლეჯი აისის სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიში, 2021;
7. კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 14 აგვისტოს, N02-01-220 ბრძანება (ცვლილებები: ბრძანება N02-01-54, 2.03.2020; N02-01-78, 17.03.2022).
8. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №118/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კოლეჯ „აისის" წესდება.
9. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „აისი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე"
11. ინტერვიუების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროგრამის განხორციელების ადგილად განსაზღვრულია - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი სოფელი შრომა. პროგრამის განსახორციელებლად საგანმანათლებლო დაწესებულებამ გამოყო AC და B სასწავლო გარემო. თითოეული სასწავლო გარემო განკუთვნილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის, ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში 30 პროფესიული სტუდენტისთვის. სასწავლო გარემოში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა შემდეგი პირობები:

- AC გარემო: - გარემოში განთავსებულია 15 მაგიდა და 15 სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსის შესყიდვების დოკუმენტაცია და მიღება-ჩაბარების აქტები. ასევე, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. გარემო გამტარუნარია ორ ცვლაში 2 ჯგუფისთვის (30 პროფესიული სტუდენტი). პროგრამაზე მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა 30 პროფესიული სტუდენტი.

- B გარემო: - გარემოში განთავსებულია 15 მაგიდა და 15 სკამი, საჭირო რაოდენობის კომპიუტერები პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია მატერიალური რესურსის შესყიდვების დოკუმენტაცია და მიღება-ჩაბარების აქტები. გარემო გამტარუნარია ორ ცვლაში 2 ჯგუფისთვის (30 პროფესიული სტუდენტი). პროგრამაზე მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობაა 30 პროფესიული სტუდენტი.

- C გარემო ინტეგრირებული პროგრამისთვის: - გარემოში განთავსებულია 15 მაგიდა და 15 სკამი პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის არის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი. ასევე, ინტეგრირებული მოდულების სპეციფიკის შესაბამისი აღჭურვილობა.

საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (05.07.2017წ) სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან. მემორანდუმის თანახმად, ეროვნული სატყეო სააგენტო უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე (ამ შემთხვევაში ტყე) სტუდენტების პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობას, ამავდროულად, ჩართული იქნება სწავლების პროცესში და ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებას. მემორანდუმში გაწერილია, რომ პრაქტიკის კომპონენტის გასავლელად პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის მოცულობის შეთანხმება ხდება წინასწარ - წერილობით. პროგრამის გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯს ასევე გაფორმებული აქვს ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება (N15, 01.02.2022) სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კახეთის სატყეო სამსახურთან. ხელშეკრულება მოიცავს პრაქტიკის ობიექტის მხრიდან საწარმოო პროცესისთვის საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფის მზაობას, ასევე, სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიებთან დაკავშირებულ საკითხებს.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“ მოიცავს როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას. ექსპერტებმა შეისწავლეს იმ პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა (მათ შორის ინტეგრირებული პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა), რომლების პარალელურად სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ახორციელებენ იმავე მოდულებს და დაადგინეს, რომ განმახორციელებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „სატყეო საქმე“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების პროფესიულ მასწავლებლებს, აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ნაწილში, რაც დასტურდება მათ პირად საქმეში დაცული კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. ამასთან აღსანიშნავია, რომ დაწესებულება მუდმივად ატარებს შიდა ტრენინგებს სწავლებისა და შეფასების საკითებზე, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის. ამგვარად, პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური რესურსით. ექსპერტები გაესაუბრნენ განმახორციელებელს, რომელმაც აღწერა პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების მიდგომები.

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მაღალი ხარისხით წარმართვისა და დარგში არსებული სიახლეების, თანამედროვე მოთხოვნებისა და ტენდენციების სწავლების პროცესში სრულყოფილად გათვალისწინების მიზნით, რეკომენდირებულია პროფესიულ მასწავლებლებს ჩაუტარდეთ განმავითარებელი სწავლებები, განსაკუთრებით პროფესიულ მოდულებთან დაკავშირებული, თანამედროვე ტექნოლოგიების, აღჭურვილობისა თუ, მეთოდოლოგიების მიმართულებით.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „სატყეო საქმე“ კოლეჯს განსაზღვრული ჰყავს და გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პროგრამის ხელმძღვანელთან, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს პროფესიული მოდულების განმახორციელებელს. აღნიშნული პირი არის დარგის შესაბამისი კომპეტენციის მქონე, აქვს სფეროში მუშაობის გამოცდილება.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „სატყეო საქმე“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (მათ შორის ინტეგრირებული მოდულების საგანმანათლებლო რესურსი) ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის ელექტრონული სახით ან/და ბიბლიოთეკაში მატერიალური ფორმით. ექსპერტების მიერ შემოწმდა და დადასტურდა ბიბლიოთეკაში რესურსების არსებობა. დამატებით, კოლეჯის პარტნიორი საწარმოს - სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მზადდება საგანმანათლებლო რესურსების ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომელზე წვდომაც თავისუფალი იქნება კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 25-ე მუხლით განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. აღნიშნული მომსახურეობები გულისხმობს ჟესტური ენის თარჯიმნის/სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის/გადაადგილების მხარდამჭერის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს როგორც მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც ხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციებით უზრუნველყოფილია სსსმ პირების პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 27 364 ლარი და ხარჯების ნაწილში - 27 364 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: ხელფასს (ვაუჩერული დაფინანსება) – 14 640 ლარი; ნედლეულისა და მასალის ხარჯებს (ვაუჩერული დაფინანსება) – 4 025 ლარი; ხელფასი (პროგრამული დაფინანსება) – 2 250 ლარი და სხვა ხარჯებს (პროგრამული დაფინანსება). რენტაბელობის ზღვარი არის 5 სტუდენტი.

ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში: შემოსავლების ნაწილში სულ განსაზღვრულია - 55 640 ლარი და ხარჯების ნაწილში - 55 640 ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: ხელფასს (ვაუჩერული დაფინანსება) – 35 055 ლარი; ნედლეულისა და მასალის ხარჯებს (ვაუჩერული დაფინანსება) – 8 584 ლარი; ხელფასი (პროგრამული დაფინანსება) – 9 000 ლარი და სხვა ხარჯებს (პროგრამული დაფინანსება). რენტაბელობის ზღვარი არის 5 სტუდენტი.

კოლეჯის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ, ვაუჩერულად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატყეო საქმე“;
2. სსიპ კოლეჯის ,,აისი“ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (სსიპ კოლეჯის „აისი“ დირექტორის 2021 წლის 12 თებერვლის N02-01-20 ბრძანება);
3. შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
4. მასწავლებლების დატვირთვის ფორმები;
5. მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსიპ კოლეჯი აისის სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიში, 2021;
7. სსიპ კოლეჯის ,,აისი“ დირექტორის 2021 წლის 31 დეკემბრის N02-01-411 ბრძანებით დამტკიცებული თანამშრომელთა სამუშაოთა აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.
8. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
9. დანიშვნის ბრძანება და სამუშაოთა აღწერილობა;
10. ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების კატალოგი და საბიბლიოთეკო ჟურნალი;
11. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (ცვლილება - 29.04.2022 N02-01-149) დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
12. პროგრამის ბიუჯეტი;
13. პროფესიული პროგრამის მასწავლებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1-2. სსიპ კოლეჯის „აისი“ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-2 თავი აღწერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, ცვლილებისა და გაუქმების პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის შემუშავების მიზნით, დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახორციელებს პროგრამების შემუშავებას/ოპტიმიზირებას. სამუშაო ჯგუფის მიერ განსახორციელებელი აქტივობები დეტალურად არის გაწერილი მე-2 მუხლის მე-19 პუნქტში.

პროგრამის შემუშავების/ოპტიმიზირების შემდეგ, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის წარდგინებით, კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების დამტკიცების შესახებ. ზემოაღნიშნული წესის მე-6 მუხლი არეგულირებს პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის/გაუქმების საფუძველსა და პროცედურებს, რომლის მიხედვითაც „პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს: ა) პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით; ბ) უფლებამოსილი პირის ინიცირებით დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში; გ) სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; დ) პარტნიორი კომპანიის მოთხოვნით, იმ შემთხვევაში თუ ცვლილების არსი არ ეწინააღმდეგება მოქმედ სტანდარტს; ე)ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე.“ პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია დირექტორის მოადგილეს სასწავლო-საწარმოო დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, ან სხვა დაინტერესებულ ნებისმიერ პირს. ამავე მუხლით, ასევე დარეგულირებულია პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის საკითხები.

ექსპერტებმა, ვიზიტის პერიოდში, შეამოწმეს კოლეჯის მიერ განხორციელებადი ის პროგრამები, რომელიც კოლეჯის მარეგულირებელი წესის მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ექვემდებარებოდა სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილია სათანადო ცვლილებები „სამოქალაქო განათლების“ მოდულის ახალი რედაქციის მიხედვით.

მარეგულირებელი წესის მე-5 მუხლი აღწერს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების შეფასების პროცესს და ეტაპებს, რაც მოიცავს მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფას, რეკომენდაციების შემუშავებას, ცვლილებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც აგებულია დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე ციკლის მიხედვით და გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირს, პროფესიული სტუდენტის/მსმენელის საჭიროების და კმაყოფილების კვლევას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევას. ასევე, აღნიშნული წესი ითვალისწინებს არსებული გამოკითხვების/კვლევების და საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებას/მოდიფიცირებას დადგენილი პროცედურის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს წარუდგინეს 2020 და 2021 წლებში ჩატარებული პროფესიული სტუდენტების საჭიროების და კმაყოფილების, ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევები, სადაც აღწერილია კვლევის მეთოდოლოგია, გაანალიზებულია შედეგები, და გაცემულია რეკომენდაციები. აღნიშნული კვლევის შედეგად პროგრამის გაუმჯობესების საჭიროება არ გამოკვეთილა, თუმცა დაფიქსირდა პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ინტერესები არაფორმალური აქტივობების და მასტერკლასების ინტენსიურად ჩატარების მიმართ (აღწერილია შესაბამის 3.2.1-5 ინდიკატორში).

ჩამოთვლილი რეგულაციების მიხედვით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. ასევე, რეგულაციით გათვალისწინებულია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების გაანალიზება და ცვლილებების შეტანის პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (ცვლილება - 29.04.2022 N02-01-149) დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. 2022 წლის 14 მარტის N02-01-76 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;
3. პროფესიული სტუდენტების საჭიროების და კმაყოფილების კვლევის ანგარიშები (2020 წელი, 2021 წელი);
4. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ანგარიშები (2020 წელი, 2021 წელი);
5. ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მოთხოვნისამებრ ექსპერტებს წარედგინათ მოქმედი ჯგუფების მეცადინეობების განრიგი, მიმდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სატყეო საქმე“, რომელიც შესაბამისობაშია დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართით გათვალისწინებულ სასწავლო გეგმასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმა (მათ შორის, ინტეგრირებული სასწავლო გეგმა) შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი შეფასებისთვის საჭირო დროის შუალედი.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. კოლეჯის მიერ შემუშავებულ „სასწავლო პროცესის რეგულირების წესში" დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესების კომპონენტი, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის, ფორმალური განათლების აღიარების პროცედურები, კოლეჯის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო გეგმები, პროგრამის კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, გონივრული ხანგრძლივობითაა შედგენილი, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ცხრილის შეცვლა და პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინება.

პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებისა და შემხვედრ საჭიროებებზე მოქნილად რეაგირების მიმართულებით, COVID-19 დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების ფარგლებში, კოლეჯმა მოახდინა სწავლების როგორც დისტანციური, ასევე ჰიბრიდული ფორმის შემუშავება. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებამ ხელი შეუწყო პანდემიურ პერიოდში მათი სასწავლო პროცესში ჩართულობას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. „სატყეო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - ლექცია და დემონსტრირება, საკლასო დისკუსია, მეთოდი ორიენტირებული სასწავლო ოთახზე/პრაქტიკის ობიექტზე. პროფესიული განათლების მასწავლებელთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ ისინი იცნობენ ამ მეთოდებს, მაგრამ მათივე სურვილით საჭიროებენ მუდმივ განვითარებას ამ მიმართულებით. სწავლების მეთოდების გამრავალფეროვნებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსების დამატებასა და თანამედროვე ტექნოლოგიებთან დაკავშირებით პედაგოგების გადამზადების მიმართულებით ინფორმაცია და რეკომენდაციები აღინიშნა 2.1.1-ის მე-4 და 2.2.1-ის მე-3 ინდიკატორების აღწერისას.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-18 მუხლი განსაზღვრავს" ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების წესს", რომლის 18.3 პუნქტი განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შემდეგ შემთხვევებს: ა) სპეციალური საგანმანათლებლო

საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის (სსსმ პირებისთვის), ბ) პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ), გ) სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ), დ) მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება არ დამდგარა.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულება თანამშრომლობს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (05.07.2017წ) სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან. მემორანდუმის თანახმად, ეროვნული სატყეო სააგენტო უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტზე (ამ შემთხვევაში ტყე) სტუდენტების პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობას, ამავდროულად, ჩართული იქნება სწავლების პროცესში და ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებას. პროგრამით გათვალისწინებული საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯს ასევე გაფორმებული აქვს დამატებით ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება (N15, 01.02.2022) სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კახეთის სატყეო სამსახურთან. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთ-ერთი მხარის მიერ შეწყვეტამდე. დოკუმენტი მოიცავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, საჭირო კოორდინაციის საკითხებს, პრაქტიკის ობიექტის მხრიდან საწარმოო პროცესისთვის საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფის მზაობას, ასევე, სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიებთან დაკავშირებულ საკითხებს.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

6. კოლეჯის შენობა და მისი ინფრასტრუქტურა ქმნის უსაფრთხო სასწავლო გარემოს თეორიული მეცადინეობებისათვის. პროგრამის ფარგლებში მოდულების განხორციელებისთვის სპეციალური უსაფრთხოება არ არის მოთხოვნილი, თუმცა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების ნორმები სატყეო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის. კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა დანართებითურთ. დაწესებულებას ჰყავს, ასევე, პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები შემოწმდა ვიზიტის დროს. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტს, ტყე და პრაქტიკული საქმიანობები ტყეში ცნობილია როგორც ხიფათის შემცველ გარემოდ და სამუშაოებად. შესაბამისად, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსებში გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტზე გამოსაყენებელი პირადი და გარემოს უსაფრთხოებისათვის საჭირო ინვენტარი. მემორანდუმსა და ხელშეკრულებაში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება საწარმოს მხრიდან. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკული კომპონენტის სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა როგორც ზოგადი უსაფრთხოების, ასევე, თითოეული ღონისძიებიდან გამომდინარე სპეციფიკური უსაფრთხოების ნორმების შესახებ ინსტრუქტაჟის ჩატარებას. ამავდროულად, თითოეულ მოდულში ინტეგრირებულია უსაფრთხოების ნორმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

## დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სასწავლო გეგმები;
   დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-75 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა განაწესი“
3. სსიპ კოლეჯი აისის სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ანგარიში, 2021
4. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯის „აისი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
5. სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმი და ხელშეკრულება.
6. პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა და მისი დანართები
7. პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები;
8. ინტერვიუების შედეგები.

## **2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

5. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
6. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
7. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
8. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

## კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (უკანასკნელი ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით), რომლის მე-7 თავი არეგულირებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების/აპელაციის წესს, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა (31.12.2020 წლის N02-01-401 ბრძანებით), რომელიც მოიცავს აუცილებელ ველებს, თუმცა *ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, შეფასების ინსტრუმენტში პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს გასაჩივრების შესაძლებლობასთან დაკავშირებით ჩანაწერის დამატების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 23-ე მუხლში.* დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, პროფესიული სტუდენტების მიერ, შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევა არ ფიქსირდება. *ვინაიდან ბუნდოვანია კოლეჯის განმარტება, სწავლების*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ეფექტური სისტემის გამო განმეორებითი შეფასების საჭიროების არ არსებობის შესახებ, კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია გადახედოს შეფასების სისტემას/ვერიფიკაციის მექანიზმებს, შეფასების ინსტრუმენტის პროგრამის/მოდულების მოთხოვნებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.*

შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელია მოდულის განმახორციელებელი პირი, რომელიც ახლად შექმნილ ან შეცვლილ ინსტრუმენტს, ვალიდაციის მიზნით, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულზე სწავლის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური შემოწმება ხდება სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ, ხოლო შინაარსობრივი - დარგის სპეციალისტის მიერ. *დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, შემუშავებულ რეგულაციებში ასახოს ვალიდაციის პროცესის განხორციელებაში დარგის წარმომადგენლის ჩართულობა.*

პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ შეფასების პროცესი მიმდინარეობს თანაბარ პირობებში და შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას იღებენ ინდივიდუალურად.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, რომლის წარმართვაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები საჭიროების შესაბამისად.

დაწესებულებაში ვერიფიკაციის პროცესი პირველად განხორციელდა 2020 წელს ,,ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, 2020 წლის 20 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგიის მიხედვით. ხოლო 2020 წლის 6 ივლისის N02-01-140 ბრძანებით აღნიშნულ მეთოდოლოგიაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით ვერიფიკაცია განხორციელდა 2021 წელს, 6 სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ზემოაღნიშნულ წლებში განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგებით იკვეთება, შეფასების ინსტრუმენტების ნაკლოვანებები, მათ შორის ტექნიკური უზუსტობები და შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დაბალი სანდოობა. ზემოაღნიშნული გამოწვევების დაძლევის მიზნით, დაწესებულებამ შეიმუშავა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მექანიზმი - დამტკიცებულია დირექტორის 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით (უკანასკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით), რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის კითხვარის ფორმას, ვერიფიკატორის მიერ შეფასების პროცესზე დასწრების კითხვარს და შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციის კითხვარს.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 17 მარტის N02-01-103 ბრძანებით (ცვლილება შესულია 2022 წლის 10 მაისის N02-01-153 ბრძანებით) შექმნილია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელადაც პროცესის გამჭვირვალობის მიზნებისთვის, მოწვეულია ექსპერტი, ამავე ბრძანებით დამტკიცებულია ვერიფიკაციის გეგმა და მასთან დაკავშირებული ფორმები. წარმოდგენილი გეგმა მოიცავს, შესაბამისი აქტივობების (სამიზნე ნიშნულების შერჩევა, შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და წლის მტკიცებულებების ვერიფიკაცია, შედეგების ანალიზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და შემდგომი სამოქმედო გეგმის შემუშავება, ასევე გათვალისწინებულია ვერიფიკაციის შედეგების გაზიარება) განხორციელებას მიმდინარე წლის დეკემბრის თვის ჩათვლით. ვიზიტის მომენტისთვის ჩატარებული იყო ვერიფიკაციის ჯგუფის შეხვედრა (პირველი ეტაპის შემაჯამებელი შეხვედრის ოქმი N1 06.05.22წ.), სადაც განისაზღვრა, ვერიფიკაციის განხორციელების რისკ-ფაქტორების სქემა: შემოწმებას ექვემდებარება 1) დამწყები მასწავლებლების მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების 50%; 2) მოდულის ფარგლებში პირველადი შეფასებისას ყველა პროფესიული სტუდენტის მიერ სრულად დადებითი შეფასების მიღების შემთხვევის მტკიცებულებების 25%; 3) ახლად ავტორიზებული პროგრამებზე გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების 100% და მტკიცებულებების 50%; 4) დანარჩენ პროგრამებზე შეფასების ინსტრუმენტებისა და ინსტრუმენტების 20-25 % შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 24-ე მუხლით განსაზღვრულია შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვისა და განკარგვის წესი, რომლის თანახმადაც, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა ინახება კოლეჯში სასწავლო პროცესის მენეჯერთან/ებთან, მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით, ხოლო საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილების შემდგომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისები და ოქმები ინახება უვადოდ დირექტორის მოადგილესთან სასწავლო საწარმოო დარგში. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების შეგროვება და დაცვა. დაწესებულების მიერ დანომრილი უწყისები და მტკიცებულებები აღირიცხება ელექტრონულად. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეამოწმეს შესაბამისი პროგრამების სხვადასხვა მოდულების შეფასების უწყისები. აღსანიშნავია, რომ განმეორებითი შეფასების ამსახველი უწყისები არ ფიქსირდება. *შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, არსებობის შემთხვევაში, განმეორებითი შეფასების შედეგები ასახულ იქნას განცალკევებით, ან შესაბამისი ველი დატანილ იქნას შეფასების უწყისის ფორმაში, განმეორებითი შეფასების თარიღის მითითებით.*

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესის მენეჯერის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრულია, პროფესიული სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების შეტყობინების ვალდებულება. პროფესიულმა სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები შეფასების შედეგების გაცნობისას ინდივიდუალურად უწევენ კონსულტაციას დაშვებული შეცდომებისა და გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

### დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. 2022 წლის 14 მარტის N02-01-76 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. 2020 წლის 20 მარტის N02-01-53 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია;
4. 2022 წლის 14 მარტის N02-01-72 ბრძანებით დამტკიცებული შიდა შემოწმების (ვერიფიკაციის) მეთოდოლოგია (უკანაკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 29 აპრილის N02-01-149 ბრძანებით);
5. 2022 წლის 17 მარტის N02-01-103 ბრძანება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ (უკანასკნელი ცვლილება შესულია 2022 წლის 10 მაისის N02-01-153 ბრძანებით);
6. ოქმი N1 06.05.2022;
7. დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა;
8. შეფასების ინსტრუმენტები;
9. შეფასების უწყისები;
10. შეფასების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები;
11. ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## XXII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. საგნობრივის მტკიცებულებები

04.08.2022
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: